

619/2
1984 №1

ეროვნული
ბიბლიოთეკა



619/2

96

ISSN 0130 1624

საქართველოს
ბიბლიოთეკა

0563567
№ 1 1984 წ



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლენინი კულა რევოლუციის



● სამოცი წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, 6 საათსა და 50 წუთზე შეწყდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გულის ძგერა.

დრო-ჟამი ვერაფერს აკლებს მის უკედევ სახეს.

მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი და დარჩა იმათგან, ვინც ლენინს იცნობდა: იცნობდა ისეთს, როგორც ცხოვრებაში იყო, მუშაობდა მასთან ერთად, ან პირადად შეხვედრია ლენინს.

მილიონობით ადამიანმა კი ბავშვობიდანვე მხოლოდ ფოტოსურათით დაიმახსოვრა ბელადის სახე.

ყოველი ჩვენგანი დღეს წმინდად და სათუთად ინახავს მის პორტრეტს, როგორც უძვირფასეს რელიკვიას.

იყო დრო, როცა ხალხს ლენინის ფოტოსურათის ნახვა ენატრებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე გუცა პარკაძე იგონებდა: „მაშინ სულ უფრო ხშირად გვესმოდა ლენინის სახელი. ჰიათურის მოწინავე მუშები და რევოლუციური გლეხები პროპაგანდისტებს რომ უსმენდნენ, ლენინის სახეს თავისებურად წარმოიდგენდნენ და ხშირად გამოთქვამდნენ ბელადის ნახვის სურვილს. თავიანთ ბოლშევიკ პროპაგანდისტებს ისინი ეუბნებოდნენ ხოლმე:

— თუ ლენინთან შეხვედრა არ შეიძლება, მისი ფოტოსურათი მაინც გვაჩვენეთ.

მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი იყო. როგორც ამბობენ, მათი თნოვნა ვადასცეს ემიგრაციაში მყოფ ლენინს. მან უპასუხა: „სამწუხაროდ, ფოტოსურათს ვერ გამოგიგზავნით, მაგრამ გირჩევთ, რუსი მუშა ან გლეხი წარმოიდგინოთ და ეს ლენინი იქნება“.

ვლადიმერ ილიჩის ეს პასუხი გამოხატავდა მშრომელთა გენიალური ბელადის უდიდეს სიახლოვეს მუშებთან და ღირებულ გლეხობასთან. ძველი ბოლშევიკების თქმით, ქართველთა თხოვნაზე ლენინის ასეთი პასუხი ხალხში ძალზე პოპულარული იყო.

მე მაქვს ბელადის ორიგინალური ფოტოსურათი. კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის სხდომის დროს, ლენინი ზის პრეზიდენტის ტრიბუნის კიბეზე და ორატორთა სიტყვებს იწერს. იგი თურმე დაგვიანებით მივიდა, არ სურდა შეეწუხებინა პრეზიდენტში მსხდომნი და კიბეზე ჩამოჯდა. ლენინს სადა კოსტიუმი აცვია, არც ორდენი, არც მედალი უმშვენებს მკერდს. ისინი მას არ ჰქონია.

უყურებ ფოტოსურათს და ფიქრობ: ყოველთვის ასეთი თავმდაბალი, ასეთი ადამიანური უნდა იყო!

ეს ფოტოსურათი ელვას ჰგავს, ღამის წყვილადში რომ გზას გაგინათებს. იგი ყველა ხელმძღვანელისათვის მისაბაძი მაგალითია.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ინახება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ფოტოსურათი, რომე-

ფილიპე მახარაძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი

ლზედაც 975-ე მსროლელთა პოლიკაოცეულის მეთაურს ვ. ა. ნეფედოვს (1942 წელს დაიღუპა კრივოი-როვის განთავისუფლებისას) წაუწერია: „...იერიშზე მივდივარ, შენ ჩემთან ხარ, კომუნისტად ვკვლები, ძვირფასო მამა!“.

რამდენი იყო ასეთი წერილი? ასობით, ათასობით.

ლენინი რომ გარდაიცვალა, ჩვენმა მამებმა გლოვის ნიშნად ქულები მოიხადეს. დედებმა ძაძები ჩაიკვეს და მის საქმეს ერთგულება შეჰფიცეს. და მხოლოდ ერთ-ბელს, 1924 წლის იანვარში, ლენინის სურათს შავი არშია შემოაქრეს.

მშრომელებმა იკისრეს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ახდენილიყო ბელადის ოცნებები. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და ეს ოცნებები ხორცს იხსამს.

როცა პატარები ვიყავით, მამებს მივყავდით სადა ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტთან და გვეუბნებოდნენ: „ეს ძია ლენინია. მისი ღირსნი იყავით“.

როცა მამები გავხდით, ჩვენი შვილები მიგვყავდა პორტრეტთან და ვიმეორებდით იმ სიტყვებს, რასაც მამები გვეუბნებოდნენ.

ასე მოიქცენ ჩვენი შვილები. ასე მოიქცევიან ჩვენი შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ასე იქნება ყოველთვის!

ამ ტრადიციას აქვს დასაწყისი, მაგრამ არა აქვს დასასრული.

აი, სწორედ ამიტომ არის ესოდენ ძვირფასი და საყვარელი ბელადის პორტრეტი.

სწორედ ამიტომ არ წაიშლება მშრომელთა გულში სახელი და ხსოვნა მისი.

ყველა დიდ მეოცნებესა და კაცობრიობის მომავლისათვის მეტობოლთა შორის ლენინი ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდა, — მას ხვდა წილად, თავისი საქმის გამარჯვება ეხილა.

უყურებ მის პორტრეტს და მღელვარებით იხსენებ ჩვენი პარტიის სახელოვან გზას: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაუფიწყარი დღეები, სამოქალაქო ომის წლები, პირველი ხუთწლიანი, თურქესტან-ციმბირის რკინიგზა, მაგნიტკა, დნეპროჰესი, ზაპეისი, დიდი სამამულო ომი — ჩვენი ხალხის უმაგალითო საბრძოლო და შრომითი გმირობა, გამარჯვების ზეიმი, წითელი მოედანი, მავზოლეუმი, ტრიბუნაზე ი. ბ. სტალინი... დრო შეუჩერებლივ, საოცარი სისწრაფით მიქროდა, მიქროდა და ჩვენთან რჩებოდა ლენინი, ის ყოველთვის მიგვიძღვოდა წინ, — როგორც დროში, როგორც შუქურა. იგი მაშინაც ჩვენთან იყო, როცა ვტყვდით ყამირს, მივფრინავდით კოსმოსში... ამ დიადი სახელით კვლავაც ვიშრომებთ, ვიბრძობებთ და გავიმარჯვებთ!

ამ დიადი სახელით კვლავაც დიდებულ ფურცლებს შევმატებთ ისტორიას.

„ლენინი ახლაც ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია!“

ეს სიტყვები მარტო ვლადიმერ მაიკოვსკის კი არ უთქვამს, არამედ ვთქვით ყველამ — მე, შენ, მან...

ჩვენმა პარტიამ და მთელმა ჩვენმა ხალხმა დაწერა ეს სიტყვები.

დიდი ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართებაში „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“ წერდა: „მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას ჯერ არასოდეს არ მოუცია ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორც იყო ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი, მეგობარი... მაგრამ მისი ფიზიკური სიკვდილი მისი საქმის სიკვდილი როდია.“

ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის ყოველი წევრის სულში. ჩვენი პარტიის ყოველი წევრი ლენინის ნაწილაკია...

ლენინი ცოცხლობს ყოველი პატიოსანი მუშის გულში.

ლენინი ცოცხლობს ყოველი ღირსი გლეხის გულში.

ლენინი ცოცხლობს კოლონიური მონების მილიონთა გულში.

ლენინი ცოცხლობს ლენინიზმისადმი, კომუნისმისადმი, ბოლშევიზმისადმი ჩვენი მტრების ბანაკის სიძულვილში“.

მიმართვა მთავრდებოდა მგზნებარე შეძახილით: „დღეგრძელობდეს, ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ჩვენი პარტია!“

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს.

როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განახორციელა, ლენინი 47 წლისა იყო და მსოფლიო საოცრების წინაშე დააყენა.

როცა გარდაიცვალა, 54 წლისაც არ იყო...

ყველაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. ეს შეუძლებელიცაა. მან მოასწრო და გააკეთა მთავარი: შექმნა ჩვენი პარტია, მოახდინა დიდი რევოლუცია, შექმნა ჩვენი სახელმწიფო.

ლენინმა დაგვისახა გზა ახალი სამყაროსაკენ, დაიწყო ახალი ცხოვრების შენება, განსჯირიტა წინსვლის გზები. მან მხოლოდ გზა კი არ გვიჩვენა, თამამად და გამბედავად მიიწვედა წინ და გვიკავავდა გზას.

დასაწყისი ყოველთვის ძნელი და რთულია. ყველა მომდევნო თაობა აფართოებს ამ გზას. დღეს ამ გზას აგრძელებს ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ცენტრალური კომიტეტის და მისი მეტობოლი შტაბის — პოლიტიბუროს ხელმძღვანელობით.

Ордена Трудового
Красного Прапора
Республиканская библиотека
УРСР імені КНРС

დროშა

ქ. ასრ. კ. მარქსის

თაოსნაბი სიტყვის ერთგულნი არიან



ერთგული
ბიზლიროთეკა

გურამ გაბუნია,

საქართველოს კომპარტიის თბილისის საპალაქო კომიტეტის
პირველი მდივანი

საბჭოთა ხალხი ერთგულად იყრნება საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის პლენუმის გადაწყვეტილებას, პლენუმზე საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის განმარტული მდივნის ანანასი ი. ვ. ანდროპოვის განცხადებით ტექსტში დასახულ ამოცანებსა და მიზნებს.

● თბილისის სამრეწველო საწარმოებში დიდი გამოხმაურება ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში დასახულმა ამოცანებმა. უნდა მივალნიოთ იმას, რომ გეგმის ზევით პროცენტით გავზარ-

დოთ შრომის ნაყოფიერება, დამატებით 0,5 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

ამასთან დაკავშირებით პლენუმზე ხაზი გაესვა, რომ ასეთი მოძრაობის თაოსნად მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გამოდის სა-

ქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

მართლაც, გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს საქართველოს დედაქალაქის მთელი რიგი რაიონების სამრეწველო საწარმოებმა. თბილისელები თავიანთი სიტყვის ერთგულნი არიან. 1983 წლის გეგმა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გასული წლის 22 დეკემბერს უკვე შესრულებული იყო.

მაღალია სამრეწველო საწარმოების მოცულობისა და ტემპის ზრდის, შრომის ნაყოფიერების, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები. წლის ბოლომდე გამოშვებულია 60 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადამწყვეტილებები დიდ დახმარებას გაგვიწვევენ ჩვენი ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის საქმეში.

● როგორც ყველა ქართველი მწერალი, მეც ყურადღებით ვავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, ჩავუკვირდი ყველა სტრიქონს ამ დოკუმენტისას, რომელიც დაწერილია დიდი პოლიტიკური სიფხიზლით, სიბრძნითა და მაღალი ღირსებით, იგი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია.

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოში ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი სახიფათო ვითარება, ახალგაზრდა თაობას, პლანეტის ყველა მცხოვრებს ჯერ ასე არ დამუქრებია არა მარტო ომის, არამედ თერმობირთვული და ნეიტრონული კატასტროფის საშიშროება. და

ამას შეშფოთებით განვიციდი მე — მამა და პაპა, წარმოადგენელი წარსულში ომებით გაწამებული, და იქნებ ამიტომაც ასე მცირერიცხოვანი ქართველი ხალხისა, ისტორიის მანძილზე მის უნებურად ყველაზე ცოტა რომ უცხოვრია მშვიდობიანად, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს.

ოკეანის გაღმელი მილიტარისტები ესწრაფვიან, რომ ომის ქარიშხალმა ამჯერადაც გვერდით ჩაუაროს ამერიკას;

ეს უიმედო ილუზიებია და აუცილებელი არაა აამხედრო პირი იყო, რომ განკვირვებულური შედეგები; დამანგრეველი დარტყმის მსხვერპლი ჩვენს დროში მარტო ევროპის კონტინენტი როდი იქნება!

მსოფლიოში იშვიათად თუ ყოფილა ისეთი პრეცედენტი, რომ აგრესიული გეგმებისა და ომის ფსიქოზის გაჩაღების პირისპირ მეორე მხარეს განიარაღება დაეწყო. და ჩვენთვისაც ნათელი და გამართლებუ-

ლია საპასუხო ღონისძიებება საბჭოთა კავშირისა, რომელიც იძულებულია მიიღოს ეს ზომები ჩვენი სამშობლოს, მოქმედი სოციალისტური ქვეყნების, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხების, მათ შორის ამერიკელი ხალხის, უშიშროების გარანტიისათვის, ყველა კეთილი ნების ადამიანის, მთელი კაცობრიობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ძალიან მინდა, იმედი მქონდეს, რომ ჩემს ხმას მოისმენენ ჩემი კოლეგები — მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის მწერლები. მოისმენენ და გააორკეცებენ, გაასამკეცებენ თავიანთ მონდომებას, რაც მიმართული იქნება დედამიწის გადასარჩენად, მასზე მშვიდობის, სიცოცხლისა და გონების დასაცავად.

ნოდარ დუმბაძე,
ლენინური პრემიის ლაურეატი

გვიღობის დასასჯად

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№1 (565) იანვარი, 1984

შურნალი გამოდის 1928 წლიდან

ხოველთვიური საოცხადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურულ-სამხატვრო შურნალი

მთავარი რედაქტორი
სუბა გერულავა

საქართველოს კვ. ცვ.ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ.შ. მდივანი), ნათელა გიორგოზიანი, თინათინ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურამიძე, ვახტანგ ენვალიანი, ოთარ თურაძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უნა ჯაფარიძე.




სასაქონლო გილოცვა



ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბევრი სახელოვანი მეჩაიე მუშაობს. მე და ჩემი თანატოლები ვცდილობთ გამოვიყენოთ მათი დიდი გამოცდილება და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სოფლის საერთო აღმავლობაში.

1981 წელს მოგვკრიფე 2500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1982 წელს — 5600, ხოლო შარშან — ოთხიათასამდე კილოგრამი.

ვარ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი. აქტიურად ვმონაწილეობ კოლმეურნეობის კომკავშირულ ცხოვრებაში.



ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი ყველახათვის, ვისაც ქართული სპორტის ღირსებისა და სახელის დაცვა ევალება რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.


მუყაითი შრომითა და გულმოდგინებით ხელი შეგვეწყოს საბჭოთა სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის.



ბავშვები როცა ჯანმრთელნი და მხიარულნი არიან, სამყაროს სხვა ელფერი აქვს. მაშინ უფროსებიც სხვაგვარი ხალისით ექიბებიან საქმეს შინ თუ გარეთ.

ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში ვმუშაობ, ბიოქიმიურ ლაბორატორიას ვხელმძღვანელობ. სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ჩვენი განყოფილება, მისა ყოველი თანამშრომელი დღე და ღამ იღვწის იმისათვის, რომ მულამ მზე ანათებდეს ბავშვების თვალებში.

ვაფასებთ ჩვენს პროფესიას და ვამა-



ახალი წლისაგან ბევრს მოველით რუსთაველი მშრომელები. ჩვენი ქალაქის მძლავრი მაჯისცემა, სადაც მრავალი ეროვნების ადამიანი ერთმანეთის მხარდამხარ ძმური სიყვარულით ცხოვრობს და შრომობს, მტკიცედ უერთდება დიდ საერთო სახალხო მოძრაობას, ხუთწლივების აღმასვლით რომ იჭედება.

მეტალურგიულ ქალაქში ჰყვავის ქართული ლექსი, ქართული სიტყვა, აქ გამოდის ლიტერატურული აღმანახები, გვაქვს სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ხოლო ანსამბლ „რუსთავს“ ყველა იცნობს.

ჩემი თანატოლებმა დიდად დააფასეს ჩემი მოკრძალებული შრომა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამომაცხეს. რა თქმა უნდა, უსაზღვროდ გახარებული ვარ ამ მაღალი ნდობით.

სულითა და გულით ვულოცავ ახალ წელს ჩემს ყველა ამომრჩეველს, მთელ ქართველ ხალხს. მშვიდობისა და ბედნიერებას ვუსურვებ ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს.

ციური მოწოდებით,

კომკავშირელი მიჩაი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

სულითა და გულით გილოცავთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახალ, 1984 წლის შემობრძანებას ჩვენს მიწა-წყალზე.

რონა გაფრინდავით,

ხუმარის მსოფლიო ჩემპიონი, ომბგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, კალთა საპალატო ოსპარის პირველი მფლობელი.

ყოფთ კიდევ, ბავშვთა სიცოცხლის სადარაჯოზე რომ ვდგავართ. ვამაყობთ, თან უფრო და უფრო მომთხოვნი ვხდებით საკუთარი თავისადმი. და მაინც გვსურს, რაც შეიძლება ნაკლებად ვჭირდებოდეთ ჩვენს ბავშვებს.

ვულოცავ ჩვენს ხალხს ახალ, 1984 წელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, უღრუბლო ცას, ღიმილიანი დედების სიმრავლეს.

გინა ვაჰარამი,

ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების ეპიმი-გიოქიმიკოსი.



დიახ, კარგია, ღამაზია ჩვენი ქალაქი, მაგრამ გვსურს, უფრო ღამაზი და მშვენიერი იყოს, უფრო მძლავრი და ძლივამოსილი.

ეს სახალწლო დალოცვაც არის. იხარე და იღღერძე, ჩემო ხალხო. გაგიმრავლდეს ფუძე, ქორწილები, ჩვენი ფოლადის ძალა და სიმტკიცე დაგებდლოს.

გოდერძი ფანჩიქი,

მეფოლაღ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.





ციხესიმაგრესავით აღმართულა მთავარი კავკასიონის ორ მთაგრეხილს შორის. გავცქერით მთებს და გვგონია, რომ თვალნათლივ ვხედავთ უსასრულობაში მიმავალ ისტორიას. მთებმა განზე გაიწია, ადგილი დაუთმო ქალაქს, გზა მტკიცე რგოლივით შემოეჭდო სვანეთს. ესეც მესტია — რაიონული ცენტრი. იგი მუზეუმით იწყება.

მუზეუმში თავმოყრილია ხელნაწერთა, ხატების, იარაღის, საოჯახო კურკლის, მატერიალური კულტურის იშვიათი ეგზემპლარები...

სამი ათასწლეულის მიღმიდან გვიცქერიან მჭრელი ნაჯახები, სპილენძის წვერიანი ისრები, ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეების ვერცხლის მონეტები. აქვეა გამოფენილი მაკედონის მეფის ფილიპე

მეორის, ალექსანდრე მაკედონელის (ჩვენს ერამდე 336-323 საუკუნე) ოქროს მონეტები: თამარ მეფის დროის ვერცხლ-რცხლის სურა, VIII საუკუნის ხელნაწერი, რომელიც უღრან ტყეში აგებულ კვირიკეს მონასტერში ინახებოდა. ვეცნობით ქართული კულტურის შესანიშნავ ძეგლს — 887 წელს გადაწერილ ადიშის ოთხთავს. ეს უძვირფასესი ხელნაწერია საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა სვანეთის სოფელ ადიშში. მეცნიერებაში სწორედ აქედან დამკვიდრდა ადიშის ოთხთავის სახელწოდება.

შუა საუკუნეებში სვანეთში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხეზე კვეთილობამ. ამის მკაფიო ილუსტრაციაა, თუნდაც, აცის მთავარანგელოზის ეკლესიის (X-XI სს) მუ-

გეოგრაფიული კუთხე

„უშგულიდან ჯვარამდე მგზავრობა მხოლოდ ცხენით შეიძლება. გადალახავთ უშგულის დათოვლილ ფერ-ლობებს და ადრეულს გაზაფხულის სუსხთან ერთად ძვალ-რბილში გი-ჯდებათ ნახევრადმღვიმური ყოფის შაგბნელი წყვლიადი, ერთმანეთს მი-უუუული ქვითკირის სახლების სიღრ-მიდან რომ იმზირება. ეს გახლავთ ყველაზე მაღალი, სამყაროსაგან ყვე-ლაზე მოწყვეტილი დასახლებული კუთხე — სვანეთი. გულისგამაწვრი-

ლებელი ზაზთრის თევების მანძილ-ზე, პირქვე გამჭვარტლულ კოშკებში გამომწყვედულ ადამიანებს თავი ვერ დაულწევიათ უმეცრების, დაავადებ-ბისა და წარსულის მახინჯი ყოფის ჭაობისათვის. რომლის სიმძიმესაც დროდადრო იქარგებენ ღრეობითა და სისხლის აღებით“.

ნარკვევიდან „ენგურის ბილიკი“ „ზარია ვოხტოკა“. 1929 წელი, II ივნისი.

მესტიის რაიონის მშრომელთა სახელით ახალ წელს ვულოცავ ქართველ ხალხს, საყვარელ საქართველოს. უსაზღვროდ გავახარა დიდმა შეფასებამ, რაც ჩვენს რესპუბლიკას სულ ახლახან მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. გვე-ამაყება, რომ საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ მაღალი მთების მკვიდრებსაც. მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

სოსო კარტოზია,
პარტიის მესტიის რაიონის პირველი უფროსი.

ღღეს


გზა სვანის ხორასნული ფოლადის ხანჯალივით სწორია და პრიალა. კლდოვანი ბილიკები დათოვლილი მწვერ-ვლების კალთებზე შეკიდულ-ან. კალთები თავბრუდამ-მხვევად ციცაბოა. წინ ლოდებ-ბის არშეივბია. გაუგებარია, ეს ლოდები რას უჭირავს, რომ დგანან და არ ზევადებიან. „გოლგა“ მთებში მიჭრის. წინ კლდოვანი ფერდობებია. ნის-ლი კლდის წვერებს ფთილასა-ვით ედებდა, წვეთებად იჟურე-ბა და მიწაზე ბრუნდება. ყო-ველი მოსახვევის შემდეგ ახა-ლი პეიზაჟია, — მრავალფერო-ვანი ბუნების ახალი სილამაზე.

მთის წვერებზე ტყეები ჯაგა-რივით აღმართულან. შორიდან მარადიული თოვლის სამყარო შემოგვცქერის. აქ იღებს სათა-ვეს ენგური და აქაფებულნი შხულით ეშვება თავქვე.

ყველგან, საითაც გაიხედავ: ველებზე, ბაღებში, ალპურ მდელოებზე ხალხი შეფენილა.

„რად უნდა სვანეთს გზა? სვანებს ურმები არა აქვთ. ან ურემი რაღად უნდათ? გზე-ბი არ არის“... — ხუმრობდ-ნენ წინათ სვანები. რევოლუ-ციამდე სვანებს გზებისა ისე ეშინოდათ, როგორც ცეცხ-ლისა. გზას უბედურებაც მო-ჰქონდა: ეგზეკუციები, გადასა-ხადები... ახლა გზას სიკეთე მოაქვს. სვანეთი მიუღვამელი





ფილი მაგალითია იმისა, თუ რას აძლევს მშრომელ ადამიანს საბჭოთა ხალხების სწრაფი კვლავების მგვარობა

სოფლი

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ასეთი ტრადიცია აქვთ: სტუმარი მიჰყავთ კახალის თავზე, სადაც „სათვალთვალ მოედანი“ და ფრიალი კლდიდან მშენებლობის პანორამას უჩვენებენ.

განსაცვიფრებელი სანახაობაა. ერთმანეთს ენაცვლება ავტომატური ბეტონის ქარხნებისა და ცემენტის საწყობების მასიური კომპლექტრო-გადამცემი ხაზების საყრდენები. ზღაპრული მამონტებით აღუმართავთ „ხორთუმები“ თვითმავალ ექსკავატორებსა და მძლავრ ამწეებს... სარკესავით ლაპლაპებს „ჯვარს ზღვა“.

მშენებლობის უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ ცისკარიშვილმა ცაში აღმართული მთების დათოვლილი მწვერვალებისაკენ მიგვანება და გვითხრა:

— იქ იბადება ენგური. გზაზე იგი იერთებს მრავალ რუს, ნაკადულს და თავქვე ეშვება. სვანეთში ენგური ძალზე ხმაურიანია. ენგურის წყალი უკვე გადაიღვს ელექტროენერგიას, მდინარე ემსახურება საწარმოო ძალების აყვავებას, რწყავს ათასობით ჰექტარ მიწას. ქვეყნის 300 ქარხანა გვეხმარება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. მას 27 ეროვნების ადამიანი აშენებენ. ეს ბევრი მეტყველებს. ენგურის მაგალითზე თვალნათლივ ვხედავთ დღევანდელ დღეს, ვკვრეტთ მომავალს. ენგურის მახლობლად შენდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგური, პერსპექტივაშია ნამახვანის სადგურის მშენებლობა. კაცმა მუდამ ისე უნდა იცხოვროს, რომ ხვალინდელი დღე გუშინდელზე მნიშვნელოვანი იყოს. მაშინ გულდასაწყვეტი აღარაფერი გვეჩვენება. ამ მხარის მომავალი მართლაც შესანიშნავია. ეს განლაგებული ელექტროსადგურების კასკადი, მთებში განვითარებული მრეწველობა. ეს არის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, რომელიც ხალხთა მგობრობაში, ძმურ ურთიერთდახმარებაში იჭედება.

თვალსა და გულს ახარებს სვანეთი დღევანდელი, სვანეთი ხვალინდელი.

რამ ღაპიძე,
საპარტიზო სსრ ღაპიძე-რეპული შურნალიძისტი.

ხის მოხუჭურთმებული კარი, აქვე გამოფენილი ხის ფარი (XII-XV სს.). უნებლიედ ჩერდები რკინის ჯაჭვთან, რომელსაც ფეოდალები ბორკილად ადებდნენ. ტყვეებსა თუ ურჩ გლეხებს...

ყოველივე ეს სვანეთის, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოცანად რჩებოდა.

ორგვლივ კოშკებია, ვერც კი დაითვლი 20... 30... 40... მათი სიმაღლე ოცი მეტრი და მეტია; კოშკები უფანჯროა, სათოფურებიანი. საცხოვრებელი სახლები კოშკებთან სვეციალური საძვრებით და გასასვლელი ხიდებით არის დაკავშირებული.

თავისუფლებისმოყვარე და ამაყი სვანები სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძოდნენ მტრებს აღსანიშნავია, რომ საქათველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სვანეთი არასოდეს დაუპყრიათ მომხდურებს.

სვანები მშვიდობიანი ხალხია, მათ არასოდეს გაულაშქრიათ სხვა ხალხების წინააღმდეგ. ისინი თავიანთ ქედმოუხრვე კუთხეში ცხოვრობდნენ. როგორც მტრისგან გარემოცულ ციხე-სიმაგრეში. სვანები გარე სამყაროსთან ურთიერთობას მხოლოდ აუცილებლობის დროს ამყარებდნენ: დასჭირდებოდათ მარილი და შავი ზღვის სანაპიროსკენ მიდიოდნენ ძნელი, საშიში გზით — ენგურის გაყოლებით. მრავალი დღის შემდეგ სვანი შინ ძვირფასი მარილის ნაკრავით ბრუნდებოდა. ამ მკაცრმა მხარემ თავისი პირქუში ბუნებით ადამიანები ვერ გასტეხა, პირიქით, გამოაწროთ მათი ხასიათი, გასაჭირის ამტანი გახადა.

XX საუკუნემდე სვანეთმა შეინარჩუნა პატრიარქალურ-თემური წყობის გადმონაშთები. ეს ნაშთები მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გაქრა. და აქ, ღრუბლებს მიღმა მთებში, ამოაღწია ლენინის სიტყვამ. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობამ სვანებს ნათელი ცხოვრება მოუტანა.

თანამედროვე სვანეთში მეტად საგრძნობია კონტრასტები. აქ ერთმანეთს ერწყმის საუკუნოვანი ისტორია, დღევანდელი და მომავლის ნიშნები. შუასაუკუნოვანი კოშკების გვერდით კოშკურა ამწეები აღმართულან. აგებენ ახალ სახლებს, სამრეწველო შენობებს, საყოფაცხოვრებო ნაგებობებს. მესტიაში გადაუხვევთ თუ არა მოასფალტებული მთავარი ქუჩიდან, უმაღლესა სამყაროში მოხვდებით: ვიწრო შულები, ამწვანებულ ბაღებში ჩაფლული ქოხები, კოშკები...

სახელმწიფო მათ იცავს, როგორც წარსულის ძეგლებს. ჩამონგრეული კოშკები და შუკა-ჩიხები სვანეთის შორეული წარსულია. მისი დღევანდელი დღეა — სატელევიზიო ანძები, ბიბლიოთეკები, სკოლები, თეატრი, სპორტულანაგებობანი. სწორედ ისინი აახალგაზრდავენ სვანეთს.

1930 წელს სვანეთში საოცრება მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ასე წყარდნენ მაშინდელი გაზეტები. 18 აგვისტოს მთის მწვერვალებს გადაუქროლა თვითმფრინავმა და ფურცლები ჩამოყარა. ფურცლებში ეწერა, რომ სვანებს თვითმფრინავის დასაჯდომად სვეციალური მოედანი უნდა მოემზადებინათ. 22 აგვისტოს სვანეთში დაეშვა პირველი თვითმფრინავი „უ-2“, რომელსაც მფრინავი ლიაპინი მართავდა. სვანეთის უხუცეს მკვიდრთ დღესაც ახსოვთ იგი და მისი მადლიერი არიან. ლიაპინამდე სვანეთში არავის უფერნია. მისი ღრმა და ვიწრო ხეობების, კლდეებისა და მყინვარების, ათასწლოვანი ტყეებისა ყველას ეშინოდა.

... ვესაუბრებით სვანეთის ერთ-ერთ უხუცეს მკვიდრს. ადამიანს, რომელმაც ცხრა ათეულ წელიწადს გადააბიჯა. მოხუცს კარგად ახსოვს 1942 წელი, როცა სვანეთის მთებში ომმა იჭახა.

— მთელი სვანეთი მაშინ ფეხზე დადგა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, — გვითხრა მან. — მარტო ერთ პატარა სოფელ ჯანხუნდერიდან ორმოცდაათივე ვაჟაკი, როგორც ერთი, ფრონტზე წავიდა. 39 მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა.

მოხუცი ასახელებს სვან მეომრებს: ვარდენ ზურაბიანს — I და II ხარისხის სამამულლო ომისა და ალექსანდრე ნეველის ორდენების კავალერს, შალვა ზურაბიანს — საბჭოთა კავშირის თერთმეტი ორდენითა და მედლით დაჯილდოებულ ვაჟაკს, კუკური ჯანხოთელს, რომელიც მოსკოვის მისადგომებიდან ბერლინამდე მივიდა, ძმებს: გერასიმე, მიხეილ და გუჯა ტვილიძეებს. ნომრევიან ონიანი მოხალისედ წავიდა ფრონტზე და ყირიმში ა. კულაკოვსკის ცნობილ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა.

სვანები ამაყობენ თავიანთი თანამემამულით, წყალქვეშა ნავის მეთაურით, საბჭოთა კავშირის გმირ იაროსლავ იოსელიანით. ეს მისი წყალქვეშელები შიშის ზარს სცემდნენ ფაშისტებს შავ და ბალტიის ზღვებში. იაროსლავ იოსელიანმა წყალქვეშელები მებრძოლთა საგმირო საქმეები აღწერა

ცნობილ წიგნებში „წყალქვეშელის ჩანაწერები“ და „ცეცხლი ოკეანეში“.

სვანი ქალები არასოდეს ტოვებდნენ მშობლიურ კუთხეს, მაგრამ ომის დროს, ისინიც კაცებზე ბარში ჩავიდნენ. აი, თუნდაც ცაცა გოლეთიანი. იგი პირველი ქართველი ქალია, რომელიც ორთქლმავლის საცეცხლურთან დადგა. მალე მემანქანე გახდა. იგი დღესაც დაუღალავად შრომობდა და კავკასიის დამცველებს საბრძოლო საჭურველი ამარაგებდა. დღესაც, წლების მიუხედავად, ცაცა გოლეთიანი მატარებლებს დააქროლებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. სსრ კავშირის საპატიო რკინიგზელი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საუკუნეთა განმავლობაში სვანეთი უწინგური იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ ჩამოყალიბდა სახელოვანი სახალხო ინტელიგენცია. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის თენგიზ ონიანის, პროფესორების მაქსიმე ქალდაინის, აკაკი დავითიანის, ვასილ ონიანის, გამოჩენილი პოეტის რევაზ მარგიანის, მწერლების აკაკი გელოვანის, სიმონ შამფრიალის, მირონ ხერგიანისა და სხვათა სახელები კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

1975 წელს, სვანეთმა ტელეგადაცემა მიიღო. 1977 წლის 28 ოქტომბერს აქ კიდევ ერთი სიახლე მოხდა: გაიხსნა ხაიშიდან მარადიული თოვლით დაფარული სვანეთის მთებისაკენ მიმავალი სავტომობილო მაგისტრალი. 112 კილომეტრიანი გზა მიუყვება მქუხარე ენგურის ნაპირს, იგი კლდეში გაყვანილ გვირაბში იკარგება და მთებისკენ მიემართება.

მესტიის ხალხმრავალ ქუჩებში მოაბიჯებენ მწველავები და მებზორეები, ტრაქტორისტები და მთიბავები... ხან აქ, ხან იქ გაისმის სიმღერა, რაიმე დღესასწაული როდია, უბრალოდ, ახალგაზრდობა საქმეს მორჩა ფერმებში, მინდვრებში, სახელოსნოებში და კლუბისაკენ მიეშურება. იწყება საგუნდო და დრამატული წრეების რეპეტიციები, ახალი კინოფილმის დემონსტრირება, სასოფლო ბიბლიოთეკაშიც ხალხმრავლობაა.

ახლახან ჩადგა მწყობრში კიდევ ერთი კლუბი, საყოფაცხოვრებო კომბინატი, კინოთეატრი. სვანეთში ახლა თექვსმეტი მშენებარე ობიექტია: მწყობრში დგება სკოლები, სპორტული კომპლექსი, კავშირგაბმულობის კვანძი, საბავშვო ბაღები, კირის ქარხანა... დღევანდელი სვანეთი მკა-

მთავი

ქარი უჭერდა მთებს ყინვის სალტეს,
ცა ელვის ჯაჭვით სცემდა და ჭუხდა.
მეწყარავდა თოვლი, მომწყდარი ფლატეს...
მთები ყველაფერს ატანდნენ უხმოდ.

სიმტკიცით სძლევდნენ თვის ყოფას მწარეს.
დუმდნენ, სიკვდილზე დარდს არ ისევდნენ
და მანათობლის სხივთა ალერსსაც
ეგებებოდნენ მშვიდი ღირსებით.

მზიბლავდა მთების უჩიათობა
და მოლივლივე სივრცე ლილისფრად.
ვიდექ მათ ძირას და გულს ათრობდა
მთათა სიმშვიდის ჯადო-თილისმა.

აქ უხერხული ჩანდა სიცილი,
სირცხვილი, ცრემლთა ფრქვევა ჩვილივით.
აქ სწამდათ სიტყვა — სხარტი ფიცივით,
აქ თავისმოჭრა იყო ჩივილი.

აქ პატივს სცემდნენ, ვინც ჩუმიდ შრომობს
მთების შვილი და... მთების ნაწილი!
აქ არ იმჩნევდა იოლად წყრომას
კაცი, ჭაპანის თმენით გამწევი.

...დენტს წამისწამში ალი მტვრად აქცევს,
მქუხარე წყაროს დაჟურავს ჟამი,
რიარიაში იქნებ გზას ასცდე,
გულავსებული საწუთროს შხამით.

ამიტომ ველტვი მე მთათა თავანს,
მათვან შორს ყოფნა ამიტომ მიჭირს.
მითაჟამიდან გულმშვიდად დგანან
მთანი — ძლიერნი მოთმენის ნიჭით.

მაჰაჯირის ბოლბუა

შორს არის ჩემი აფხაზეთი, ხულისთქმა ჩემი,
ვერ ვხედავ მის მთებს, მთებზე — ცას და ცაში — არწივებს.
დამხსენ ამ წყვილადს, ზღვაო, შენი იმედით ვრჩები,
შენს ხელისგულზე დამაწვინე და დამარწიე.

არ მინახიხარ, აფხნი, თვლით, მაგრამ მამებმა
სულზე ამიცრეს შენი ხატი — სიზმარებში გხედავ.
ხარ ჩემი რწმენა, ჩემი ღზენა, ჩემი წამება,
გულს სიყვარული თუთქავს შენი, მიწაო-დედავ!

და ჩემს თვალეში დღეცისმარე ცრემლი ციალებს,
ფიქრი ოდითგან შეწონვია შენს სახეს ნეტარს.
გვედრი, შენ თვითონ უმკურნალე ჩემს ღრმა იარებს!
ო, ერთხელ მაინც ჩაგახედა ამ სულში, ნეტავ!

შენს ქედებს ჯილად დასდგომია თოვლი მარადი,
რა დააკებს მდინარეთა შენთა დინებას!
მხარევე, გაშლილო ზღვის კარიდან ზეცის კარამდი,
ხარ ჩემს ბინდისფერ გზაზე ნათლის გამობრწყინება.

გული ოხრავს და... ამოხვრის არ მომდევს ძალი,
დროა ყველაფრის მომცემი და მიმთვლელიც — დროა.
ჩემი აისი ჩემს დაისს ჰგავს დაბინდულ ალით,
დიან დღეები და ცრემლები მიაქვთ და... მოაქვთ.

ვის, ვის გავანდო აღსარება სულის შიშველის?!
რომელ ზმანებებს გავუვიდო, რომელ აჩრდილებს?!
ვდგავარ ქარაფთან, ვილა მოვა, ვილა მიშველის?
გვედრი, მამულო, დამენახე და... მომარჩინე!

ჩემკენ ისწრაფვის ზღვა სამანთა გადამლახველი.
ვითარც ჩემს ფიქრებს, მოაგორებს ტალღას მირიადს.
ზღვას ძლიერ უნდა გააქარვოს ჩემი ნადველი
და ყალყზე დგება... ზღვა ბობოქრობს, ზღვა შემოლილია,

ო, ამიყვანე, ზღვაო, ხელში, ო, ამიტაცე,
შენს ხელისგულზე დამაწვინე, დემრთი იწამე!
მე მეჩვენება: ვდგავარ ჩემი აფხნის მიწაზე!
მე მეჩვენება: შორი გზაა აფხნის მიწამდე!



გიორგი გუბლია

მიუსწარაში

ტერფებს მიწვავდა ასფალტი ცხელი
და მანქანების ხმაური მლლიდა.
დავთმე პალმების ჩრდილები გრძელი,
ისევ ვეწვიე შენს მიწას წმინდას.

ო, მთა ამბარა! ფეხი ზღვაში აქვს,
თავად კი თითქოს ზეციდან მიმწერს...
კვლავ აკიაფდნენ ჩემი ბავშვობის
შუქურნიშნები დაისის ბინდზე.

სულ სხვა ჯადო აქვს აქ შელამებას —
ამოდის მთვარე ნარნარი რხევით,
მთვარით გავსება სულს ეამება
და მთვარის ბილიკს მიფყვები... ზევით!

სიმაღლის გალადა

გაცოფებული, შეხეების მფრქვევი,
შეხეთქებული კლდეების შიბებს,
მიგრილებდა მდინარე ქვევით,
ბოლოს... ლოდების ჩათავდა კიბე.

სივრცე, საოცრად მშვიდი და სწორი,
ტანტად გაეგო... და ახლა ველად
მიიკლაკენება ორ ნაპირს შორის,
როგორც ქალწულის ნაწნავი გრძელი.

სიმაღლე, ყალყზე რომ აყენებდა,
როს აყრუებდა ზათქით ხეობებს,
გამოეცალა... მორჩა ტენებას
და ლაქვარდებში ზესთაზეობას.

დათმო სიმაღლე, ქაფიან ნისლში
ვეება ზვირთებს რომ აბრუნებდა
და... სულ ვერა ვცნობ, დემრთმანი, ისე
გამოეცალა ზნე და გუნება.

ვინც კეთილია...

ვინც კეთილია, სიკეთისთვის დაშვრება მხოლოდ,
გინდაც აწამონ, ის მართალი გვით წავა მაინც.
მთესველი ავის და სიკეთის მთესველი, ბოლოს
ორივე მოიმიკის დათესა, რაიც.

ვინც ქვეშ-ქვეშაობს და ერთმანეთს სხვებს უნიხინებს,
რათა აღწევდეს თვითონ (ვითომ ალაღმართალი!),
ვერც ამჩნევს, ჟამი რას უმზადებს — გზად თავისივე
ჩასაფრებია ბოროტება, როგორც აფთარი.

ლექსი ტიალი

უკმარისობა მაწამებს დღესაც,
ვშფოთავ, მიბრუნავს სულში მორევი.
მეზობლები კი ენას ლესავენ
და ჭრილებენ ურცხვად ქორები.

რას არ მარქმევინ — გულგრილს თუ უხეშს.
ყველაფერს ვიტან კბილთა ღრჭილით.
მე სხვა დარდი მკლავს, სხვა რამეს ვწუხვარ —
ველარ ამოვთქვი ლექსი ტიალი.

ირინე ტალიაშვილი

● სათიბში ორნი არიან, მამა და შვილი. მამა წინ ცელავს, უკან შვილი მიჰყვება. ლაბაწურთა, მზეზე გახუხული ბიჭია, წვრილი, გამხდარი მკლავები აქვს. მაინც ყოჩაღად იქნევს ცელს. მეტისმეტი გულმოდგინებისაგან ენის წვერს ტუჩებს შუა ათამაშებს. ხანდახან გადმოხედავს ხოლმე მამა, დაინახავს მის კოჭებადქცეულ შუბლს, დაძარღვულ კუნთებს, შეეცოდება ბიჭი. მაგრამ თქმით კი არაფერს ეტყვის.

— არა უშავს, მოუხდება, ბალოა, — ჩაიდუღუნებს და უფრო მოზომილად, მოხდენილად აათამაშებს ცელის პირს ბალახებში მინდვრის ლამაზმანები — ღიღილო და გვირილე-ბიც ურევია. ისეთი გულწამტანები არიან, რომ მამა-შვილი ხანდახან მოწყალებას იჩენს და მოსათიბად ვერ იმეტებენ. დგანან ისინიც შუა მინდორში, ცელის პირს გადარჩენილები და აქა-იქ ბიბინებენ დაცემულ თანამოძმეთა შორის.

პაპანაქება თანდათან მატულობს. საწვერაგზე წამოსული მზე უკვე ისეთი გამწარებით იკბინება, რომ კრიჭინებიც დუნდებიან და გაწყვეტილი სიმებიებით ქვრივლებს გამკვირვალე ცხელ ჰაერში.

მხოლოდ მთიბავები არ ებუებიან სიცხეს.

— ერთი მოქნევაც და... — თვალებით ამხნევენს მამა, მაგრამ ბიჭს არ სჭირდება მისი თანაგრძნობა, კოჭებზე ეტყობა, რომ მამის შვილია, სიტყვაძუნწი და ქვეშეკემა. საფეთქლებზე ოფლის წვეთები უბზინავს, მოსაწმენდად კი ვერ იცლის, ნამისკენ აპარებს წამდაუწყუმ მზერას და ცდილობს, არ ჩამორჩეს, თავი არ შეირცხვინოს.

— კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემხედლო, — ლილის იწყებს მამა და უფრო იწევს ხმას, — გავიხედე სერზედაო...

— მიდი, მამი, მიდი... — უხმოდ, ღიმილით აქებებს მამას ბიჭიც.

მამაც „მიდის“. ჩამოსხმული, ბრინჯაოსფერი ზურგი ტიტანივით ულაპლაპებს და თითქოს წმინდა რიტუალს ასრულებსო, კვლავ მოხდენილად ათამაშებს ცელს.

მზე სულ იქით და იქით ციხე-გორასკენ მიცურავს. ოქროსფერად გაბრწყინებული მინდვრის ზედაპირი თანდათან მკრთალ ბურუსში იძირება და მთებიდან მობერილ ნიავს უთამაშდება. მთიბავებიც იღლებიან. უკანასკნელად იქნევს მამა ცელს და ღიმილით იმშვენებს სახეს.



სოფელსადაც უნდა ვისცევი

პირობრიობა

— გოგილო, მრგეშველო, ჯეილო?

გოგილო ჯეილი არ ეძრახება, თვალების გრილით თავი-ლობს მინმარებას და გაჯავრებული იქნევს ცელს. ცელის წვერი ქვას ედება და მისი წკრიალი საყვედურივით გაისმის ათრთოლებულ მიდამოში...

სამუშაო დღე მთავრდება. მთიბავები კვლავ უბრად მიაბიჯებენ შინისკენ. წინ ჩვეულებრივად მამა მიალაჯებს, უკან მორჩილ ხბოსავით მიჰყვება ვაჟიშვილი. მათ ნაბიჯებს შორიდანვე სცნობს აივანზე გადმომდგარი, ლოდინში თვალეზამოღამებული ბებია.

— უიმე, მუშები მოდიან, ქალოო, — შეიცხადებს და ახალგაზრდულად დაბზრილდება, — გოგო, ელიკოო, სუფრა ვაშალე, სუფრა, — ვასძახებს რძალს. დედამთილის ფუსფუსზე გოგილოს დედაც შეფუტუხუნდება.

— რაღა ვქნა? პურის სესხება ვერ მოვასწარი, დაობებულს ხომ ვერ ვაჭმევ? — თავში ხელს შემოიკრავს, მერე აივანზე გადადგება და მეზობელს ეძახის.

— კატო ძალოო, ხვალამდე პურს ვერ მასესხებ?

— ჰოო, ჰოო, — გაისმის ლობის იქიდან კატო ძალოს დასტური და პურთან ერთად აკაპიწებული კალთით რამდენიმე ცალ პამიდორსა და კიტრს მორაბენინებს.

— ეამებათ, შვილო, დალოლილ გულზე. კაცმა ეხლა ამაიტანა ბალიდან.

ამასობაში მუშაკაცებიც შემოაპრიალებენ ჰიშკარს. ცელებს იქვე, საბძლის გვერდით, მიაყუდებენ და აივანზე გადმომდგარ დედაკაცებს დონჩ-შემოყრილები, ღიმილით შეჰყურებენ.

— მოჰკალ, კაცო, ბალოი სათიბში ტრიალითა? — უკმაყოფილოდ აქნევს თავს გოგილოს დედა მზეზე გახუხული შვილის დანახვაზე, — მოჰკალ, ხომ?

მამა არ ესიტყვება ცოლს, მშვიდი, ეშმაკური ღიმილით იყურება ისევ აივნისაკენ.

— მოვკალი, არა — ებუზღუნება ცოლს, მაგრამ ხმამაღლა კი არა, გუხებაში.

— დაიბანეთ ხელები და ამოდით ზევით, სუფრა ვაშლილია.

ისევ ზევიდან მბრძანებლობს გოგილოს დედა და გაქათქათებულ პირსახოცს ჰაერში აფრთხილებს.

— აბა, დაიჭირეთ... ვიდრე კაცები ფართხუნ-

ფრუტუნით იბანენ ხელ-პირს, გარემო შეუმჩნევლად ბნელდება. მოწმენდილ ცაზე ნაადრევად ამობრძანდა მთვარე და მისი განუყრელი თანავარსკვლავედი.

— ჰამეთ, ჰამეთ, შეგერგოთ, — ახლა უკვე ბინდუნდში გაისმის ბეზიას ლოცვასავით ჩურჩული. მოშიებულ მამა-შვილს ხვეწნა არ სჭირდებათ, ისედაც მაღიანად მიირთმევენ საჭმელს. გულხელდაკრეფილი რძალ-დედამთილი კი მშვიდი, კმაყოფილი ღიმილით მისჩერებიან ოჯახის ბურჯებს. გრძნობენ ისინიც მათ მზერას, მაგრამ არაფრად აგდებენ, მიჩვეულნი არიან უკვე დედაკაცების მეთვალყურეობას. წმინდანების აჩრდილებივით შეუმჩნევლად მფარველობენ მათ სიმშვიდესა და მყუდროებას.

— სულ მოთიბეთ? — საერთო სიჩუმეს არღვევს გოგილოს დედა.

კაცები ხმას არ იღებენ, უფრო გულმოდგინედ იტენიან პირში ბლუჯა-ბლუჯა მწვანის.

— ხმა ამოიღეთ, კაცო, მგლებად ნუ გადაიქეცით. — წიწმატდება ელიკო.

— რა ვთქვათ, რო, გავთიბეთ და ეგაა, — ეპასუხება მამა, მაგრამ ხმამაღლა კი არა, ისევ გუხებაში.

— ჰოდა, მორჩით სამუშაოს

მთარ ვალაგბერიძე

შენ გწერ ამ ბარათს ღამენათევო, შორს რომ ხარ ჩვენგან და გვენატრები...

ღვთის ანაბარა ვის დაჩვენია ყრმობის კერა თუ შესაყულადარი? შენ გწერ ამ ბარათს, ვფიცავ: შენივე სახლიაკების ხვეწნა-მულადით.

იქნება ბედი აქაც ეძიო და არ იკადრო უკან გაქცევა; სოფელი მარტო თავშესაქცევად არ შეუქმნია მამაზეციერს.

სიკეთე ითხოვს მარილის მოყრას, — ამგვარად სჯიდნენ მამა-პაპანი; უღელახსნილი ხარით რომ ხარ, უნდა გასწიო ზოგჯერ ჭაპანიც ამოდის...

მზე აქ ისე ამოდის, თითქოს სიზმრულ ფრთებს ელოდები: გინდა — იმ ოდის, გინდა — ამ ოდის ჩრდილში დაჯექ და წერე ოდები.

ამოდის ისე წმინდა, ცინცხალი, გტანჯავს სურვილი ნახად შეხების; აგერ, პატარძალს მოაქვს ჭის წყალი და ბრჭყვიანებენ გზა-გზა შეხებში...

გილაც ცხენს ისე ფიცხლად აქროლებს, არ დაედება ხვიფლი შარავზებს; სოფელი კეთილ ძიძას მაგონებს, რომ არ შორდება ფიქრი ქალაქზე...

აქ თითქოს სულიც შეფოთლილია და სულშიც ჰყვავის მწვანე ვარსკვლავი და ალუბლების თეთრ ფლოტილიას ქარი მიარწევს ზმანებასავით!..

ჭილის ქულებით და კალათებით გამოდენილან ქალიშვილები, მათი თვალების კაქანათებში მოემწყვდევი და დაიჩრდილები.

აქ ყოველ სტოიქოსს მზით გაალული მეტაფორები უსაფრდებიან... აქ შთავგონებას სულ სხვა ფრთები აქვს, ვნებიანი და პასტიორალური.

სწორედ ამ ზღვაში უნდა შესცურო, იგრძნო ხალისი განუზომელი; როცა სიმღერა შრომას მეგზურობს, ორმაგად იძის დოვლათს მშრომელი.

ყველა ნაღვანი არის დღემოკლე, თუ ფიქრობ, მხოლოდ ცაში აქროლო; სოფელი ელის თავის შეძოქმედს, როგორც ექიმს და როგორც ავრონომს.

სოფლის ფრები მიწყვი მღერიან (შენ ზოგ ურწმუნოს არ დაუჯერო); ფერი რაც უფრო მიწყვირა, მით უფრო იფრენს მალა უშენოდ.

ქალაქს ხომ ფერთა სიფიერე ახლავს? ისე ზილწევ კაცი სიბერეს, ვერც ფიროსმანის „წიწილებს“ ნახავ, ვერც — კაკაბაძის ზღაპრულ „იმერეთს“.

გადაჰყოლიხარ უძველეს ტაძრებს და გატკობს მათი ლურჯი ხედები; წარსულის ტრფობას მაშინ აქვს აზრი, მომავლისაკენ თუ იხედები.

თუ გინდა სძლიო დარდის მორიელს და ფიქრსაც ჰქონდეს მეტი სიცხოვლი, მოეშვი, ძმაო, მაგ ისტორიებს და სადღეისო ღელვით იცხოვრე.

რწმენა შრომაში გამოატარე, როგორც მარცვალი ხნულში ნავდები. არ მოაკლდება ქალაქს მხატვარი, შენ კი საკუთარ ფუძეს აკლდები.

რატომ გწერ ასე, ალბათ, მიმიხვდი, — მოხვალ და ისევ წახვალ დიდი ხნით. იქნებ გგონია, სწორედ აქედან თბილისი მიყვარს შენზე ნაკლებად?!

იქნებ გგონია, ხმები ჰოპუნის არ გაქვს ყრმობიდან დავიწყებული?

აქ სიმარტოვეც, მშვიდი, სოფლური, ზეგარდმო მადლით არის ცხებული.

იქნებ გგონია, აქ არ ფრიალებს ზეშთავგონების აფრა ცისფერი? მთებს რომ გახედავ თავსაფრიანებს, ყალმს დასწვდები გაფაციცებით.

დავდივარ სოფლის მშვენიებით მთვრალი და გრძნობა მოსწვეთს კალმის წვერიდან; მე გუშინ ვნახე, მზისფერი ქალი თეთრშუბლა ძროხას როგორ წველიდა.

ხომ არ გგონია, რამეს ვაჭარებ? ან ეს აღვზნება ხომ არ გაოცებს? მე ცალმაგობის ტვირთიც მაჯავრებს, შენ კი გულდინჯად ითვლი ნაოქებს...

აქ ყველა ერთი კომლივით ცხოვრობს, ჭირიც და ლხინიც არის საერთო; საკმარისია, გაენდო მხოლოდ, რომ მის ვეება ჭალში აენთო!..

ვინ შეძლებს შენი უღლის გაწევას, თუ უნაყოფო ფიქრით დაშვრები? სოფელი იყო აკვნის დამრწევი ჩვენი სამშობლოს დიდი მარშლების!

ის დღესაც გახლავს ბრძენი მრჩეველი და ჭრის და კერავს, როგორც წესია; მისი ჭეჯილით, მისი ტყე-ველით, სუნთქავს მხატვრობაც და პოეზიაც.

მაშ, დაიტვირთე ე მაგ პალიტრით, ე მაგ მუშაპბით და გუაშებით და მოგვაშურე... ახლა არ იტყვი, ვით გაიხარებს ბაბუაშენი?!

...უკვე ღამეა. სულშიც ჩავყურებ, სივრცე იმგვარად მოკამკამეა და თეთრყირმიზა ნუშის საფულეს მთვარე ჰკილია, როგორც კამეა...

გვიანი ღამის მიყვარს ღლაღი, აქამდე მითომ არ ვიძინებდი. და მაინც ღროა — ვიხარა: ნახვამდის, და დავწვე შენი ნახვის იმედით.

თუ ხვალაც მიდიხარ? — ახლა ბებია ცდილობს მათ გამოტეხვას. მამა მხრებს იჩეჩავს.

— კაცო, ფული გინდა რომ მოგცე ლაპარაკში? თუ... — კაასდება მოთმინებიდან გამოსული ქალი.

— აი, გაქრა თქვენი ჯიში, მამამისმაც ეგერე არ იცოდა? — ბრაზდება დედამთილიც და შეილიშვილს უტყვის, — შენ რაღა მოგივიდა, ბიჭო, დაამთავრეთ გათბება?

— დავამთავრეთ მა, — ცალყბად იღრინება ბიჭი. — შეგვარგეთ ლუქმა, — ფხუკიანობს მამაც.

— აიი, თქვენგან წესიერ

სიტყვა-ბასუსს რო ვერ გაიგებს ადამიანი... თავს აქეთ-იქით ავდებენ რძალ-დედამთილი და გულხელდაკრეფილები კვლავ აჩრდილებივით ქვედებიან სუფრის გარშემო.

ლაქვარდში უფრო ყვავილდება მთვარე. ჭერმისფერი ედება შემოგარენს, ხან აქ, ხან იქ, თითქოს უხილავი ხელით ინთებიან მრავალრიცხოვანი ვარსკვლავები. თანდათან ყუჩდება მიღამო.

მუშაკაცებიც ამთავრებენ ვაშამს. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოდიან დაბლა, ეზოში, და იქვე საზამთროდ გამზადებული რცხილის მორებზე

სხდებიან. მამა ნება-ნება აბოლებს პაპიროსს, შვილი ბაჭისავით იბღუნძება და მუხლებზე მკლავებშემოჭდობილი კისერგადადებული შეჭყურებს მთვარეს.

მრავლისმთქმელი სიღინჯითა და ღირსებით ავსებული მთვარე, კეთილი ნათელით გადმოსცქერის სოსიანთ ეზოყურეს.

— გესმის, მამი? — ჩუმად ჩურჩულებს ბიჭი. — მესმის, მაშ? — კვერს უკრავს მამა და ორლობეში ამომავალი ურმის ჭრიალს აყურადებს. მეურმის ღიღინი აფხიზლებს მიძინებულ გარემოს.

— მთვარის სიმღერაა არა, მამი? სულ ზაფხულში მღერიან...

— ეგ არის, მაშ, ღამისაცა და მთვარისაც. — კარგია, ღამე, არა, მამი? — კარგია, მაშ! — თავის დაქნევით ეთანხმება ისევ მამა და ბიჭივით კისერგადაწეული თვითონაც ნატვრით უშტერებს მთვარეს თვალებს.

ორივენი უხმოდ აცმაცუნებენ ტუჩებს. ციდან კი უხვად იღვრება ზაფხულის ნათელი და სიამის მრმგვრელი, უშფოთველი მთვარის სიმღერა ნარნარად ეფინება სოფელს თავზე.



პრობრობა

სუბა გერულავა

● ზუგდიდში, რაფიელ ერისთავის ძეგლთან შეგვხვდა იმ დღეს ივლიანეს.

ხეივანში შემობრუნდა და ძელსკამზე მანიშნა. არ უკითხავს: სადა ხარ, როგორ ხარ. როდის ესტუმრეო აქაურობას. ოღონდ ის იყო, თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა და პირდაპირ მომახალა:

— უცნაური კაცი იყო მამათქვენი, შვილო მურთაზ!

მონხუცმა მხარზე ხელი დამადო, თითქოს ახლაც ის პატარა ბიჭი ვიყავი, პირველად რომ მნახა.

ბავშვით დამწყდა გული. მულამ ვამაყობდი მამის ვაჟკაცობით, შრომისმოყვარეობით, გულკეთილობით. ყველა კარგ თვისებას, რაც კი არსებობს ადამიანში, მას მივაწერდი. არა, მე კი არ მივაწერდი, ასე მიხატვდნენ მამაჩემს ძველი ნაცნობები. ვანა მქონდა უფლება, არ დამეჯერებინა მათთვის? გუმანით ვგრძნობდი, კი არ მანუგეშებდნენ, გულით ლაპარაკობდნენ.

მინც როგორ უხარიათ ადამიანებს, კეთილად რომ გაიხსენებენ მათ მშობლებს! ღმერთმა ნუ ქნას, დედ-მამის სახელები დასამალავი გაგვიხდეს. მაშინ ალბათ ცხოვრება არც ეღირებოდა ამ ქვეყანაზე. ივლიანემ ისე გამოიღმა, მიგვხვდა თავისი აზრის დასამტკიცებლად, რაღაც ამბის გახსენებას აპირებდა. მეც ნიშნად იმისა, რომ მის ნებას დავყვე, ძელსკამზე ჩამოვჯექი და ვავირინდე.

არ ჩქარობდა. ხელჯოხს მსუბუქად დაყრდნობილი, თითქოს თავის შორეულ ახალგაზრდობას შეჰქიმოდა. ძალიან უხდებოდა თეთრი თმა, თავზე გვირგვინით რომ ედგა.

მინც, რა სისწრაფით მიჰქრიან წლები! თითქოს გუშინ იყო, სრულიად ახალგაზრდა ივლიანე ჩვენს ეზოში რომ შემოვიდა პირველად, მოღიშარი და მოკრძალებული. რა ჰირვარაში არ უხილავს ამ იწყ-

ნერ კაცს! რა სიძნელე არ გადაულახავს თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე! მინც არ შეცვლილა ისე, უმაღვე რომ ვერ იცნო...

— ბრძანეთ, რაცა გსურდეთ. მოსმენით მოგისმენთ, რა გაეწყობა. დაჯერება ჩემი საქმეა! — ვფიქრობდი ჩემთვის და ველოდი...

როგორც იყო დაიწყო ივლიანემ:

მაშინ ჩაის პირველი ფაბრიკის მშენებლობაზე ვმუშაობდი, როგორც რიგითი მშენებელი. ერთხელ მუშაობა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხმო თავისთან:

— საახალწლოდ მიღებულ ქათმები გავანაწილეთ და მშენებლობის უფროსსაც ვარგუნეთ. ხომ იცი, მიხას რამდენი ბავშვი ჰყავს. ძნელი დროა და ნახევრად მშვიერ ბაღებს სულს მოათქმევენებს. თუ ძმა ხარ, შენ და ომარმა გადაუტანეთ.

ორთვალაზე, რომელსაც ერთი საკმაოდ მარდი ცხენი ება, ბაღიანი გალია დავდგით და გავწიეთ თქვენი სახლისაკენ...

ივლიანეს ამ სიტყვებზე ერთბაშად რაღაც შორეული რამ შეირხა ჩემს მეხსიერებაში, რაღაც აელვარდა და ჩემდა უნებურად სათქმელი შევაწყვეტინე:

— თუ არ გეწყინებათ, ახლა მე ვავაგრძელებ იმ ვარიკების ისტორიას. შეიძლება?

— მაშ, გახსოვთ ის ამბავი? — გაუკვირდა ივლიანეს.

— მახსოვს, ჰიშკარი გაიღო და ორთვალა შემოსრილდა ეზოში, ოდა-სახლის გვერდით, ზედ კიბესთან შეჩერდა და ჩვენც, დიდები და პატარები, მაშინვე იქ გავჩნდით. გარს შემოგვხვით.

— მშენებლობიდან ვარიები გამოგზავნეს. საფასურს ხელფასიდან დაუქვითავენ...

ეს სიტყვები თქვენ გეკუთვნოდათ, ბატონო ივლიანე!

ბავშვებმა ყრიაშული ავტეხეთ. ძალიან გაგვიხარდა, რომ ბოლოსდაბოლოს, ჩვენს ეზოშიც აკრიანდებოდნენ ვარიები.

— დიდი მადლობა, შვი-

ლო, ჩემი შოშიები რომ გამიხარეთ! — გითხრათ ბებია და შინ შეგებატიყათ. თქვენ კი, ბატონო ივლიანე, უდროობა მოიმჩნეხეთ და საჩქაროდ დააპირეთ ეზოდან გასვლა. ის იყო ორთვალა მოაბრუნეთ და მამაჩემიც გამოჩნდა.

— გამარჯობა, ჩემო ივლიანე. ამ ყმაწვილს კი არ ვიცნობ! — ხელი ჩამოგართვათ ორივეს.

— ჩვენი ახალი თანამშრომელი გახლავთ. ომარი ჰქვია! — უპასუხეთ თქვენ.

— რამ შეგაწუხათ? — იკითხა მამამ.

მამა ჩვეულებრივ ალერსიანად შეგეკითხათ და მისი უცარი გამოჩენით გამოწვეული შიშით გაგვიქრა ყველას.

— ეს მუშაობა კომიტეტმა გარგუნათ თქვენი წილი, პატივცემულო მიხა...

— ხომ ყველას ერგო, შვილო ომარ, ხომ ყველას თანაბრად გაუნაწილეთ? ხომ არავინ გამოგრაჩათ? — იმ ახალგაზრდას მიუბრუნდა დიმილიანი მამაჩემი.

ომარსაც გაეღიმა და ასე მიუთვო:

— ყველას როგორ შეგვდებოდა, ბატონო მიხა. ეს თქვენ, როგორც უფროსს, გამოგიყვებს...

დავვლუბა ომარის გულუბრყვილო და გულახდილმა პასუხმა.

— თქვე დალოცვილებო, პატივისცემის მაგიერ თავსა მჭრით ამდენ ხალხში? სხვების შვილები მშვიდრები ისხდნენ, ჩემები კი მათ ლუკმას უნდა მიირთმევენდნენ? — იქუხა მამაჩემმა.

ასე განრისხებული და შეურაცხყოფილი მამა სხვა დროს არ მახსოვს.

— ჰოდა, ამხანაგო ივლიანე, ახლავ თქვენი ხელით სათითოდ გამოიყვანთ თქვენს ფრთოსნებს, ხოლო იმ გულჩვილ თავმჯდომარეს გადაეცით, ხვალ თვალთ არ დამენახოს...

— ახლავ, ახლავ, პატივცემულო მიხა! — წაილულულეთ თქვენ და ნირწამხდარი დამემორჩილეთ ბრძანებასაგით ნათქვამ სიტყვას.

გაბრუნდა ორთვალა და

თან წაიყვანა ჩვენი საოცნებო ვარიკები!

მამამ სათითოდ გადაგვისვა თავზე ხელი, მოგვეალერსა, დაგვამშვიდა: მე თვითონ მოგიყვანთო უფრო კარგ ვარიკებს.

ჩვენი ნაჭირავები სახლის გრძელ აივანზე დაგვსხა შვილები: შებინდებამდე მოგვითხრობდა რაღაც გრძელსა და მეტად ლამაზ ზღაპარს. მე იმ ზღაპრიდან მხოლოდ ის მახსოვს, რომ კეთილი გმირი იმარჯვებდა ბოროტზე...

იქნებ თავად თხზავდა იმ წუთებში საახალწლო ზღაპარს!

ორიოდე საათიც არ იქნებოდა გასული თქვენი ორთვალას წასვლიდან, რომ ჰიშკარი აჭრიალდა, მერე ჩემი ახალხიბულელი ბიძა გამოჩნდა აივანზე და ვაისმა მისი მორიდებული შეძახილი:

— საღამო მშვიდობისა, მიხა ბატონო!

ხელის ჩამორთმევის საშუალება კი არ მქონდა ძია ალექსანდრეს, საახალწლო ნობათით დატვირთული იდგა და იღიმებოდა. ისევე ჩემმა დებმა იმარჯვეს, ხურჯინი ჩამოხსნეს, ჩურჩხელებით, ყურძნის აკიდობით, კომშითა და მსხლით სავსე კალათებიც ჩამოართვეს. მეც ვებებრთელა გოგრა მომამჩიეს ხელში.

ეზოდან ბებიას ხმა მომესმა:

— შვილიშვილებო, მოდით, ნახეთ, რა მსუქანი დედლები და ინდაურები მოგვართვა თოვლის ბაბუამ!

— ასე დამთავრდა მაშინდელი ამბავი, ბატონო ივლიანე, — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

ბერიკაცმა ხელჯოხით წრე შემოხაზა მიწაზე. ისევე ღმილით გაუთბა სახე და ჯიუტად გაიმეორა:

— დი-ახ, ასეთი უცნაური კაცი იყო მამათქვენი, შვილო მურთაზ!

სხვა რა გზა მქონდა, დავეთანხმე მამის ძველ ძმობილს და ხელი მაგრად ჩამოვართვი. ის კი არ მითქვამს, რომ ამ უცნაურობით ძალიან ვამაყობდი.



ბოდარძი ბარიაშვილი

ჩემი გუნდის ხეი

გოთხროვა

მარტის თვეში მაცვალას მკერდი აუფუცდა და პირსახვე მთვარეს დაემსგავსა. შინდების ქორწინების დამეს დაწვა ქვაბში მზე და შობა მთვარე. დახვინენ წელში მოხრილი ბებიები, დეიდები, ბიძის ცოლები. ბაღლი იაზმის წყალში გააბანეს. კიბზე დაგრებილი ცხვრის ნაწლავის ძაფი მოუჭირეს და მელაოგინეს ფეხთით დაუგორეს. ბიჭს დათო დაარქვეს.

ეძიგრებოდა ბიჭი დედის მკერდსა. ქალს პირღიმი ეფინებოდა, დაჰფოფანებდა. შეჭხაროდა ქმართან დადებულ მიჯნასა. ეწაფებოდა ბიჭი რძის წყაროსა და ივებოდა აპრილის მთვარე. ბღღერიალებდა მთვარე და ნათელს ვერ იტევდა კრამიტით დახურული პატარა ქონი. იზრდებოდა დათო შრატში გათქვეფილი სიმინდის ფქვილის ფაფითა, უშაქრო ჩაითა, ღუმელზე გახუხული ქაღითა, ლობიოს ნახარშითა, ბაღბა-ჭინჭართა.

შემოდგომის პირს დრო მოიხელთა მაცვალამ. დათო მეზობელს მიაბარა. რკო-წაბლის მოკრეფა მოამიჯნა, კალთას ხელი დასტაცა. სირბილით გადაიარა ილიას მთა, კუდიგორაცა და ნაცნობ მუხასთან მუხლით დაეცა.

— ხომ არ მიწყრები, გოორგი, წე-
დასასრული.

რილი რომ დაგივიანე? რა ვქნა. კაცო, დღე პატარაა, ღამეც პატარა. არა მყოფნის. საქმე მომეძალა. ცალი ხელი შენსკენა მაქვს. პურ-ღვინო ხომ უნდა მოგაწოდო, ოტური და ჩირი გამოგიგზავნო, წინდა-თათმანი მოგიქსოვო. შენს ზურგს უკან ვდგევარ და შენს ზურგს ჯაჭვის პერანგს ვაფარებ. წელს თორმეტი გოდორი ყურძენი დავკრიფე. სამი გოდორი დავწურე, რომ ჩამოხვალ ლხინის სუფრასზე ღვინოს ხომ არ ვიმათხოვრებ. დანარჩენი საქვეყნო საქმისათვის ჩავაბარე კოლექტივსა. ჰოო, მართლა, ალაჯანთან რომ ყამირი გვაქვს, იქ ქინძმარაულის ნამყენი ჩავყარე. ჩამოხვალ და ნახავ. ცერის სიმსხორქა აქვს და დაბორჯდელი მტევნები ასხია. ხომ გწერდი, ბიჭს დაგახვედრებ-მეთქი. ისეთი ბიჭია, გოორგი, ნახავ და გაგიხარდება. ჰოო, ხულო შენა გვაკვს. შენი დიმილი აქვს და შენი გახსნილი შუბლი. თვალი და წარბი ჩემი მივეცი. ცული ხომ არ გამოიკეთებია? აკი მეუბნებოდი, შენი თვალწარბისთვის მაცურებინა და არ მოვკვდებო. დათო დავარქვი. პაპაშენის სახელი. აი, იმისი რომ მიყვებოდი, ისეთი ვაუკაცი იყო, რომ ყადორის ციხესთან ოცდაათ ლეკს მარტო მიეჭრაო. მეც არა მიშვებ... ნუ გამიწყ-

რები, წერილი თუ დაგივიანე. ბიჭს მოვლა უნდა. არაფერს არ დავაკლებ. როგორი მინდა გავზარდო? ემ, რა ვიცი, გოორგი, მინდა მუხა იყოს, ფესვი ჩვენი ქვეყნის მიწაში ედგას და ტოტი ცისათვის მიეწვდინოს.

...სოფელი დაიჩინა ცრემლმა. ტუჩ-მოკუმულეები დადიოდნენ დედაკაცები. ჯოხზე დაბჯენილი მოხუცები თავსაყარზე აღარ გამოდიოდნენ. ცრემლის ნაკადულები მარღვევდნენ იონჯისა და სამყურას ნათესებს და ალაჯანს უერთდებოდნენ. ნამოსახლარს დამსგავსა სოფელი. შვექალდღამოფარებული ლამპის შუქზე კითხულობდნენ ფროტიდან მოხულ პარათებს. ღუმელის შუქზე წერდნენ წერილებს. საპონი გაქრა, შაქარი გაძვირდა, ნავთი ქალაქიდან ჩამოქონდათ. საპნის მაგიერ ნაცარ-ტუტა ჰქონდათ ქილებით დაყენებული. კერემხევიდან ჩამოტანილი თავის დასაბანი მიწა გუნდა ერთ მჭადზე იცვლებოდა. სათხლე ხორბალი საქმბარი შეიქმნა. სიმინდი ფრინველისათვის აღარავის ემეტებოდა.

მთელი მეზობლები შემოიბრინა მაცვალამ. ერთი ჯამი სიმინდის ფქვილი ვერ ამოვ. მეორე დღისთვის ნეხვით აშოლესილ გოდორში აღარაფერი ეყარა. ქალი საგონებელს

მიეცა. ბევრი აღარ უფიქრია, საბუფში ავიდა ნათლიმამისთან და შემოდგომამდე ერთი ფუფი სიმინდს სთხოვა. ზურგით ჩამოიტანა. ფუფორზე გახმო, ჩამოანიავა. ნაკრული შიშობდა ზურგზე და შედამებისას შიადგა ხევში მდგარ იაგორას წისქვილს.

წისქვილში არავინ იყო. იაგორას წყალი გადაეგდო. ქვა გადმოეღო და გაღესილი ჩაქუჩით ქვას კლავდა. მაცვალას დანახვავზე საქმეს თავი მიანება და ძირს ჩამოვიდა.


— რაო, მაცვალავ, სიმინდი მოიტანე თუ ხორბალი?
— სიმინდი მოვიტანე, იაგორავ უნდა ჩამომიფქვა. ხვალისთვის ბავშვის საჭმელი საქმბარი მაქვს.
— გეტყობა, უკაცოდ გიჭირს, მაცვალავ.
— ჭკეუანას უჭირს, იაგორავ და ჩემი გაჭირვება ვის რად უნდა უკვირდეს.
— აბა, რა გიყო, ქვა მოსაკლავა. წყალმა იკლო და ვეღარ ერევა. ჩამოგექი. თუ მოვრჩი...
მაცვალა ნაკრულზე ჩამოჯდა და თვალი წისქვილის ჭერს მიაპყრო. თოვლის მძივებივით ეკიდა ჭერში თეთრი აბლაბულები. ცალთვალა იაგორა ქვის კოდვას განაგრძობდა. დროდადრო ჭროდა თვალს ქალისკენ გააპარებდა ხოლმე.
— თუ დაგავიანდება, ტყუილია და მომაცდევინებ, იაგორავ. ბიჭი მეზობელთანა მყავს დატოვებული. ცოტადენი ხრილი მომეცი. გავცრი და ზვადე ბაღს ღორის ქონით ფაფას გავუკეთებ.
— ჰოო, ხრილი, ერთი გავაწვალ ქალი უნდა მოსულიყო ჩემთანა, იმი-

სთვისა მქონდა შენახული. მოგცემ. წამოდი ჩემთან.

მაცვალა ფეხბარეფით გაჰყვა იაგორას ოთახში. ფიცრის ტახტზე ნაბადი ჰქონდა გაშლილი და გაწინთლული მუთაქა ეღო.

— დაქეი, მაცვალავ, დაქეი... ერთი სახვე ტომარა ქერი მაქვს და ხვიმარაში მინდა ჩავცალო. მერე ის ტომარა შენი იქნება და ხრილიც ბევრი გექნება...
ახლა მაცვალას წინ გაბოტილი იაგორა იდგა. ბაღინანი მკერდი მოედელა და ურცხვად იხსნიდა ქაპარს... მაცვალას ვერ გაერკვია, რას ფიქრობდა იაგორა და მის ხელის მოძრაობას უნებლიედ გააყოლა თვალი.
უცებ მოეგო გონს ქალი. კარს ზურგით მიეხეთქა და გარეთ გამოვარდა. ტუჩი უცაცხახებდა, ხელი უკანაკლებდა.

— მოიცა მაცვალავ, ქალი ხარ მკერდაფუბებული, თოვლის ფიფქი გადნება, მკლავები დასახეთქად გამაღებულ ბროწეულს მიგივავს. ტუჩები დღის ნამით გახსნილ ლეღვის პირსა, მოიცა, მაცვალავ, ცოდვა ხარ, ცოდვა. ჩავცილი ამ ტომარასა და ხრილიც გექნება და თავთუხის მარცვლის ფქვილიცა. მოდი, მაცვალავ, წისქვილის წყალში ვიბანაოთ... ქვე-



უანას თვალში ნაცარი შევარდით,
 ზორცა ვამოთ და ხული ვანეტაროთ.
 შოდი და აფერინდეთ ანგელოზებთან,
 თორემ დასკდება ეს დაუწურავი
 მტევნები და უინვა-სიცივე დააშრობს
 ბადაცა.

მაყვალა გარბოდა. უკან აღევნებულ
 ლი ჩრდილისაგან დამფრთხალი გარ-
 ბოდა. ეგონა, სადაცაა დაეწოდა
 იაგორა და ხრილის ტომარაში ჩასვა-
 მდა. ტომარაში მოამწყვდედა და მე-
 რე თავს ვედარ დააღწევდა. აირბინა
 აღმართი. ილიას მთაც გადაიარა, კუ-
 დიგორაცა და მუხას მკერდი შეაწებდა.

არა, გიორგი, ეგ როგორ იფიქრე,
 კაცო? გულში შენი ლაღატი არ გა-
 შივლია, შენს გახარებასა. სიმართ-
 ლეს ვამბობ, აგრემც სიმართლის
 გზაზე გატაროს გამჩენმა. ცალთვალა
 იაგორა კი არა, მთვარის ნაშობი სუ-
 ლიერი რომ იყოს, შენს ღიმილს
 როგორ დავადარებ, ადამიანო. თუ
 შენი ღაღატი გულში გავივლო, მი-
 წაც გახმებოქია და თანაც ჩაუტანი-
 ვარ. ცაც გამწყრომი და თავზე ჩა-
 მომქცევია. შარაზე მავალს გზა ჩამ-
 ხერგია. წყალზე გამავალს ხიდი ჩამ-
 ტეხია. მწყურვალს ბაღში დამი-
 ლეკია. მშიერს მიწა მიჭამია. ძეძვის
 გვირგვინი დამიდგია, გველის პერან-
 გი ჩამიცივა. ხელიკის ფერი დამდე-
 ბია, გამბეზოს ციება შემყარია...

ბაღს არ მოგიშვიებ, გიორგი.
 კალთას ავიწვი, ქაღალაშებს ჩავიცმევ,
 ხელში რკინის ჭობს დავიჭერ და წა-
 ვალ ხრილის საშოვნელადა. იაგორას-
 თან კი აღარ მივალ, აღარა. შენ იცო-
 ცხლე, გიორგი, შენ დამიბრუნდი. შენ
 გეხვიოს წელზე შენი ქვეყნის დრო-
 შის ნახევი. ხელში მთვარის ნატეხი
 გეჭიროს და წყნარი ცის ვარსკვლა-
 ვების ჩისტკიანი ჩამომიტანე. ჩემი კი
 ნუ გეფიქრება. შენს გულს ვენაცვა-
 ლე. მუხა იყავ, წირბლიანი ზღმარტ-
 ლი როგორ შემოგაწვდებდა.

ოთხი წლის იყო დათო, როცა
 წყლის ამღვრევისა და ტკივილამშლელ-
 დი გაწაფხულის თვის ერთ უთენია
 დღეს თმებჩამოშლილი ალივით წა-
 მოფრინდა ლოგინიდან მაყვალა. მძი-
 ნარე შვილს საბანი გადახადა, ძილ-
 ბურანში მყოფი ბაღლი გულში ჩაი-
 კრა და ქიპ-მანცურა დაუკოცნა. ტი-
 როდა მაყვალა. უხმოდ ტიროდა.
 ცრემლით უხველებდა შვილს პერან-
 გსა და ლოყით უშრობდა.

მთელი ღამე ბორბავდა ქალი. სიწ-
 მარ-წამანებას შეეპურა და მთელი
 ღამე ნაშარს დაეგრიბ-დაესმურგლა
 ლოგინი. გიორგი ესიწმრა. აღაწნის
 გაღმა იდგა. ნაბადი გვერდით მოეგ-
 დო და ცხენზე ამხედრებულიყო. ხე-
 ლში პირკრაილა მორგვის ტოლი გო-
 გრა ეჭირა და მაყვალასკენ მოიჭქა-
 როდა. ნაპირს რომ მოუახლოვდა,
 გოგრა ხელიდან გაუვარდა: მჭადის-
 ფერი შიგან ნატეხებად მიმოიფანტა
 ირგვლივ. გიორგიმ შედაც არ მიხედა
 დანაკარგსა და ცხენი უივილით შემო-
 აგლო აღაწანა. ნარეცხი ქვეყრის
 წყლის ფერი მოედინებოდა აღაწანი.
 მურალი, შმორიანი ტალღები მოგო-
 რავდა. ცხენი ქშინავდა, წვალბობდა,
 ნაპირს ეშურებოდა. სადაცაა მისწვ-
 დებოდა მაყვალა, აღვირში ხელს ჩა-
 ნჭიდებდა და ნაპირს გამოიყვანდა.

მაგრამ მოვარდა მთისტოლი ზვირთი
 და მხედარი და ცხენი გაუჩინარდა.
 შემდეგ კი შორს... შორს ცხენმა
 ფრუტუნით ამოყო თავი. კული გა-
 აქიცინა, ვაიწმორა და აღაწნის პი-
 რას მოსულ აყოტებულ სატაცურს
 კორტნა დაუწყო.

მაყვალამ პირველად აიყვანა ტყეში
 იმ დღეს დათო ნაცნობი გზით გა-
 ატარა. ბილიცა და გადასახტომს არ-
 ვენებდა. მალე მიაგნო ნაცნობ ად-
 გილს, მაგრამ... გახედა ქალი. მუხას
 კენწერო მომტკრეოდა. გარუჯული
 ტოტები ბოლავდა. ირგვლივ ტყის ნა-
 ციცილურ-ნაკვამურები ეტკობოდა.
 იდგნენ ყბაახვეული წიფლის ხეები,
 თითებდამდურული ნეკერჩხლები,
 ნეკებჩამტკრეული თილები, ხეიბარი
 აკაციები, ყვარაწინანი მურყანები. მუ-
 ხა კი ბოლავდა, მუხას ცეცხლი ეკიდა.

მაყვალამ შორიასლო დააჩქა და-
 თო. შემყურებდა ატრუსულ კიდედა-
 კბილულ ფოთლებს და სიტყვის ამო-
 ლების ვედარ ახერხებდა. ავად ენიშ-
 ნა ქალს ნაკრძალში ცეცხლის დატ-
 რიალება.

მეტყვეის ქონიდან იასონა გამოვი-
 და. იცნო მაყვალა და შეეხმინა.

— გამარჯობა, მაყვალა!

— იცოცხლე, იასონა! ქინჭარი
 ხომ არსად გეგულდება?! ქინჭრის
 საკრეფად ამოვედი და...

— წამაიყვანე ბაღლი და ჩემთან
 დატოვე. გაციებე ყმავილსა. წამო-
 დი, შვილო, წამოდი. ისეთი სოკოები
 მაქვს შენთვის დაკრეფილი, რომა...
 ქამაცა, წითელკაბაცა. წამოდი, შვი-
 ლო, წამოდი.

— ტყე რათა ბოლავს, იასონა?
 — ზო, კინალამ დავიღუპეთ. წუხე-
 ლისა ამ მუხას მეხი დავიკა და ცე-
 ცხლმა კინალამ მთელი ტყე გადამი-
 ბუგა.

— მეხი რას დააკლებდა მუხასა,
 ფეხვი თავისი ქვეყნის მიწაში უდ-
 გას. ეგ არი, რომ ცას ვედარ მიაწ-
 ვდის ტოტებსა.

მაყვალას გავიწილი ჰქონდა იასო-
 ნას ამბავი. ავადმყოფი დაბრუნდა
 ფრონტიდანაო. ფეხი რომ დაეკარგა,
 იცოდა, მაგრამ სხვა რამეც ჰქონდა
 გაგონილი. შიშზე გონება დაბინდია
 და ახლა სამკურნალოდ ექიმებს ტყე-
 ში ცხოვრება უჩივიათ.

— წამოდი, მაყვალა, წამოდი,
 სულ დღე-ღოყე ქინჭარი ვიცი. ხე-
 ლათ აივსებ კალთასა. რაო, გიორგი
 რას იწერება?

— წერილს აღარ იწერება, მაგრამ
 რა მოკლავს. ფეხმავარია გიორგი...

— ზი, შენ გაიხარე, მაყვალა, მა-
 რთლა რა მოკლავს შენს პატრონსა.
 იწონა ყვარაწინადბეჩენილი ფრთხი-
 ლად მიდიოდა ბილიცე. მუხლქვემოთ
 ცარიელი შარვლი უფარფაცებდა.
 ბიჭი და მაყვალა უკან მიჰყებოდ-
 ნენ. იასონამ დათოს წნელზე ასხ-
 მული წითელკაბა სოკოები მისცა.
 მაყვალამ კაბის კალთა აიწია და
 სხანა-სხუბით წამოკრიფა ქონის გვე-
 რდით მზის ყუდროზე წამოჩიტული
 დაბუჭებული ქინჭარი.

ხევაშდე ჩამოაცილა დედა-შვილი
 იასონამ. წყალში ქვები ჩაყარა და
 ბაღლი ფრთხილად გადაიყვანა.
 იმ ზაფხულს შეიცვალა კაბა მაყ-

ვალამ. იმედის ძირში კიდევ აფათუ-
 რებდა ხელსა და შავი კაბა თეთრი
 კოპლებით დამშვენებული ჩაიცვა.
 თავზე კი, თავზე თალხი მოიხურა.

იმ ზაფხულს ვაემა თეთრი ლარე-
 ბი მეტრონახვერიან ნივრის გალასა-
 ვით დაწულ თმებში. თვლები დაე-
 წურა, სახე დაეღრუბლა, ლოყები
 დაუთხელდა და ძვლისთავები ამოე-
 ჩარა.

ხშირად თვალგაშტერებული გას-
 ცქეროდა ნაკრძალს. ჭერ ცეცხლი არ
 განელებულყო. ჭერ კიდევ ხედავდა
 ნაიარევ წიფელს, ყბაახვეულ რცხი-
 ლებს, ფეხმოყვითილ იფანს. მუხა კი...
 მუხა ახლა მესტაცემული, მაგრამ
 ფეხვი თავისი მიწის გულში ჰქონდა
 გადგმული.

ერთ შრომაგახურების პაპანაქება
 დღეს საჩხეში იქდა მაყვალა და ქა-
 თმებს მზეზე გამხმარ ნადრევად
 მოტეხილ სიმინდის ტაროებს უფხვ-
 ნიდა. ვილაცამ მაყვალას ეწოს წინ
 ჩაიარა, მეწობლების საერთო ხაჯრე-
 ბულოსთან შედგა და დაიძახა:

— სურათები გავადიდოთ! სურა-
 თები დავხატოთ!

მაყვალამ რაღაც გაიფიქრა. სიმინ-
 დის ტარო ვედროში ჩაავლო. კალ-
 თა ჩამოიბერტყა, ქათმებს გაუჭნია
 და ეწოს კარს მიადგა.

— მობრძანდით! მობრძანდით! და-
 თო, შვილო, ერთი პატარა სკამი მო-
 ურბენინე ძიასა.

— გამარჯობათ! მშვიდობის დღეს
 გისურვებთ. წასულების მშვიდობით
 დაბრუნება.

— იცოცხლე! იცოცხლე!

პირგაუპარსავი, გრძელკისერა ახ-
 მისი კაცი სკამზე ჩამოჯდა. საღებავ-
 ვების ყუთი და ჭილობის კალთა გვე-
 რდით მოიღო და ოფლი მოიწმინდა.

— ჩემი ქმრის სურათის დახატვა
 მინდა... თუ ძვირს არ დამიფასებ.

— მოვრიგდებით. ფული თუ არა
 გაქვს, ფეხილს ვიღებ, გამომცხვარ
 პორსა, ღვინოსა, არაყსა...

— მაინც რამდენი უნდა მოგცე?

— თუ მარტოა, ერთი ქათამი ელი-
 რება. თუ შენა და შენი ქმარი ერ-
 თადა, მაშინ ერთი ქათამი და ოცი
 კვერცხი.

— ოღონდ კარგად დამიხატე და
 ერთ ბოთლ არაყსაც დაგიმატებ.

— აი, ჩემი ნახატები. მოგწონს?
 იმდენი მუშტარი მყავს, დღე და ღამე
 არ მიინავს, — წაიტარაბა გრძე-
 ლკისერამ. წადი, მოიტანე სურათი.

მაყვალა უხმოდ გატრიალდა და
 ოთახში შევიდა. არ იცოდა, როგორ
 მოქცეულიყო. გამხელისა ერცხვიე-
 ბოდა. კომოლიც მოჩხრიკა, სკივრი-
 ცა. რაღაცას ეძებდა... შეუნახავს ეძე-
 ბდა, უქონარს ეძებდა. რა დაეკარგა,
 რა უნდა ეპოვა. გაბუტული ტუჩებით
 გამოვიდა ოთახიდან და დამნაშავესა-
 ვით მიუახლოვდა „მხატვარს“.

— მოიტანე?

— არა.

— ვერ იპოვე?

— არა. ერთად სურათი არ გადა-
 გვილია. ვერ მოვახწარი.

— აბა, მაშ, როგორ დავხატოთ?
 აი, მე ხომ აქა ვარ... როგორცა
 ვარ ისეთი დამხატე. გვერდით ჩემი
 ქმარი დამიხატე.

— ზოო, ეგ შეიძლება. წადი და
 შენი ქმრის სურათი მოიტანე.
 ისე გატრიალდა მაყვალა, ახე-
 იბოდილა ოთახში. ქონარსაც მარს-
 რიკა, სკივრიცა. შეუნახავს ეძებდა.
 უქონარს: ეძებდა. ტურაბუტული
 გამოვიდა და მოშორებით გაჩერდა.
 — რა ქინე, მოიტანე?
 — არა.
 — ვერ იპოვე?
 — არა. არა მაქვს ჩემი ქმრის სუ-
 რათი. ისე წავიდა, გადაღება ვერ მო-
 ვლწარა.

— ეს კი აღარ გამოიგია...
 — როგორ არ გაგიგიათ. ობოლი
 იყო, სამადლოდ გაწრდილი. ვის უნ-
 და გადაეღო მისთვის სურათი.
 — აბა, მაშ როგორ უნდა დავხა-
 ტოთ.

„მხატვარი“ ხელი ჩაიჭინა და სა-
 ლეხავების ყუთის დახურვა დააპირა.
 — მოიცა, არ წახვიდე, ღმერთო
 გეშველის... მე ხომ აქა ვარ. გვერ-
 დით ყველაზე ლამაზი კაცი დახატე-
 აი, ჩემი შვილი დახატე, მაშის გადა-
 ნაჭერია. მასაც ასე ერუტებოდა მა-
 რცხენა ლოყა, როცა იცინოდა. ნა-
 თელი შუბლი დაუხატე... ნათელი
 თვლები... ტანადი, მაღლი, ლამაზი
 კაცი დახატე...

— ზოო, ეგ შეიძლება. აბა, დასხე-
 დით.

მაყვალამ თმაზე ხელი გადაიხვია, და-
 თო გვერდით მიიხუტა და სახე მიუ-
 ბრუნებლად იქდა ცოტა ხანსა. ბიჭი
 ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, ბორია-
 ლობდა. „მხატვარი“ კი ფუნჯს ჭა-
 მთან წყალში ასველებდა და ხატავდა.
 ხატავდა უნახავსა, მრავალჭერ დახა-
 ტულსა, სხვაგან ნახავსა.

— შენს გახარებას, სამხედრო ხა-
 ლათი ჩააცვი. ასეთი ვნახე სიწმარ-
 ში. თავზე მწვანე სამხედრო ქული
 დაახურე, წინ წითელი ვარსკვლავით
 დამშვენებული.

— ერთი ეს მითხარი, ორდენ-მე-
 დღე თუ ჰქონდა რაიმე?

— როგორა არა, ბევრი... ძალიან
 ბევრი...


— ლენინის ორდენიცა?

— ორდენიცა, ამ ბაღლის სიცოცხ-
 ლემა.

ხატავდა „მხატვარი“ — მკერდზე
 მედლებითა, ლენინის ორდენითა.
 დიდხანს ატრიალა სურათი მაყვა-
 ლამ. არ იცოდა, რა ექნა, გიორგი
 იყო, თუ გიორგის ლანდი ვერ გარ-
 კვეულიყო. ბოლოს მაინც გააქანა სა-
 ხლისკენ და ნამშთივ ფარდაგთან და-
 ჰკიდა.

მოვიდა ნანატრი გაწაფხულიც და
 დაიწვა წამთრის უინვიანი საბუღარი.
 კაცკასიონიდან ღრუბლები ღრანტე-
 ებში ჩაიღქვა. თოვლი ამრწყინდა.
 გადმოგაგა მთის წვერზე მზის მენჩრე
 და მუჭა-მუჭა სხივები გადმოაყარა
 აღაწნის ველსა. საპნო გაიფუდა, შა-
 ქარი დახვავდა, მარილი დაძველდა.
 დღე გაგრძელდა, ღამე დაპატარავდა.
 ცრემლი დაილია, ღიმილი გახშირდა.
 ბაწარი გაიფუდა, პური ლასტზე დაძ-
 ველდა, ღვინო დაღვინდა, კაცი გა-
 იმართა, სახლი აშენდა. ცხვარ-ძროხამ
 გაიბალახა, კრუხმა იბღარცა. დადგა
 დრო ნეტარებისა და ლხინისა.

დათო იწრდებოდა — მაყვალა პა-



ტარადებოდა, დათოს თმა უმუქდებოდა — მაყვალას უთვითდებოდა.

სხვა ფიქრის გამყოფი ჯერ კიდევ ვერ ეპოვა მაყვალას. გულჭირი შემოეკრებოდა თუ სიხარული მოეფოფინებოდა; კალათას ხელს დასტაცებდა, დათოს დაუბარებდა შინდის საკრებულად მივდივარო. გადავიღიდა ილიას შთას, კუდიფორასაც, გოგონებს გაენაპირებოდა, ფეხს აითრევდა და ნაცნობ-ნაცნობებს მუხის ძირას დაინჩოქებდა. დათო სკოლაში მიიყვანა და გიორგის გული გაუხარა.

— გაიგე გიორგი, კითხულობს კაცო... შენს გახარებასა, ბიჭმა კითხვა ისწავლა. შენს მოწერილ ბარათებს ვინ იცის მერამდენედა კითხულობს. მასწავლებელმა ძალიან შემიქო — თვალგახელილი ბავშვიო. ეგ არის, რომ გულში რაღაც საფიქრალი გაუჩნდა, შენს სურათს ხშირად უყურებს. მეშინია ბაღლი არ დამეჩაგროს. ნაადრევად არ დამიკაცდეს. ოჯახის გასაჭირი ნაადრევად მიაქვს გულთანა. ისწავლის. ისწავლის და საქვეყნო საქმეს გამოადგება. შენი შვილი გულდრძო ვერ იქნება, ვერა. ნუ გეფიქრება, რა ვუყუთ, თუ ტოტები ცისთვის ვეღარ მიგვიწვდენია. ფეხვი ხომ შენი ქვეყნის მიწაში გიდგას და სხვა უკეთესი რა უნდა ინატროს კაცმა?

ადიოდა მაყვალა ტყეში, იასონას გაურბოდა, იასონას ემაღებოდა. არავის არ ანდობდა თავის საკურთხევლს. არავის არ უმხელდა თავის სამლოცველოს. მაშინაც ავიდა, როცა ბიჭმა სკოლა დაამთავრა, ქორწინა გვერდზე გადაივარცხნა და ახალი პიჯაკი ჩაიცვა. მაშინ გაიხარა მაყვალამ. როცა ბიჭმა ვენახში ადარ შეუშვა ჭანგატხილი ქალი და მარტომ გათონხანა-გამომარჯვა. მაშინაც, როცა პირველად დაჯდა კოლექტივის ტრაქტორზე და გაუგნით ჩაიარა სოფელში.

დილაუთენია გადიოდა დათო ალაზნის ველზე. შაქრიანის ხიდიდან დაიწყებდა ხვნასა და ლაგოდებამდე ჩადიოდა. ბიჭმა პირველი შრომის საფასური შემოიტანა და მაყვალას თვალში დამილი ჩაუდგა. აივსო მარანი, აივსო ქვევრები... ტანთ და ფეხთ ჩასაცემელი გაიბრავდა დედა-შვილმა.

— ვაი, შენ ჩემო მუხის ხეო, ტოტებდაღწილო, ტანდაკურჩილო... გაიგე, გიორგი, მე აღარ მეძახიან. ჩემს მაგიერ დათოს ეძახიან. დათოს კითხულობენ. ქორწილ-ნიშნობაში ეპატიუებიან. შენეული ქული ახურავს და წილზე შენეული ქამარი არტყია. გესმის, გიორგი, ეს დათოს ტრაქტორი გუგუნებს. დათო უხსნის მიწას პირსა. ქვეყანას პურს აქმევს და ქვეყანას გულით დააქვს შენი შვილის სიყვარული. ვაი, შენ ჩემო, მუხავ, ტანდაკურჩილო. რა ვუყუთ თუ ტოტი ცისათვის ვერ მიგვიწვდენია. ფეხვი ხო შენი მიწის გულში გიდგას. მთავარი ეგ არის შენი მიწა ყვისს, გიორგი... შენი მიწა თხოულობს ზვარაკსა.

ოცი წლისა იყო დათო, როცა ერთ ხვადიან შემოდგომას თელავში გააგზავნეს კომბინერთა კურსებზე. მაყვალა ადგილს ვეღარა პოულობდა. ბიჭის თვალადან მოცილებას არ იყო მიჩვეული და თვლი გზისაკენ გაუბრუნდა. ბინდბუნდს შემოვიდა ბიჭი ოთახში ჩემოდნით ხელში. ჩემოდანი კუთხეში მიდგა. დედას შუბლზე აკოცა და არ დამჯდარა. რაღაცა მოუსვენრობა შეატყო მაყვალამ. ბიჭი რაღაცის თქმას აპირებდა და ვერა ბედავდა. მოუსვენრობდა. თვალი კარისკენ გაურბოდა. მაყვალამ რაღაც იგრძნო, გარეთ გავარდა და შემერთალი გახევდა. საჩხის სვეტს წილ-შოლტა გოგო ამოფარებოდა. თავი ჩაეღუნა და თვალზე ხელი აეფარებინა. გამოფრქვა მაყვალა. გოგოს ხელი მოჰკიდა, თავიდან ფეხამდე ჩათვლიდა. ფეხით თევზი გაატეხინა და სახლში შეიყვანა.

დატრიალდა სოფელი, მეზობელი მეზობელს ეცა, გოგო გოგოსა, ბიჭი ბიჭსა, მოყვარე მოყვარესა, ნათესავი ნათესავსა. ულოცავდნენ მაყვალას. სახეს უკოცნიდნენ, გულში იკრავდნენ.

საქორწინო სუფრა ეზოში გაშალა მაყვალამ. ბედვრიალმა ბეჭედიც უყიდა რძალსა და ოქროს საათიცა. გულსახანეიცა და სამაჭურიცა. მოჰქონდათ თუშური ყველის თავები, მოყვადათ ცხვრები, ქათმები, ინდაურები. ველისციხელმა ნათლიმამამ თევზეული გამოუტანა და კაკლის ქვეშ აეწყო ქეიფ-ზეიმი, მამდარმა დააფასა მაყვალას ამაგი და მშვიტმა მუცელი

გაიძლო. კატამაც მოიპარა ყველის ნაჭერი და ძაღლებიც დაეხვია ეზოს ბოლოში გადაყრილ ძვლებსა. ავადმყოფს სახლში გაუგზავნეს ხაშლამა და მოხუცები მეორე დღეს მოიპატიუეს. გიორგი ცოცხლად ადღეგრძელეს. მისი ხულის მოხსენიება ვერ გაუხედეტ მაყვალასა.

მაშინაც მიეჭრა მუხას და ჩასძახა მაყვალამ, როდესაც მარტომ იცეკვა და გვერდით არავინ დაიტრიალა. გიორგის ლანდი დასდგდა მაყვალას, გიორგის ლანდი ეცეკვებოდა. გიორგი აფარებდა ბრგე მხრებსა. არც მაშინ დაავიწყდა გიორგი პაპა, როცა პირველი შვილიშვილი შეეძინა და გიორგი დაარქვა. არც მაშინ, როცა რძალმა მეორედ იმშობიარა და გოგო ჩაუგორა კალთაში.

გარეთ სიარული დაუძირდა მაყვალას. აკვანთან იქდა. აკვანს არტახებს უწყობდა. რძალს ღამეს არ ატეხინებდა, თავით ედგა შვილიშვილის აკვანი. დღისით დღემელს ეფიცებოდა და წინდა-ფაჩურის ქსოვაში გაჰყავდა დრო. მაყვალა გულით ხარობდა. ოჯახი ფეხზე იდგა. ახალგაზრდა მუხას ფეხვი ღრმად გაედგა მიწის გულში და ტოტი ცისათვის მიეწვდინა.

* * *

მაყვალას აღარ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდა იასონა. ეს კი ახსოვს შემთვრალმა სიმღერაც დააპირა. „ალაზნის პირას მოსულაო“ ამოიკნავლა და ხმა ჩაუწყდა. სველმა მიწამ კაბის კალთა გაულუმბა და ტანში გაუჭდა სიცივე. მაყვალა ახლა იმას ხედავდა, თუ როგორ მიათრევდნენ ტუფს ქურდები მუხის დაკოჟრილ შორსა.

არა, შორს კი არა, დევებს გიორგის უშველებელი ცხედრისთვის ფეხებზე ჯაგრეციხლის დაგრეხილი წნელები ჩაებათ და ხევისკენ მიათრევდნენ.

მაყვალა გამოერკვა. ხელდაში ჩარჩინილი ღვინო მუხის ძირში ჩაღვარა და წამოღგა. ნელა მოდიოდა. იასონა საუბრით მოაცილებდა.

ხევი ჩამოვიდნენ. იასონამ წყალში დიდი ქვები ჩაყარა და მაყვალა ფრთხილად გადაიყვანა. მიდიოდა მაყვალა. მიდიოდა ცარიელი კალათით. მუხაზე ფიქროთ.

იასონა თვლით მიაცილებდა მაყვალას, სანამ ქალი სოფელში არ

შევიდა. იდგა იასონა. ფიქრობდა მუხის ქურდებზე და კორომებში გახარებულ არყის ხეებზე.

დაბლა ოთახში შევიდა მაყვალა: დათო სადილობდა:

— რა არის, დედი, სად დადინარ ამ გაცრიატებულ დღეში?

— გოგომ სკოო მოინდომა და...

— იი, მართლა ეგრეა საქმე? ჩემთვის კი არა გაუმხელია და.

— შუქი აანთე, ბნელა...

— რას ამბობ, დედი, გარეთ ნემსს იპოვი, ისეთი სინათლეა.

— აბა მე რათ ამერიია თვალები... მაყვალამ ახლა თავშალი მოიხალა და გული მოიღვრა.

— შენი ჭირიმე, შვილო, ძალიან დაცხა, გააღე ფანჯარა.

— რას ამბობ, დედი?

დათომ ახლა შეხედა დედას და გაშტერდა. ქალს სახე გავარვარებოდა, თვალთი უკრიალბდა. ახლოს ივდა და ხელზე ხელი მოჰკიდა.

— დედი, სიცხე გაქვს... წამოდი, ჩქარა მანქანაში ჩაქეცი, ექიმთან უნდა წაგიყვანო.

— ექიმთან არა, ერთი...

— აბა, აბა, ჩქარა...

დათომ მანქანა აამუშავა და მაყვალა ძალათი ჩასვა.

— შენი ჭირიმე, შვილო, თუ საავადმყოფოში დამაწვინეს, ორი დღის შემდეგ ბალები ჩამოიყვანე და მარჩენე.

* * *

ერთი კვირის შემდეგ ჩავიდა სოფელში იასონა. ეზოში რომ შევიდა, დღე შემდგრეულიყო. დედაკაცები თონიდან უკანასკნელ ნაშუქებს ხდიდნენ. ხანის ქვეშ დურგალი მუხის ფიცრებს აშალაშინებდა. დათო გულხელდაკრეფილი იდგა ეზოში. იასონა ახლოს მივიდა დათოსთან და მკერდზე აკოცა. ოთახში არ შესულა. ფანჯრიდან შეიხედა. გახრიოკებულ ტახტზე ესვენა მაყვალა, თეთრი სუღარა ჰქონდა გადაფარებული. ორ შოხან დედაკაცს თვალზე თეთრი ცხვირსახოცი მიეფარებინათ და იცრემლებოდნენ.

გარეთ კი იდგა ახალგაზრდა მუხის ხე. ფეხვი თავისი ქვეყნის მიწაში ედგა და ტოტი ცისათვის მიეწვდინა.

თბილისი. 1976 წელი.

დიდი მწერალი — რუსთავის მკვიდრებს

გივი ჯახუა

რუსთავის დაარსების 20 წლისთავის აღსანიშნავად მრავალტრიაჟიან გაზეთ „მეტალურგის“ საგანგებო ნომერს ვამზადებდით. გესურდა განსაკუთრებული ელფერი მიგვეცა მისთვის, გავგებარებინა ჩვენი კითხვებები.

— იქნებ კონსტანტინე გამსახურდიამ მოგვილოცოს? — აზრი მოგვაწოდა გაზეთის ლიტმუშეკმა გივლა ჰავჭავაძემ. ეს წინადადება ყველას მოგვეწონა, მაგრამ ძნელად განსახორციელებლად მოგვეჩვენა. ბოლოს გაზეთდეთ და შინ დავეურევეთ მწერალს.

უზომოდ ველავდით. ყურმილი ქალბატონმა

მირანდამ აიღო. ბატონი კონსტანტინე შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც მოვიდა ტელეფონთან. როცა ჩვენი თხოვნა და სურვილი მოისმინა, გვითხრა:

— თუკი მეტალურგებს ვასიამოვნებ, კეთილი. მე მათ წინაშე ვალში ვარ.

მერე წამიერი დუმილი. ეტყობოდა, დიდი მწერალი ჩვენი მიღების დროს საზღვრავდა. შეხვედრა მეორე დღისთვის დაგვიინშნა.

იანვრის ერთ უჩვეულოდ თბილ დღეს ბედნიერი საათი და ორმოცი წუთი გაგატარე ფოტოკორესპონდენტ რაყდენ გაბრიჭიძესთან ერთად კოლხურ კოშკში...

აი, რა მისწერა იმ დღეს დიდმა მწერალმა მეტალურგიული ქალაქის მკვიდრო:

„ჩემს სიკაბუეკეში ტურასა და კურდღელზე მინადირია რუსთავში. გამოხდა ხანი. მერე დაიწყო მშენებლობა. პირველსავე წელს ხშირი სტუმარი ვიყავი რუსთავისა, ვმეგობრობდი ამ ქალაქის დამ-

ფუძნებლებს ნესტორ გიორგაძესა და ნიკო გომელაურს.

მათ გამოიჩინეს პირდაპირ არნახული მხნეობა, რისი შედეგიც ეს იყო — გატილებული ტრამალის ქალაქად ქცევა.

ჩვენ ვცხოვრობთ ფრიად მძიმე და საინტერესო ეპოქაში.

ვინც ამ ეპოქის გრივალისებურ ქროლვას ნაბიჯებს ვერ უსწორებს, იგი დარჩება პროვინციელად.


ჩვენ, ქართველები, უძველეს ეპოქაში ვიყავით „რევალთ ხურონი“.

არც ჩვენს დროს უნდა დავანებოთ პირველობა სხვას.

ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

კონსტანტინე გამსახურდია.

თბილისი, კოლხური კოშკი 1969 13/1.“



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემს სათაყვანო საქართველოს და უსაყვარლეს ქართველ
ხალხს ვულოცავ ახალ წელს!
ჩემი ნატურაა, ჩემი სამშობლო იუოს კვლავ ბედნიერი, ნუ-
რაფერმა დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება!
სიხარული და ბედნიერება ჩვენს მომავალ თაობას! სიმშვი-
დე და სიკეთე ჩვენს მამულს!

ვერიკო ანჯაფარიძე,

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის
სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.

მხატვარი თაეზ ხუსნიუვილი



1984

იანვარი	თებერვალი	მარტი	ორ. სა. ოთ. ხუ. პარ. შა. კვ.
2 9 16 23 30	6 13 20 27	5 12 19 26	
3 10 17 24 31	7 14 21 28	6 13 20 27	
4 11 18 25	1 8 15 22 29	7 14 21 28	
5 12 19 26	2 9 16 23	1 8 15 22 29	
6 13 20 27	3 10 17 24	2 9 16 23 30	
7 14 21 28	4 11 18 25	3 10 17 24 31	
1 8 15 22 29	5 12 19 26	4 11 18 25	

აპრილი	მაისი	ივნისი	ორ. სა. ოთ. ხუ. პარ. შა. კვ.
2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	
3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	
4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	
5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	
6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	
7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	
1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	

ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ორ. სა. ოთ. ხუ. პარ. შა. კვ.
2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	
3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	
4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	
5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	
6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	
7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	
1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	

ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ორ. სა. ოთ. ხუ. პარ. შა. კვ.
1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	
2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	
3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	
4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	
5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	
6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	
7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	



ეროვნული
ბიბლიოთეკა





პაპა და შვილიშვილი

ფოტო თაოხან არჩვაძისა




თუში მეცხვარეები

ფოტო ანატოლ რუხაძისა



საახალწლო ნობათი

ფოტო ანატოლ რუხაძის



ვილოცავთ!

ბერიკატი დინჯად, ფეხის ფეხზე მიდგომით ეშვებოდა თავდაღმართში, ხანგამოშვებით კი ისე გადაქანდებოდა, თითქოს ფენქვეშ მიწა ეძრათ, შიშნეულად, მაგრამ ღრთულად იშვებოდა ხელჯოხს და წონასწორობას ინარჩუნებდა.

გზა სატვირთო მანქანებიდან გადმოცვენილი, გაუტყეპნავი ღორღით იყო მოფენილი, მოხუცს კი ქუსლებმოცვეთილი ფენსაცმელები ეცვა, რეგვატიზმიც აწუხებდა და იქნებ ამიტომაც მოზანცალედა ასე ახლადფენხადგმულივით.

კარიერში ჩამომავალი მოსახვევი რომ ჩამოათავა, ბიჭმა მაშინდა შენიშნა დინჯად მომავალი, გაეღიმა და „ჯოჯონეტს ერთი მუგუზალიდა აკლდაო“ — გაიფიქრა. ორი ამდაგვარი ხანდაზმული დილასისხამიდან ისხდნენ წყალსაქაჩთან და თითის სიგრძე ღორჯოვებზე შესაშური გულმოდგინებით თევზაობდნენ.

გაზაფხული არაგვის პირზეც შესულიყო სრულ მფლობელობაში, გაღმა მხარეს ტყეებში ჰყვავდნენ, თითქოს სოფლის ჩითისკაბიანი გოგონები ჩამოსულანო თეთრეულის სარეცხად, ფერდობებს ხასხასა სიმწვანე მოსდებოდა, ცასაც ფერი ეცვალა, უფრო ღრმა და გამჭვირვალე გამხდარიყო, მდინარეს ხომ ვანსაკუთრებით ეტყობოდა, სულ სხვა ძალითა და ხმით მოქმედებდა და დღითი დღე უმატებდა გავლისებს.

ბიჭმა წამით მიატოვა შიგნეულამოცლილი ძრავა და გაცვეთილ საბურავზე წამოსკუბებულ მეთევზეებს გახედა. ძველებურად ისხდნენ, შეეყვარებულეებით მხარიმხარიმბჭენილები, ბამბუკის მოკლე ჯოხები მიწაში ჩაერჭოთ და სიგარეტებს აბოლებდნენ. უნებლიედ ახლადგამოჩენილიც გაახსენდა, წელან რომ დალანდა, მოიძია და იქვე, ათიოდ ნაბიჯზე შენიშნა, ისე ფრთხილად მოაბიჯებდა, თითქოს ბუჩქში ჩამჯდარ კურდღელს ეპარებოდა.

დანახვისთანავე კვლავ ჩაეღიმილა და შესაგებებლად წამოიმართა, მოხუცმაც მაშინდა შეასწრო თვალი და ფრინველის ამფრთხობივით აუქნია ჯოხი.

— გამარჯობა შენი, მუშა კაცო! — ხელაწვეულმა გამოსძახა, ხუმრობანარევი ტონით.

ვალში არც ბიჭი დარჩა. — ჯანი და სიცოცხლე ბიძას! — ხითხითით მიუგო.

მოხუცს პიჯაკი კისრიდან გადაეგდო, ხანდა, ზურგიდან მიმდგარ მხეს შეეწუხებინა. ნაცრისფერი შალის გახუნებული პერანგი კი მაინც ბოლო ილუკილოზე ჰქონდა შეკრული. დანაოჭებულ მუბღზე ოფლის მსხვილი წვეთები დასხდომოდა, თეთრი, ოდნავ სიყვითლეშებარული თმა ზენა ნიავს წამოეშალა და ოფოფივით ედგა კინკრისზე.

ეგრე ჯოხაწვეული მოადგა და როდესაც წინ გაუჩერდა, ბიჭს მაშინდა ჩაესმა როგორი სტვენანარევი ხიხინით სუნთქავდა ბერიკაცი, თითქოს ყელში უკულმაჩამდგარი სალამური გაჩროდა. სახე ასაკისაგან დატალვოდა, ლაწვებიც ჩატეტკვოდა, წამოჭარხლებოდა და ახლადნადავადყოფარის იერს აძლევდა.

— სათევზაოდ ჩამოხვედი? — შინაურულად ჰკითხა ბიჭმა. თქვენობით მიმართვა ზედმეტად და უადგილოდ ჩათვალა.

მოხუცმა ქილიკი ვერ გაუგო.

— რას ამბობ, — გაიკვირვა, — უკანასკნელად აქ რომ ვხელობდი, პაპაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ეგ ხომ ახლახანს იქნებოდა, — ძველ-



მონუსი და ბიჭი

თენგიზ ჩალაური

ექვნივა ნუსტორ ასალოს ძე გიორგაძის ხსოვნას

ბურად მოუნაცვლა ბიჭმა, — რევოლუციამდე.

— მაშ... მაშ... — კვერი დაუკრა ალო-აღებულმა ბერიკაცმა, — ასეთ ჭიჭყინებს კი არ ვიჭერდი, — ხელჯოხი ზურგსუკან გადაიქნია, — შენხელა ღლაგებს ვერიდი მშრალზე.

ბიჭმა წარბები გაიერთიანა, „ძალიან ნუ გაგივა თავსო“. აგრძნობინა, ღლავთან ვატოლებს არ ეპრიანა.

— ზემოსოფლეი ხარ? — საუბრის თემა შეცვალა და ფერდსხევით მიანიშნა.

მოხუცმა იუარა, — ქვემოთური, — უთხრა და მდინარის დინებას გააყოლა მხერა, — საქმე მქონდა აქეთ, — განუმარტა, — შენ რაღას ჯახრობ ამ უქმე დღეს?

— მოტორს ვახვევ, — საქმიანად აუხსნა ბიჭმა, — გუშინ დაგვეწვა, ერთი დაიბათქუნა და მორჩა. ისეთი უფროსი მყავს, მოტანა არ ეხერხება, საყვედურებსა და პრემიების მოხსნაში კი არაფერი ეშლება.

— ეგ უფროსები ყველანი მამაძაღვლები არიან, — ამერიკა აღმოუჩინა მოხუცმა, — თითო რომ გასალოკად მიაწოდო, ხელს მოგაჭამენ. შენი ხნისა რომ ვიყავი, ერთი ფოდრიადჩიკი მყავდა, თავისუფალ დროს უანგიან ლურსმნებს ვეყვრიდა და გვასწორებინებდა, უსაქმურობას არ მიეჩვი-

ნონო, ჯიბიდანგავარდნილი ვინმე იყო, ჩემს მტერს ეგეთი.

— მე მაგისთანვე ვერ გამიბედავენ, — ქედმაღლურად გადახედა ბიჭმა და დონი-ჯი შემოიღვა, — ასე თუ ისე, ხელოსანი მქვია, ახლა ელექტრიკოსებს სანთლით ეძებენ, თავს არავის დავაჩაგვრინებ.

— სწორადაც იქცევი, — შეაგულიანა მოხუცმა და ხრინწიანად ჩაახველა — ხელობა სხვა რამეა, — ფიქრიანად თქვა, — ხვალამდე თუ მორჩები?

— ყოფას არ ვუტირებ! — დაიქანდა ბიჭმა და გადარუჯულ ხეიას დახედა.

ჯერ კიდევ მთლად ჭაბუკი იყო, საპას-პორტო ასაკისა, მაგრამ ძვალმსხვილი და დაკუნთული, მკლავებზე და მხრებზე მზე მოჰკიდებოდა, ცეცხლისფრად ღვიოდა, საქმესხაჩერებული რაღაცას ფიქრობდა, ცალთვალმოჭუტული და გარინდებული.

— კანი გაგვრება. — გააფრთხილა მოხუცმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— რა მითხარი, — გამოერკვა ბიჭი, — რა მომივა?

— დამწვარხარ-მეთქი, — განუმარტა იმან, — ხალათი შემოიცივი, თორემ გაზაფხულის მზე და იკბინება, კიტრივით გაგვცქვენის, ვერც კი იგრძნობ.

— იპ... — აინუნშიც არ ჩააგდო ბიჭმა, — ფეხებსაც ვერ მომჭამს, — დარდიმან-

დულად მოუქცია და ბეჭე ხელისგული დაიტყაპუნა.

მოხუცმა ყანყარატომი მიბჯენილი დილი შეხსნა, „მე კი ვაცივებისა მეშინია“, — ვაიფქრა გულნაკლულად.

— წავალ, — უხალისოდ თქვა, — ხელს აღარ შევიწო.

— რათა კაცო, — უცბათ შეფუცხუნდა ბიჭი და ხელისხურგით შუბლზე ჩამოყრილი თმები გადაიყარა, — მაინც შესვენებას ვაპირებ, ხმისგამცემიც არავინა მყავს, აგერ იქით მივდგეთ, ისეთ ცოცხალზე დაგაბატყო, არც გენახოს, მავათსავით ჭიკაყელით კი არა მყავს დაჭერილი.

ბერიკაცი შეფქრინდა, — პოო... — არაფრისმთქმელად აღნიშნა, — სად მოიხელთე?

— ფაცერი გვაქვს ჩადგმული იქითა გატოტილზე, — ხელით მიანიშნა ბიჭმა, — ცოტაოდენი ყოველ დილით გვხვდება.

— კეთილი და პატიოსანი, — თითქმის დაეთანხმა ბერიკაცი, — მაგრამ...

— რა მაგრამ? — მოუთმენლად დაეკითხა ბიჭი, ამასთანავე გვერდით მდგომ ბენზინიან კასრში იდაყვებამდე ჩაპყო დაზეთილი, ჩავოჯავებული ხელები, ამოიბანა, გაიკრიალა და როდესაც მშრალი ჩვრით გაიწმინდა, ფრჩხილის ძირებში დაჭონდა შერჩენილი ოდნავი სიშავე.

— მე სხვა რამისათვის ჩამოვედი აქა, — ფიქრინად უთხრა მოხუცმა, — მეგონა, არავინ იქნებოდა.

— მაინც, რისთვის? — დაინტერესდა ბიჭი და გამომცდელად შეაცქერდა.

— ამ უჩრხულების ანლო ნახვა მინდოდა, — სამსხვრევებზე მიანიშნა იმან, — რა მხელა რამეები არიან?!

ბიჭს გაეცინა, იმისმა ცნობისმოყვარეობამ გააოცა, „ფეხზე ცხვარი ჰყავს გამობმული და მაინც რალაცა აინტერესებსო“, — ვაიფქრა.

— ქვას ამტვრევენ და ფქვავენ, ეგ არის და ეგ, — უბრალოდ განუმარტა, — ამათზე ვეებერთელეებიც არიან, ათჯერ და ოცჯერ დიდებიც.

მოხუცი ორთავე ხელით დაეყრდნო ხელჯოხს, კისერალერილმა ახედა ლურჯად შელებილ დანადგარებს, გულდაგულ შეათვალიერა.

— აი ის, საცერივით რომ ადვას, ის რილასი მაქნისია? — შეფარული ცნობისწადილით დაეკითხა.

— წამომყვი, თავიდან გიჩვენებ, — როგორც აბეზარ ბავშვს, ისე დაეთანხმა ბიჭი, შებრუნდა და წინ წაუძღვა. ისიც მუხუღმში მისულ დამთავალიერებელივით მორჩილად და კრინტდაუძვრელად გაჰყვა, რაც შეეძლო გაჩქარებით.

თავდახრილებმა გაიარეს ოთხ რიგად ჩამჭკრივებულ დანადგარებს შორის, გასცდნენ და იქვე მდგომ ფიცრულთან შეჩერდნენ. ბიჭმა წამით შეიბინა, იქიდან უშინოდ გამოჩორკნილი დაბალი სკამი გამოიტანა, შემადლებულზე დაუდგა და ზედ დასვა.

— აგერ, აქედან იწყება ყველაფერი, — უთხრა და ზევით აახედა, სადაც რიყის ქვა და ხრეში იყო შექუჩებული, შემდეგ მოდგა და დაუხარებლად, სრულ წვრილმანებში მოუყვა და განუმარტა.

საიდან და რა გზით მოქონდათ გადასამუშავებელი მასალა, რანაირად ყრიდა ბულდოზერი ამ მასას რკინის უხარმაზარ ლარებში, რა პრინციპით ფშენიდა და აქუცმაცებდა პირველადი სამსხვრევის ყბები ქვანარევი ხრეშს და როგორ გადაჭონდა ტრანსპორტიორის ღვედს მეორად კონუსურ დანადგარში; გზადგვა საცერზე რა

ხერხით ხდებოდა მისი გარეცხვა და განცალკევება, შემდეგ რაგვარად ზარისხდებოდა სხვადასხვა ფრაქციის ღორღად და ქვიშად, და საბოლოოდ ექსკავატორის მეშვეობით, ზედმეტსახელად „თეთრი ყვავი“, როგორ ტვირთავდა ამ მასალით ავტომანქანებს.

ბიჭი იმდენად შევიდა მოყლის ეშში, რომ არც იმის ახსნა დაუმაღლებია, თუ რა გაჭირვება ადგათ და რა უშლიდათ ხელს, რატომ ჰქონდა სათადარიგო ნაწილების შოვნა, რის გამოც ცდებოდნენ სატვირთო ავტომანქანები, როგორი გაწამაწით ასრულდებდნენ გეგმებს, რატომ ფერხდებოდა ტრანსფორმატორის მუშაობა, რომელსაც სიმძლავრე არ ყოფნიდა; ვასამხიარულებლად იმასაც მოუყვა, ტრესტის მთავარ ინჟინერს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, ჯერ-ჯერობით ისიც რომ ვერ შეეგნო, ელექტროძრავები სამფაზიას დენზე რომ მუშაობენ და ამას წინათ, როდესაც ცალი ფაზა დაკარგული ჰქონდათ, როგორი რისხვა გასცა ბრძანება, ოღონდ გეგმა არ ჩააგდოთ და ჯანდაბას თქვენი თავი, ორ ფაზაზე ამუშავეთო. ეს ყველაფერი ისე სხარტად და გასაგებად აუხსნა, რომ გაარკვია კიდევ და გულიანად ახითხითა და ახარხარა.

— მე მანქანებს თეთრი ყვავი რატომ შეარქვით? — ჰკითხა იმან ბოლოს.

— უბედური და უხიაგი ჰყავს გაჩენილი ღმერთს, — ფუჭუნით უთხრა ბიჭმა, — ვინ როგორ გააცუქურაქოს და ვაბიბარუოს, მაგაზედა ვაფაციცებული. თეთრი ყვავი კი იმიტომ შევარქვით, რომ შავ ყვავებს მტრობს, თუ სადმე დაბუღებული დალანდა, არ დაიხარებს, ხეზე აძვრება, კვერცხებს ააქლის, ჩამოიტანს და თავისებურად მოუვლის; მერე უკანვე აბობლდება და ბუღეში ჩაუწყობს. მაგის შემდგომ კი მთელ თვეს იმ ხის ძირში მოკალათებული სიცილ-ხარხარში ატარებს.

— კი მაგრამ რალა ამხიარულებს? — გაოცა მოხუცმა, — ანდა თუ ჩამოაქვს, რალატომ აქვს?

— ძალის თავიც მანდ არის, — ცრემლებისწმენდით ახითხითდა ბიჭი, — ატანამდე ხარშავს... ის საცოდავი ყვანჩალა კი ზედ დაჰფოფინებს, ცივ ნიავს არ აკარებს და გამოჩევას უცდის.

— მართლაც დიდი ბერიკაცი ვინმე ყოფილა, — დაეთანხმა ბერიკაცი, რომელიც ასეთ დასასრულს უდაოდ არ ელოდა — ან რამ მოაფიქრებინა?

— მაგაზე მაგარ-მაგრებსაც იგონებს, — ამცნო ბიჭმა, მაგრამ მოხუცმა აღარ დააცადა.

— უსაქმური ყოფილა, — ამხილა, — ეგეთი ბუნების კაცი რივიანად და გულიანად ვერაფერს გააკეთებს.

ბიჭმა კისერი მოილრიცა და გვერდულად განედა, ირონიულად და ოდნავ დაცინვითაც, „ვითომ რატომ, ბრძენთა ბრძენო?!“

— ერთი მასწავლებელი მყავდა, — პასუხად მიუგო, — ნოე ერქვა, იმის გაკვეთილზე ფანჯარაში რომ გაგებდა, იმწამსვე ცულლულტა და ბრიყვს დაგარქმევდა, უგულუსყურო აღამიანი ვერაფერს მიაღწევსო, დღენიადაგ მაგას ჩავგვიჩინებდა, იმას კი ვერ საზღვრავდა, დაუდგრომელი და ცეტი ბავშვები ყველაზე გონიერები რომ აღმოჩნდებოდნენ საბოლოოდ.

მაგას დაბეჯითებით ვერაფერ იტყვის, — შეეპაექრა მოხუცი, — მე თუ მკითხავ, ცანცარასა და აცუნდრუკებულს, დინჯი

და მშვიდი უმეტესად სჯობს, შენი მასწავლებელი იქნებ ცამდის მართალიც იყო, რას გასწავლიდათ?

— ფიზიკას, — ამცნო ბიჭმა, — სიმართლე რომ ვალიარო, ჩემი გეგმები სიდან ვინც კი უმაღლესში ჩააბარა, იმის საგანში ყველამ ივარგა.

— აგერ, ხომ ხედავ, — ნიშნი მოუგო მოხუცმა, — შენ რალა ჰქენი?

ბიჭი ბერიკაცის წინ ჩაცუტკდა, მიწიდან ალუმინის მავთულის გადანაჭერი აილო და საჩვენებელ თითზე რგოლებად შემოიხვია, შემდეგ ისევ გამართა.

— მომავლისათვის ვაპირებ, — საქმიანად გაენდა, — აქ ერთი მექანიკოსი გყავს, ის მამეცადინებს. ლექტორებისათვის მისაცემი სად ოხრობაში მაქვს, მავათ ასები და ათასები სჭირდებათ... აი, პრემიები რომ მოეცათ, იქნებ მომეხერხებინა კიდევ.

— ხომ თქვი გეგმებს ვასრულებთ?! — შეახსენა მოხუცმა.

— ვინდ შეასრულე და ვინდაც გადაასრულე, — გაგულსებით მოისროლა ბიჭმა მავთულის ნაჭერი, — გადახარჯვა გვაქვს და უკაცრავადო...

ბერიკაცმა მუხლებშუა ჩადგმულ ჯოხის საბჯენს ნიკაპი ჩამოაღო და მდინარის ჩქერს გაუსწორა მზერა, ერთ წერტილს გასცქეროდა და ორმაგად ფიქრობდა, ერთის მხრივ იმას, მდინარის წყალი რომ მუდმივ მოძრაობაშია, ტალღა ტალღას ცვლის, არასოდეს მეორდება, მეორე მხრივ თავის სიჭაბუკეს იხსენებდა, დიდ გაჭირვებასა და ცხოვრებასთან მარტოხელად ჯავგურ-ჭიდოდა.

— კარგა ხანს მეც გამუდმებით სწავლაზე ვოცნებობდი, — თვალისდაუხამხამებლად თქვა, — მაგრამ არაფერი გამომივიდა, ოჯახი მყავდა სარჩენი, მუშფაკის დამთავრებაც ძლივს შევძელი, ვჯახირობდი და მაინც ნატვრას ვერ ვიღებდი გულიდან, შენ თუ ოცნებობ ხანდახან?

— რაზე? — გაოცა ბიჭმა. ასეთი კითხვა რომ არ დაესვა, აპირებდა ეთხოვა, მუშფაკი რას ნიშნავს განმომარტო.

— მომავალზე, — დაუდგინა მოხუცმა, — კარგ კაცობაზე, სახელზე, წინსვლაზე, სიყვარულზე... რამდენი რამ არის, ვინ მოსთვლის?!

— მე სხვას უფრო ენატრობ, — თავხედური ღმილით უთხრა ბიჭმა, — ფულს, მანქანას, ვაწყობილ სახლს, დროსტარებას.

მოხუცმა გაკვირვებით ჩახედა წინა-ცუქულს, იმდაგვარად ბებერი ხარი გზადგახილულ ფინიას რომ ჩააცქერდება.

— ფეხი დამიბუჟადა, — ცოტა ხნის დუმისის შემდეგ დაიჩვილა და ბიჭს ხელი გაუწოდა, შემდგომ იმან რომ თავისი შეაშველა, ხვნიშით წამოიმართა, სახსრებმა ძველი ტანტის ფეხებივით გაიჭრიალა და გაიტკაცუნა.

— არც ერთი შენგან ნათქვამი ოცნებად არ ითქმის, — უკვე გამართულმა უთხრა, ისე რომ ხელი არ შეუშვია, — ეგ ყველაფერი უბრალოდ მოთხოვნილებაა და დროთა განმავლობაში თავდაც მიხვდება, ღმერთმა არა ქმნას უმაღლესის დამთავრებაც მაგისთვის გქონდეს განზრახული, სულ ფუჭი იქნება შენი ცხოვრება: რალა თქმა უნდა, ახალგაზრდა ხარ და არ გაიმტყუნები, მაგრამ ოცნებისა და ნატვრის მიზანი აქედანვე სანაქებო უნდა გქონდეს, მერწმუნე, ჩემი ხნის კაცს ზოგ-ზოგი დაეჭვებდა.

— ვიცი, — ყასილად დაეთანხმა ბიჭი და ხელკავი გამოსდო, იგრძნო, რომ მო-

ქურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად ილია ჭავჭავაძემ 1862 წლის თებერვალში თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ორბელიანს.

ცხადია, ილიას თხოვნას თანაგრძნობით შეხვდა გრიგოლ ორბელიანი. რომლის ხელმოწერითაც გაიცა ნებართვა.

როცა ქურნალის დასაარსებლად ზრუნავდა, ილიას მოცლა არ ჰქონდა. გამუდმებით მუშაობდა, ფიქრობდა. გამოჩნურებულ ჭაბუკ იმისთვისაც კი არ რჩებოდა დრო, რომ მომავალ მეუღლეს შეხვედროდა. „გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, — წერდა ილია ოლა გურამიშვილს 1863 წლის 29 იანვარს, — სამ საათზე მოვალ-მეთქი... იგი არაფრით არ თანხმდება, გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირა ამაზე ვეჩინებო, ქურნალი კი ამის გამო მიჩერდება... ვეცდები, რაც შეიძლება მალე მოვიშორო ცენზორს, რომ შენთან ამორბენა მოვასწრო. თუ, საუბედუროდ, ვერ მოვასწარი, მაპატიე, შენი ჭირი... დღეები ძალზე გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეჭიდე. დამელოდე სრულ ოთხამდე, თუ მოველი ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მე ნუ, ცენზორი დასწყევლე, იმის ბრალი იქნება. (ტომი X, 1961, გვ. 181-182).

ახლოვდებოდა სანატრელი დღეები. „საქართველოს მოამბე“ ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების არენაზე უნდა გამოჩენილიყო და ამას, ილიასთან ერთად, ოღალე მოუთმენლად ელოდა.

19 თებერვალს ილია თავის წერილში ოღალს ატყობინებს: „გიგზავნი ქურნალს; ყურადღებით წაიკითხე ჩემო ძვირფასო ანგელოზო!“

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ქვეყანას მოველინა „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი.

ქურნალმა შემოიკრიბა ახალი თაობის

ბის საუკეთესო წარმომადგენლები: ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლოლობერიძე, დავით ყიფიანი, ვიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი, პეტრე ნაკაშიძე, ვახტანგ თულაშვილი, მიხეილ ჩიკოძე, ილია ოქრომჭედლიშვილი და სხვები.

ქართველი ერის წიაღში აღზრდილმა და მის წინამძღვრად მოწოდებულმა ილია ჭავჭავაძემ, სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე თავის მხატვრულ შედეგებში გამოთქმული იდეების განხორციელება დაუსაზარ მიზნად „საქართველოს მოამბეს“. ამ ქურნალის გამოცემის შესახებ დაბეჭდილ განცხადებაში ილია ქართველ ხალხს საქვეყნოდ ჰპირდებოდა: „ჩვენ გესურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. ამისათვის

კაზმულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში, სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ისტორიულ ბრძოლაში.

ამ გარემოებაზე სამართლიანად მიგვიანიშნებს 60-იანი წლების დასასრულ საზოგადოებრივ არენაზე ახალ გამოჩენილი ქურნალი „მნათობი“ პუბლიცისტი ნ. ინაშვილი „საქართველოს მოამბის“ შესახებ წერს: „...იმან გამოიჩინა იმოდენა ნიჭი, იმოდენა გონიერება, იმოდენა სიმაყვე აზრისა და გონივრული შეხედულებისა, რომ ყოველს გონიერს კაცში მოიპოვებს სრულს თანაგრძნობას და უფრო დააღონებს მას მისი ესე მოულოდნელი და ჩქარი მოსპობა.

...პირველად ვსცანით რა ძალა და

ტერატურას, პუბლიცისტიკას. მისი საშუალებით ქართველმა მკითხველმა, თუმცა არასრულწლოვანმა, წაიკითხა ილია ჭავჭავაძის შექმნილი: „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანის“, „კაცო ყაჩაღის“ ცალკეული თავები (ნაწევრები), ლექსები: „პოეტი“, „უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიჭად ნუ გგონია“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „ალექსანდრე ჭავჭავაძეზედ“, „გუთნის დედა“, „ხმა სამარადამ“, „მუშა“, „მას აქეთ. რაკი შენვლამ ვცან მე სიყვარული“. მკითხველმა შეიტყო და შეიგრძნო ილიას ნიჭის სიძლიერე, რომელიც პირველ რიგში პოეტის მხატვრულ თხზულებებში გამოსხივდა.

ცხადია, „საქართველოს მოამბემ“ მაინც ვერ მოასწრო დასახული მიზნის ბოლომდის შესრულება, ვერ შეძლო თავისი სათქმელის დასრულება ისე, როგორც ამას ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ცხოვრებაში ვატარება მოითხოვდა.

ქურნალმა „საქართველოს მოამბემ“ 1863 წლის დასასრულს შეწყვიტა არსებობა. გამოვიდა სულ 12 ნომერი. ქურნალის გამოცემის გაგრძელებას მრავალი მიზეზი უშლიდა ხელს. ამის შესახებ თვით ილია წერდა: „წარსულმა დრომ მრავალჯერ დავემტკიცა რომ რასაც ჩვენ თვითონ ვთხოვდით ჩვენს ქურნალს, რასაც მისგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა“.

მართალია, ილია ჭავჭავაძე პირდაპირ ვერ ასახელებს ქურნალის არსებობის შეწყვეტის მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს, მაგრამ აქამდე უდაოდ მიგვაჩნია, რომ „საქართველოს მოამბის“ არსებობისათვის ერთ-ერთ გადაუღებავ დაბრკოლებას წარმოადგენდა ცენზურა, რომელიც ყოველივე პროგრესულს დევნიდა, ამან განაპირობა კიდევ ქურნალის არსებობის შეწყვეტა.

მიუხედავად ამისა, „საქართველოს მოამბე“ XIX საუკუნის სამშობლოს ცაზე დანთებული ჩირაღდანი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ქურნალისტიკის ისტორიაში.

საქართველოს მოამბე

შალვა გოზალიშვილი, პროფესორი

ვიკისრეთ ქურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჰუმანიტური, და თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვქნებით.

ჩვენის მხრით რასაც კი შევძლებთ, არას დავზოგავთ დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდა“ („ცისკარი“, № 10, 1862).

ქურნალ „საქართველოს მოამბეში“ აისახა ყოველივე ის, რაც ახალი, კარგი და მიზანსწრაფული იყო XIX საუკუნის ქართული სიტყვა-

მნიშვნელობა აქვს ქართველობისათვის რიგიანს ქურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზედ და მდგომარეობაზედ. ბევრი უკეთესი, რაკი რამ დაწერილა ქართულად, იპოვება „საქართველოს მოამბეში“, და სხვათაშორის ეკუთვნიან უ. ილ. ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისის მოთხოვნებით. ლექსებით და სხვადასხვა სტატიებით დავემტკიცა თავისი ნიჭი“ (1869, № 1, გვ. 9).

ქართული საზოგადოებრიობა „საქართველოს მოამბით“ ეზიარა მდიდარ მრავალფეროვან მხატვრულ ლი-

ხუცს მუხლები ღალატობდა, ამასთანავე ნათქვამიც იხანა „ასე პირდაპირ არ უნდა მეთქვა, ამას ყველაფერი ეს, ალბათ, აღარც აინტერესებსო“.

— პენსიონერი ხარ? — შემბრალებულურად ჰკითხა.

— არა, ჯერ კიდევ ვჯახირობ, — მობოდიშებასავით მიუგო ბერიკაცმა, — თავისდანიებებისა მეშინია.

ბიჭს თვალეები გაუფართოვდა.

— რისი გეშინია? — გვერდითამომდგარმა ჰკითხა.

— სკვდილისა, — დაუფარავად გაუმხილა მოხუცმა, — მე რომ საქმეს ვულალატო, ჯან-ღონე მილატატებს.

„უქიქინებს ამ ზბედურს, — გაიფიქრა ბიჭმა, — რალა დროს ამისი საქმეა?!“

თქმით კი სულ სხვა უთხრა.

— პაპაჩემიც შენსავითაა, სადაცაა ოთხმოცს გადაბიჯებს და ბარ-ნიჩაბს მაინც ვერ ვაგდებინებს ხელიდან, ათით ხომ მაინც იქნება შენზე უფროსი?

— თხუცმეტით. — დაუზუსტა მოხუცმა და ექვშეპარულმა ქვეშ-ქვეშ გამოხედა, არც თუ უსაფუძვლოდ, ბიჭს პაპა ომში ჰყავდა დაღუპული.

ორთავე თავის საფიქრალს მიეცა, კრიტიკა აღარ დაუძრავს, აღარც ბიჭს შეუშვია ხელი იმისი მკლავისათვის, მშვიდად მიაბიჯებდნენ საკვირაო ბირჟაზე გამოსული უსაქმურებივით.

კისერვადამტვრეულ ყირაფივით თავჩახრილ ექსკავატორს რომ გაუსწორდნენ, მასპინძელმა არაგვის ცოცხალი შეახსენა, მაგრამ მოხუცმა იუარა, ხასიათზე ვერა ვარო, — უთხრა, შემდეგ ბეჭებზე ხელი დაჰკრა „ყოჩაღად იყავიო“ და მუხლისკანკალით შეუღდა აღმართს, მერე, როგორც ჩანს, თავი გაიმხნევა და ნაბიჯსაც აუჩქარა. ვიდრე ფერდს არ გადასცდა და თვალს არ მიეფარა, ბიჭი ქვემოდან ასცქეროდა, სიბრალულნარევი მხერით, შემდგომ სხარტად შემობრუნდა და თავქვე დაეშვა, საფიქრალაშლილი და მადადაკარგული.

სანამდის ის მიტოვებულ საქმეს მიუბრუნდებოდა, ბერიკაცმა პატარა მდელის გადავლაც მოასწრო, გზის პირზე გავიდა და ხელჯოხი შემართა.

მისგან ოცილოდ ნახიჯის დაშორებით, ჩრდილქვეშ მდგომი შავდომლაპლაპე მანქანა ნიშნისმიცემისთანავე დაიძრა და წინ გაუჩერდა.

კოტა ხნის შემდეგ უკანა სავარძელზე მისვენებულმა მოხუცმა პიჯაკის ჯიბეში უბის წიგნაკი მოიძია, საწერკალამიც მოიმარჯვა და პირველსავე სუფთა ფურცელზე გაკრული ხელით რაღაცის წერა დაიწყო.

მძლოლი მხერის უშორესი კუთხით სარკეში უცქეროდა და თავისთვის ფიქრობდა: „ამ უქმეებში მაინც რაღას დაძრწის და დაეხეტება ეს უხიაგი, ვითომ სხვა დღეებში აკლდეს საქმე, ადამიანი რომ ცხოვრებას ვერ შეიშნოებს ეგ არის.. ამ ომერთის სამართალი რა ვთქვი, მაშ მე მძლოლი უნდა ვიყო და ეს კიდევ მინისტრი?!“

საახალწლო

ერთდროულად შემოღწეხ ჩემი გულის კარი. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, მონატრება არი! ბათუმიდან მიხმობს დონა, თუშეთიდან — მარი! ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, მონატრება არი! ვღებები ქართლის შუაგულში, მკლავებს ფრთისებერ გავშლი, ხელთ მექნება გასაყოფად მზისოდენა ვაშლი! ასე, ჩემო მადონებო, ასე, ჩემო მარი, ჩვენ გარშემო სიყვარული ჰაერივით არი! ჰაერივით გვასულდგმულებს, მადონავ და მარი! მუდამ იყოს, მუდამ იყოს სიყვარულის დარი! ერთდროულად რომ შეღწეწთ ჩემი გულის კარი, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად მონატრებით არი!

ლაგურ კილოზა

მთვარესავით გაღებულა სიყვარულის ნანა, — გავაცილოთ სიმღერებით, ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა! ვისთვის უკვე ზამთარია, ვისთვის თრობის ნანა, ოჰოიდა, ოჰოიდა, ოჰოიდა ნანა! ეთერივით უბით დამაქვს ნაჩუქარი დანა, — მომიოხეთ, მომიმღერეთ ოჰოიდა ნანა! ოჰოიდა ნანა! შემობრუნდა გაზაფხული, სიყვარულიც თანა. ძველებურად შემოფაძხოთ ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა! მთვარესავით გავსებულა გოგო ალვისტანა, — მივეგებოთ, მოვუღხინოთ, ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა! ეთერივით გულში ჩამრჩა ნაჩუქარი დანა, — მომიოხეთ, მომიმღერეთ, ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა! როცა მოგვკვდ, ცრემლის ნაცვლად მარგეთ იავანა, თქვენებური, ძველებური ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა! მოგონებამ მეწყერივით გული დაიტანა. მომიოხეთ, მომიმღერეთ, ოჰოიდა ნანა, ოჰოიდა ნანა!

კვლევითი სიყრდნულნი

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი გულნარა ბახტაძე ესაუბრა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ლენინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს. — ქართველი საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ თქვენ ხანგრძლივად მუშაობდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში. მონაწილეობთ კონგრესებში. გვიამბეთ უცხოელ კოლეგებთან კლინიკისა და პირადად თქვენი კონტაქტების შესახებ. — ჩვენს კლინიკას და საპრობლემო ლაბორატორიას ფართო კონტაქტები აქვს უცხოელ სპეციალისტებთან. წელს ჩვენთან მაღალ დონეზე ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი სმენის ობიექტური გამოკვლევის მეთოდებზე. მე ყელ-ყურ-ცხვირის ოთხი უცხოური საზოგადოების წევრი გახლავართ. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ გერმანიის ბუნებისმეტყველთა უძველესმა აკადემიამ (ლეოპოლდინამ) 1976 წელს თავის წევრად ამირჩია, ხოლო შარშან ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტმა (გდრ) საპატიო დოქტორის წოდება მომანიჭა... — არაერთხელ გითქვამთ, რომ თქვენს კლინიკაში ბევრი სხვადასხვა თაობის წამყვანი სპეციალისტია. ხომ არ დავვისახელებდით რამდენიმე მათგანს? — პირველ რიგში, დავასახელებ ზურაბ ქვენიშვილს და იმ თანამშრომლებს, რომლებიც მასთან ერთად მუშაობენ სმენის ობიექტური გამოკვლევის დარგში,

ბიოელექტრული პოტენციალების დამუშავების საშუალებით და ელექტრონული გამოთვლითი მანქანების გამოყენებით. მინდა, დავასახელო დოცენტები: ტოგო ჟორდანი და შოთა ტყემალაძე, ახალგაზრდებიდან: ოთარ ქაჯაია, გია ოდიშვილი, მერაბ ადამია და ბევრი სხვა. — ამბობენ, სმენადახშული ადამიანთა რიცხვი მსოფლიოში რამდენიმე მილიონს ითვისო. როგორია მათი მკურნალობის პერსპექტივა? — პერსპექტივა იმაზეა დამოკიდებული, თუ სმენის ორგანოს რომელი ნაწილია დაზიანებული და რამდენად მძიმედ. მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა შეფერხებულია ბგერის გავრცელება შუა ყურში, რაც, შეიძლება, სასმენი ძვლების უმოძრაობით. ან სხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში წარმატებით ვეხმარებით დიდ უმრავლესობას. უახლოეს წლებში დაინერგება მეთოდი, რომელიც სასმენი ნერვის ელექტრულ გალიზიანებას ემყარება. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა სასმენი ნერვის ბოჭკოთა ნაწილი დაუზიანებელია, ხოლო პათოლოგიური ცვლილებები მხოლოდ ამ ნერვის დაბოლოებების, შიგნითა ყურის პათოლოგიით აიხსნება. ამ მეთოდის დაინერგვა დიდ მუშაობას, პირველ რიგში დიაგნოსტიკის მეთოდების გაუმჯობესებას მოითხოვს. იგი მსოფლიო მასშტაბის პრობლემა გახლავთ. მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ ავადმყოფს დაეხმარებით და როგორ ეფექტს მივაღწევთ. — ჩვენთვის ცნობილია, რომ ლენინური პრემია მოგენიჭათ კლინიკაში სმენის გამაუმჯობესებელი ოპერაციების დაინერგვისა და სრულყოფისათვის. თქვენი





შრომები დაიბეჭდა უცხოეთშიც. რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ჩვენი კათედრა ინტენსიურად მუშაობს სმენის გამოკვლევის მეთოდების სრულყოფის დარგში. ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ოპერაციები. ვაკეთებთ სხვადასხვა სახის ოპერაციას ხორხის სიმსივნის დროს. ამ ოპერაციის დროს, ისევე როგორც ყურის ოპერაციისას, ვიყენებთ მიკროსკოპებს. დაწვრივით, აგრეთვე, ახალი მეთოდი — სიმსივნის დარღვევა ლაზერის სხივით.

— კერამიკულ პროტეზებს თუ იყენებთ და როგორ შედეგებს აღწევთ?

— ძალზე გატაცებულნი ვართ კერამიკული პროტეზებით. ყურის ოპერაციის დროს კარგი შედეგები გვაქვს. ვთანამშრომლობთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალურ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიასთან. თუ ჩვენმა მონაცემებმა საკავშირო აღიარება მოიპოვა, მაშინ უახლოეს დროში თბილისი მოამბარაგებს ჩვენი ქვეყნის ოტორინოლოგიურ კლინიკებს ორიგინალური კონსტრუქციის კერამიკული პროტეზებით.

— როგორც ცნობილია, პირველად უცხოელებმა დაიწყეს ფიბრინული წებოს გამოყენება. თქვენ თუ იყენებთ ფიბრინულ წებოს და რომელი ოპერაციის დროს?

— ჩვენს კლინიკას ფიბრინული წებოს გამოყენებაში კავშირის მასშტაბით პრიორიტეტი ეკუთვნის. კარგა ხანია, ვიყენებთ ფიბრინულ წებოს ყურისა და ხორხის ოპერაციების დროს. დარწმუნებული ვარ, ამ წებოს მიღება საქარხნო წესით მოგვარდება და შემდგომში ფართოდ გამოიყენებენ მედიცინის თითქმის ყველა დარგში.

— როგორ ეხმარება ტექნიკის პროგრესი მედიცინას და კონკრეტულად თქვენს დარგს?

— ტექნიკური პროგრესი უაღრესად დიდ როლს თამაშობს მედიცინის განვითარებაში. ელექტრონული გამოთვლითი მანქანების გამოყენებაზე მოგახსენებდით. დღესდღეობით წარმოუდგენელია ამ ურთულესი ხელსაწყოების გარეშე მუშაობა.

იგივე უნდა ვთქვა ლაზერზეც. მისი გამოყენება დიდ პერსპექტივებს უქმნის ქირურგიას. სმენის გამოკვლევის ბევრი თანამედროვე მეთოდი ემყარება ფიზიკის უახლეს მიღწევებს. რასაკვირვლია, უნდა აღინიშნოს რენტგენოლოგიური და რადიოლოგიური მეთოდების საოცარი გაუმჯობესება.

— ცნობილია, რომ დღეს 300-ზე მეტი საქმიანობა სპეციალობაა. როგორ უყურებთ ასეთ ვიწრო სპეციალიზაციას მედიცინაში?

— ცხადია, რომელიმე დარგში ზედმიწევნით დახლოვნების გარეშე შეუძლებელია ავადმყოფს დაეხმარო, მაგრამ ვიწრო სპეციალიზაციას არ უნდა მოჰყვეს საერთო პერსპექტივის დაკარგვა, კავშირის გაწყვეტა მედიცინის დარგებს შორის. ამას ავადმყოფთა ინტერესები მათქმევინებს. დაავადებათა უმრავლესობა არ შემოიფარგლება ორგანიზმის მცირე უბნით, რიგ შემთხვევაში იგი არ არის გამოწვეული რომელიმე ერთი მიზეზით. მკურნალობის დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის სამკურნალო პრეპარატი ან ოპერაცია მთელ ორგანიზმზე. ექიმმა მთელი თავისი პროფესიული ოსტატობა უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ მიაღ-

წიოს ავადმყოფის განკურნებას.

— თქვენი მეუღლე, ქალბატონი ლალი მიქელაძე — ფსიქიატრიის სპეციალისტია, თქვენი ქალიშვილი მანა მოსკოვის აღმოსავლეთმედიცინის კვლევით ინსტიტუტის ასპირანტია, ვაჟიშვილმა — დევი ზეჩინაშვილმა დაამთავრა შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, იგი ფიზიკოსია, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი. რატომ არ აგრძელებენ თქვენი შვილები თქვენს საქმიანობას?

— მართალი გითხრათ, ყოველთვის მომხრე ვიყავი იმისა, რომ ჩემი ერთ-ერთი შვილი ექიმი გამხდარიყო. მაგრამ მათთვის ძალა არ დამიტანებია. ცოტა მაგალითი როდი ვიცი იმისა, თუ რა მოჰყვება ხოლმე ასეთ ძალდატანებას და, ვფიქრობ, ჩვენ სწორად მოვიქეცი.

— შარშან, აგვისტოში, ფქვენ სოხუმში ისვენებდით. მე მოწმე ვახდლი იმისა, თუ რაოდენ დიდ დროს უთმობთ სპორტს, მოძრაობას. ყოველ ცისმარე, გამთენიისას, ფეხით ჩადიოდით მთიდან ზღვის სანაპიროზე, ვარჯიშობდით, ცურავდით (საკმაოდ შორს და ბევრს), ფეხით ადიოდით მთაზე. ასე მეორდებოდა ვახშამდე. ვახშმის შემდეგ, ძილის წინ, კვლავ ბევრს მოძრაობდით. ასეთ რეჟიმს მთელი წლის მანძილზე იცავთ თუ მხოლოდ შვეებულების დროს?

— როგორ გითხრათ, წლის განმავლობაში ასეთი რეჟიმის დაცვის საშუალება არ მაქვს. ამის კომპენსაცია ფეხით სიარულით ვახერხებ. ვცდილობ ვიმოძრაო, რადგან უმოძრაობა ყველაზე საშიხელი სენია. მოძრაობა ადამიანის მკურნალია ყველა ასაკში.

— დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. აქტივზე მიწვეულნი იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერი-მედიკოსები. თქვენ კამათში მიიღეთ მონაწილეობა. ხომ არ გაუზიარებდით თქვენს შთაბეჭდილებას „დროშის“ მკითხველებს?

— სიამოვნებით. აქტივის კრებას ეს-

წრებოდნენ ჩვენი ქვეყნის მედიცინის დარგის წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები, მსოფლიოში სახელგანთქმული მედიკოსები. კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ამოცანები. აქტივზე უაღრესად ავტორიტეტული. მეცნიერულად დასაბუთებული და საქმიანი სჯაბაასი გაიმართა. დაზუსტდა და გამოიკვეთა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკვანძო პრობლემები, პარტიული, საბჭოთა სამედიცინო სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები და რეკომენდაციები დაავადებათა პროფილაქტიკის, მთელი მოსახლეობის მასობრივი დისპანსერიზაციის უზრუნველყოფისათვის.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ე. ა. შევარდნაძის გამოსვლამ, რომელმაც თავის სიტყვაში თქვა: „ხალხთა ჯანმრთელობის დაცვა, — ყველას და თითოეულის საქმეა, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს ჩვენი ექიმების საზრუნავია. ამიტომ პირველი და ძირითადი, რასაც მინდა დღეს მივაპყრო ყურადღება, ეს გახლავთ პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფა. სწორედ ამ სფეროს მიხედვით მსჯელობს მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად ჩვენი მედიკოსების მუშაობის ხარისხზე, აფასებს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის პარტიული და სხვა ორგანოების საქმიანობას. და თუ გულახდლი ვიქნებით, ჩვენში სწორედ ამ სფეროშია ყველაზე მეტი ნაკლი, ხარვეზი, გადასაწყვეტი საკითხი“.


— ქეშმარიტად სწორი და მართალი სიტყვებია... განუზომლად დიდია ექიმის პასუხისმგებლობა. მას მინდობილი აქვს ყველაზე ფაქიზი და ძვირფასი რამ — ადამიანის ჯანმრთელობა. ექიმის ცხოვრების მთავარი შინაარსი და მიზანი სწორედ ეს უნდა იყოს ყოველთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ქურნალ „დროშის“ მკითხველებს, მთელ ქართველ ხალხს ახალი, 1984 წელი. დაე, კვლავ მშვიდობიანი, ზედნიერი ყოფილიყოს იგი ჩვენთვის!



ეროვნული
გზაობითაჲს

ზიხის კილევ ერთი უცნობი ნახატი



● საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია ჩანახატი, რომელიც შესრულებულია ხაზიან ქალაღზე შავი ტუშით. მას შერჩენია წერილის ნაწყვეტიც. იგი საქართველოს ეროვნული გალერეის ფონდებში ირიცხებოდა და საინვენტარო წიგნში 1206 ნომრითაა გატარებული. სათანადო ჩანაწერების მიხედვით სურათის ავტორად მიჩნეულია უნგრელი მხატვარი ზიხი. ნახატი 1933 წლის 4 მაისს ჩაუბარებია მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანს. საინვენტარო წიგნში ჩაწერილია: „ზიხის წერილი მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანისადმი, სურათით: „ქეიფი ზიხის საქართველოდან გაცილების გამო“.

ქალაღის დიდი ნაწილი (ორი მესამედი) დათმობილი აქვს ჩანახატს, რომელიც კავკასიის ხალხთა ტიპების, მათი ტანსაცმლის, ადათ-წესებისა და ეთნოგრაფიული ნიშნების შესანიშნავი ცოდნით გადმოსცემს ქეიფისა და ღროსტარების სცენას. ქალაღის ქვემო მარჯვენა კუთხე, სადაც წერილის ტექსტი უნდა ყოფილიყო, მო-

ხეულია, მოჩანს ზოგიერთი სტრიქონის რამდენიმე დასაწყისი ასო, დაწერილი იმავე კალმით, რომლითაც ნახატი შესრულებული. ძნელად იკითხება მოხატულობის დაბლა, მარჯვენა კუთხეში, დარჩენილი თარიღი — 1881, რაც, ალბათ, წერილის დაწერის წელს უნდა მიანიშნებდეს. ეს თარიღი ზიხის საქართველოში პირველად ჩამოსვლის თარიღს ემთხვევა.

ქალაღის მეორე გვერდზე (ნახატის უკან) შემორჩენილია წერილის დასასრული, დაწერილი ფრანგულ ენაზე. „...გიწვი ხელს თითქმის სპარსეთის საზღვრებამდე. არასოდეს დამავიწყდება შენი მეგობრული მიღება თბილისში და ვიმედოვნებ, შემთხვევა მომეცემა, დაგიმტკიცო, რომ ვიქნები კარგი მეგობარი, რომელსაც გული უფრო მაგარი აქვს, ვიდრე თავი და კუჭი“. ეტყობა, ექსპონატის წარმომადგენელმა ზედმეტად ჩათვალა სრული ტექსტის დატოვება და გაანადგურა.

სურათი გამოირჩევა არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით. მხატვრისათვის არ არსებობს რაიმე სიძნელე აზრისა და გრძნო-

მათი ხილიც აზუენება სახალწლო სუფრას...

● ვაზი ვაზია, მაგრამ რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს ქართველი მეხილეების ბარაკიანი რთველიც განსაზღვრავს.

ყველას მოგვისმენია ხატოვანი გამოთქმა — შენ ხილი იხილე და შებაღეს რას კითხულობო. მასში, რასაკვირველია, არის გარკვეული სიბრძნე, ეს სიტყვები წინაპარს შიშარად არ წამოსცდენია — ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ ათქმევინა, მაგრამ დღეს ჩვენი მეხაღეც უნდა მოვიკითხოთ. თუ მეხაღეც არა, მაშ. ეს ტონობით ხილი ციღან ჩამოცვივდა?

გორის რაიონი. ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ კუთხეც შრომისმოყვარე, უნარიანი ადამიანები განაგებენ.

— ასეთ ადამიანებთან ყველა დაბრკოლების გადასალახავად წავალ, გვეუბნება ვარიანის საბჭოთა მეურ-

ნეობის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, „შრომის წითელი დროშის“ და „ხაბათი ნიშნის“ ორღენების კავალერი ვახტანგ ბახილაშვილი.

მეურნეობაში ხილის ბაღებს 1800 ჰექტარი უჭირავს. თესლოვანი ხილიდან მოჰყავთ ვაშლი და მსხალი; კურკოვნებიდან: ბაღი, ქლიავი, ტყემალი, ჰანჭური... ვაშლის ბაღებში ძირითაღად გავრცელებული ჯიშებია: „შამანური რენეტი“, „ქართული სინაპი“, „კეხურა“, „კანადური რენეტი“, „ყვითელი ბელაფორი“. შარშანწინ ვარიანელმა მეხილეებმა გეგმით გათვალისწინებული 7200 ტონის ნაცვლად 7330 ტონა ხილი მოიწიეს, გასულ წელს კი გეგმით გათვალისწინებული 8050 ტონის ნაცვლად 12200 ტონა ხილი ჩამოკრიფეს დახუნძლული ხეებიდან.

ვარიანული ვაშლი ბაღიღან სხვადასხვა მიმართულებით მიღის —

მაღივარში, საკონსერვო მრეწველობაში, მაღაზიებში. 2000 ტონა საკავშირო ფონდში იგზავნება.

ვარიანიღან გამოზრუნებულებს ხილის შემფუთავი ქარხნისაკენ წავიძღვა „საქსოფლდამზადების“ გორის სამეურნეობათაშორისო რაიონული გაერთიანების თავმჯღომარე ოთარ ჰიღლაძე. ორახნოღე მეტრის დაგვიჩრღა ჰიტიაშვილის სამფლობელომღე, ძია კონსტანტინეშე მოგახსენებთ, ჰარხნის დირექტორშე.

— ეს ჰარხანა დიღი ხნის არ არის, — გვიხნის ოთარ ჰიღლაძე, — მაგრამ კარგი სახელი აქვს ჩვენს სისტემაში...

შრომის მაღალი დისციღლინა, სისუფთავე, წესრიგი, სიახლის დანერგვა, — აი, რა ფაქტორებმა განაპირობა ჰარხნის კოლექტივის პრესტიჟი დამამზადებელთა შორის...

ქარელის რაიონის დღღოფლის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ხილის კრეფა დასასრულს უახლოვდებოღა. ღოყებდაბრღული კეხურაღა შემორჩენიღა ხეებს. აფსუს, რომ

აპარატში ფერაღი ფირი არ ჰქონღა ჩვენს ფოტოხელოვანს თარხან არღვაძეს!

ამ აღღიღმა ჰერ კიღევ 10-15 წლის წინ მიიპკრო ყურაღღება, როღცა ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულმა საზოგადოებრიობამ შეიტყო დღღოფლის მინდვრის არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

სწორედ აქ, ახალ აღმოჩენილ უძველესი ნაქალაქარის გვერღით, არის გაშენებული დღღოფლის საბჭოთა მეურნეობის პალმეტური ბაღები. 840 ჰექტარი თესლოვანი ხილისაა, 128 ჰექტარი კი ახალგაზრღა ბაღებს უქავიღა.

ოთხი წელიღა, რაც მეურნეობას უნარიანად ხელმძღვანელობს სიჟონ ბერუაშვილი. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მიღებულ გამოცდილებას თავი უნღა ეჩინა და ასეც მოხღა — 1977 წლის შემღღე შარშან პირველად შესრულღა ხილის დამზადების გეგმა — 3618 ტონის ნაცვლად დამზადებულღა 4100 ტონა ზი-

ბის გადმოსაცემად. მას ჩანაფიქრი თავისუფლად გადაუტანია ქალაქში. ამბის მოყოლის ინტერესით ნაკარნახევი და ერთგვარი სატირული ხასიათის ეს ჩანახატი უდავოდ გვიადვილებს ამოხეული ტექსტის შინაარსის ამოკითხვას და ზიჩის ავტობიოგრაფიულ გვაჩვენებს.

სურათი ზედმიწევნით საინტერესოა არა მარტო ისტორიული მნიშვნელობით, ზიჩისებური შესრულების სიმშვენიერითა და სიზუსტით, არამედ იმიტომაც, რომ ეს იმპროვიზაცია, ეტყობა, ზუსტად ასახავს იმ მომენტს, იმ ფაქტს, რომელსაც ბარათი გულისხმობდა. მასში გაცოცხლებულია მოქმედ პირთა სახეები, კომპოზიციის პერსონაჟები, ამასთან მათი იდენტურობა ნატურასთან არავითარ ეჭვს არ ტოვებს. აქ არიან დაირაზე, დიპლომატიკოზე, თარზე და სხვა აღმოსავლურ საკრავებზე დამკვირვლნი, მუსიკის ხმას აყოლილი მოცეკვავე ახალგაზრდა სამხედრო პირი, ცალკე გაშლილ მაგიდას შემოსხრომიან მანდილოსანი, სამხედრო ტანსაცმელსა და ჩონა-ახალუხში გამოწყობილი დიდებულები და, ბოლოს, ამ დროსტარების ერთ-ერთი გმირი, რომელსაც სასმელ-საჭმელი ცოტა მეტი მოსვლია... დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ სურათი დახატულია ერთ-ერთი იმ დროსტარების საილუსტრაციოდ, რომელსაც ზიჩი საქართველოში ყოფნის დროს არაერთხელ შესწრებია, მოხიბლულა და აღფრთოვანებულა.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებითა და ადათ-წესებით აღტაცებული და განცვიფრებული მხატვარი 1882 წლის 26 იანვრით დათარიღებულ წერილში სწერდა ძმას უნიკალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დამონტაჟების შესახებ: „ყოველივე ეს პატარა დაჩაგრული ერის დემონსტრაციას წარმოადგენდა. თეატრი მაყურებლით იყო გაჭედული, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა... ცალკეულ

ლი, 90-იანი წლების დასაწყისისათვის ეს ციფრი 10 ათას ტონამდე გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გახულ წელს მოიწევა 170 ჰექტარი ურწყავი ბაღი.

მომავალს იმედინი თვალთ შეხურობენ დედოფლები.


ხაშურის რაიონის ქვიშხეთის მერძვეობა-მეზობლანობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ალექსანდრე ციციშვილი) წლების მანძილზე არარენტაბელური იყო, შარშან კი მოგებამ 300 000 მანეთი შეადგინა. მეურნეობაში 17 სახის კულტურაა დანერგილი (აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში სტაფილოს ზამთრის მარაგი მთლიანად ქვიშხეთის მეურნეობაზე მოდის). ჩვენ ამკერად ვაშლის მოსავლიანობა გვანტერებებს. 468 ჰექტარი უკავია თესლოვანი ხილის ბაღს ქვიშხეთის ნოყიერ მიწაზე. გეგმით გათვალისწინებული 1980 ტონა ვაშლის ნაცვლად წარმოებულა 2350 ტონა ხილი.

ალექსანდრე ციციშვილს ვეხაუბრებით. ხანდახან დირექტორს სიტყვას შეაშველებენ მთავარი აგრო-

ნომი ერმილე კლიაშვილი და № 2 ბრიგადის ბრიგადირი ირაკლი ლაცაბიძე. მეურნეობის მშრომელთა წარმატებები თავისით არ მოსულა. დროზე ტარდებოდა აგროტექნიკური ღონისძიებები — რწყვა, სხვლა, წამლობა, სასუქების შეტანა, შხამქიმიკატების გამოყენება... ალექსანდრე თავის ხალხს ზომ აქებს და აქებს, არც იმით ამაგს ივიწყებს, ქვიშხეთელებს მხარში რომ ამოუდგნენ ხილის კრეფისას. ესენი არიან ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, ქვიშხეთის, ტეზრის, ცხრამუხის, ხაშურის II და III საშუალო სკოლების მოსწავლეები.

— თქვენი გოგონებიც აქ იქნებოდნენ ალბათ? — ვეკითხებით სამი ქალიშვილის მამას ირაკლი ლაცაბიძეს, რომელიც თავს გვიჩვენებს და ილიმება. კომუნისტ ლაცაბიძის ბრიგადამ დავალება 100 ტონის გადაჭარბებით შეასრულა და თავისი წვლილი შეიტანა მეურნეობის წინსვლაში.

**გიორგ ზარნაძე,
ჯემალ ინჯია.**



სურათებს შორის იმდენჯერ ვამომიძახეს სცენაზე, თვითონაც აღარ მასოვს. საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რა სასიამოვნო ყოფილა, როცა მაყურებელი ტაშით სცენაზე გიხმობს... თავადის ქალმა ბარათოვმა... ძვირფასი ფოლადის ხმალი მაჩუქა წარწერით, ვერცხლის ქარქამით — ლეკური ნახელავი... თუკი ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ მას ეს სამსახური, რითაც კი ძალა შესწევთ; თანაც ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრული გრძობით. მოკლედ ძალიან კარგი ხალხია (ქართველები)“ (იხ. გ. შარაძე, „მიხიი ზიჩი და ქართული კულტურა“, თბ., 1978, გვ. 45-46).

ამასვე ამბობს მხატვარი ზემოსხენებულ ჩანახატში.

ის გარემოება, რომ ზიჩის ეს წერილი-ჩანახატი მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის ოჯახში აღმოჩნდა, მოულოდნელი სულაც არ არის.

მარიამ ორბელიანი, ერეკლე მეორის

შვილიშვილი (1852-1941) ცნობილი ქართველი პოეტის ვახტანგ ორბელიანის ერთ-ერთი ასული იყო. მისი სახლი იმ დროის ნამდვილ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა. აქ იკრიბებოდნენ მწერლები. კითხულობდნენ თავიანთ ნაწერებს ახალგაზრდები, ისმენდნენ მუსიკასა და სიმღერებს, მსჯელობდნენ ქართულ ლიტერატურაზე, საზოგადო საქმეებსა და იმდროინდელი საქართველოს მწვავე საკითხებზე. თვითონ მარიამი შესანიშნავად უყარავდა ფორტეპიანოზე, იყო ორმად განათლებული ქალი, მშვენიერი მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა, ფრანგული ენისა და ლიტერატურისა, ქართველთა შორისა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი და დათვსნეხელი წევრი, ყოველი დიდი ეროვნული წარწყმელების მხარდამკერი და აქტიური მონაწილე.

ქეთევან ბაგრატიშვილი,

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე



ქ. გორის ხილის შემფუთავი ქარხანა. მარცხნიდან: გავრთიანების თავმჯდომარე ოთარ ჭილაძე, შემფუთავი ქარხნის დირექტორი კონსტანტინე ქიტაიშვილი, მუშა მარინე კულუმბეგაშვილი და მაცივრის გამგე დურმიზან იასამნიძე.



ეღუარდ გუფელი

ნეს უკრაინის საჭადრაკო სკოლის გამოჩენილმა დიდოსტატებმა ბოლესლავსკიმ, ბრონშტეინმა, გელერმა. პირველი წარმატებანი უკრაინის პირველობაზე მოიპოვა. 18 წლის ოსტატობის კანდიდატი გუფელი პირველად მონაწილეობდა უკრაინის ჩემპიონატში და II-IV ადგილები გაიყო. ოთხი წლის შემდეგ, ამავე რანგის ტურნირში, იგი ოსტატი გახდა, ხოლო 1959 წლიდან მუდმივად მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში.

ეღუარდ გუფელის საერთაშორისო დებიუტი გაიმართა 1961 წელს, სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის მესამე ტურნირში. მისი შედეგი აქ მოკრძალებული იყო, მაგრამ მაინც შეძლო საერთაშორისო ოსტატის ერთი ბალის მოპოვება. ორი წლის შემდეგ გუფელს ცოტა დააჯდა საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის.

1963 წელს ლენინგრადი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალის მონაწილეებს მასპინძლობდა. ეს ტურნირი მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის ახალი ციკლის შესარჩევი ტურნირი გახლდათ და თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე იქ იმყოფებოდა. — მათთვის ექვსი ადგილი იყო გამოყოფილი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ზონალურ ტურნირში.

გუფელი ჩემპიონატში ძალზე აგრესიულად თამაშობდა და დიდხანს ტოდერთა გჯუფში შედიოდა. ბოლო ტურის წინ პირველი ადგილის გაყოფის შანსიც კი გააჩნდა! საჭირო იყო, შეეხებოთ მოგეო რიგე-ლი ოსტატის კლავანისათვის, რომელიც არცთუ ისე წარმატებით გამოდიოდა. სამწუხაროდ, გუფელმა სავალაო შეცდომა დაუშვა და იმედის წყალი გადაეწურა. მეგობრებმა უსაყვედურეს: მოგებაზე რატომ ითამაშე, ყაიმი ხელს გაძლევა — მეოთხე ადგილს გაიყოფდი და ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას გაინაღებდიო. გუფელს დღემდე ღრმად სწამს, რომ მაშინ იგი პრინციპულად და სპორტულად მოიქცა. ასეა. უმაღლეს მიღწევებს თუ არ ესწრაფვი, მაშ რატომღა აცდენ ადგილს საჭადრაკო დაფასთან?

ლენინგრადში გუფელი მეშვიდე

ადგილზე გამოვიდა. მომდევნო წელს იუგოსლავიის ტურნირში კი ეღუარდს მეორე ბალი და საერთაშორისო ოსტატის წოდება მოუტანა. სამი წლის შემდეგ, ლენინგრადში, სადაც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა თამაშობდა, გუფელმა დამსახურებულად მოიპოვა დიდოსტატის წოდება.

გუფელი დღითი დღე ხვეწდა და სრულყოფდა ჭადრაკის თამაშის ხელოვნებას, ხშირად მონაწილეობდა ტურნირებში. სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკადემია გუფელი უკრაინის გუნდის ლირსებას იცავდა. მოსკოვის ნაკრებ გუნდთან თამაშის დროს იგი სისილოვს შეხვდა. მსოფლიო ექს-ჩემპიონმა თეთრებით ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი და ინიციატივაც ხელთ იგდო. გუფელმა მეტოქეს მოულოდნელად კუ და მხედარი შესწირა. ცოტა ხნის შემდეგ, სისილოვის მეფე გამოყვალ ალყაში მოექცა და მსოფლიო ექს-ჩემპიონი იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა. საგულსხმაოა, რომ დიდი ტურნირების პირად პარტიებში გუფელს დიუმარცხებია სპასკი, ტალი, ბრონშტეინი, პოლუგაევსკი, ჰორტი, ტაიმანოვი, გლიგორიჩი. შთამბეჭქავია ეს გამარჯვებანი!

ცნობამ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დიდოსტატის წოდების მინიჭების შესახებ ეღუარდ გუფელს მიუსწრო ტუნისის ქალაქ სუსში, სადაც ევიმ გელერს მწვრთნელად ახლდა. ორივე შინ კარგ ხასიათზე დაბრუნდა: მწვრთნელი დიდოსტატი გახდა, მისმა მეურვემაც დასახულ სპორტულ მიზანს მიღწია — პრეტენდენტთა ტურნირში გავიდა...

გუფელს სულ უფრო მეტად იზიდავდა ეურნალისტიკა, მაგრამ არც პედაგოგიურ მოღვაწეობას ივიწყებდა. მან ხომ ქ. ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა.

სამოციანი წლების შუა ხანებში ეღუარდ გუფელი მუდმივ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. აქ მან თავის სამწვრთნელო მოღვაწეობის ქვაკუთხედად გაიხადა მუშაობა მანა ჩიბურდანიძესთან, რომელიც 1976 წელს საზონათაშორისო ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული და მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი გახდა. ორი წლის შემდეგ მათამ

ჭადრაკის დედოფლის ტიტული მოიპოვა.

ეღუარდ გუფელის სამწვრთნელო მოღვაწეობის შესახებ ვაშაბეგია. თუნდაც ის, რომ მისი მეტაურობით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი ადგილი მოიპოვა საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში, ხოლო რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატში. ეს წარმატებანი სრულად ასახავენ ეღუარდ გუფელის მოღვაწეობის ამ მხარეს. იგი ტყუილად როდი ატარებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდებებს.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას გუფელზე, როგორც ჭადრაკის შემოქმედზე, მაგრამ სხვებზე უკეთ მან თვითონ თქვა თავის თავზე ბაგიროვან ნათამაშევი „უკვდავი პარტის“ კომენტარებისას. ამ პარტიას ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო პრესა. იგი გამოქვეყნდა ამერიკულ საჭადრაკო ჟურნალ „ჩეს ლიფ ენდ რვეიუში“. როგორც ჩანს, გამოცემის რედაქტორებმა ეს პარტია იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ იგი ფიშერს მუძღვნეს.

აი რას წერდა ეღუარდ გუფელი ამ პარტიის შესახებ:

„ყოველი მხატვარი ოცნებობს. დახატოს თავისი ჯოკონდა. ყოველი მოჭადრაკე — ითამაშოს თავისი უკვდავი პარტია და აი ჩემი „უკვდავი პარტია“. ამოდ არ დაეშვრები. ვამტყვიო: იგი „სილამაზის“ პრიზის იმსახურებდეს, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: არც ერთ პარტიას არ მოუწეკვებია ჩემთვის ისეთი სიამოვნება, როგორც მან მომიტანა. მისი მოგონება დღესაც კი დიდ ბედნიერებას მგერის და მაიწყვედა ყველა სპორტული წარმატებლობა, რჩება მხოლოდ ვანხორციელებული ოცნების სიხარული“.

წარმოუდგენელია საბჭოთა დიდოსტატების ოჯახი ეღუარდ გუფელის, მისი პარტიების გარეშე, იმ ხუმრობების გარეშე, საჭადრაკო გამოცემანი მაშინვე რომ გადაბეჭდვენ ხოლმე (პტროპოლისში — ბრაზილიის მეფეთა ძველ რეზიდენციაში, იგი ოფიციალურად ყველაზე გონებამახვილ ეურნალისტად აღიარეს). გუფელს ეურნალისტთა შორის (იგი სსრ კავშირის ეურნალისტთა კავშირის წევრია) „საბჭოთა ნადირფს“ იწოდებენ უშრეტე ენამახვილობისა და საზრიანობისათვის.

ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო გამოცემაში „ჩეხოსლოვენსკი შახში“ რუბრიკაც კი შემოიღეს: „ეღუარდ გუფელის ანგლოტებიდან“.

ჭადრაკის ამ რომანტიკოსის შემოქმედება უნებლიედ შეგვახსენებს გარი კასპაროვის სიტყვებს მის შესახებ: „მისი შემოქმედება გვეხმარება ფართოდ შევლოთ იმ უკიდურესო ქვეყნის კარი, რომლის სახელია ჭადრაკი“.

არსან პრემიანი



თქვენს თავში ეძიეთ გასაღები

● ჩვეულებრივი ისტორიაა: განერვიუ-
ლდი, ვიღაცას აწყენინე, მერე კი... დაეჭ-
ვება, სინდისის ქენჯნა. ან პირიქით: თქვენ
გატყინეს გული და განიცდი, ამაზე ფი-
ქრობთ სამსახურში, შინ. ღამითაც კი არ
გეძინებათ, ფიქრი არ გაძლევთ მოსვენე-
ბას.

ნერვიული აღგზნება, უარყოფითი ემო-
ციები, ფსიქიკური გადატვირთვა ხშირად
სერიოზულად ემუქრება ჩვენს ჯანმრთე-
ლობას. უნდა ვისწავლოთ აღგზნების, უა-
რყოფითი ემოციების გადალახვა. მაგალი-
თად, როგორ ვებრძოლოთ ღელვას გამო-

ცდის, კრებაზე სიტყვის თქმის ან მოსა-
ლოდნელი არასასურველი საუბრის წინ?
ბევრი შეცდომას უშვებს მაშინ, როცა
თვითონვე იწვალეს თავს, ნაცვლად იმი-
სა, რომ ემოციები სულ სხვა მხარეს მი-
მართოს. ძველ დროს განრისხებულ მე-
ფეს სასახლის წარჩინებულნი ლარნაკს
მიაბრძვებდნენ ხოლმე და ისიც ამსხვრე-
ვდა. ემოციის დასაოკებლად თუ ცოტა
იყო ერთი, ამსხვრევდა ორს...

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ
არ დავამტვრიოთ ლარნაკები და ჩვენი
ემოციები სხვისი საზიანო არ იყოს?

გვიშველის თვითმართვის უბრალო მა-
გალითები. აი, ზოგიერთი მათგანი:

ლოგიკის ფორმულებით გაარჩიეთ სი-
ტუაცია, შეხედეთ ყველა მხრიდან და თუ
ნახავთ, რომ თქვენი ნერვიულობა უსაფუ-
ძლოა, დაირწმუნეთ თავი ამაში.

ეცადეთ, წარუმატებლობაში დაინახოთ
სასარგებლო. მაგალითად, ვერ აიღეთ სა-
ოცნებო სპექტაკლზე ბილეთი, სამაგიერ-
ოდ მეტი დრო დაგრაჩათ სემინარის უკ-
ეთ მოსამზადებლად.

ეცადეთ, გაიღამოთ! დარწმუნდებით,
რომ უკეთესად იქნებით, რადგან ამ დროს
თავისთავად ერთვება ფიზიოლოგიური მე-
ქანიზმები, რომლებიც იწვევენ კარგ ხა-
სიათს და, ამგვარად, სხვა ფსიქიკურ გან-
წყობას. ყურადღება მიაქციეთ თქვენს

ხმასაც. ეცადეთ, ყოველთვის ილაპარაკოთ
ზომიერად, მშვიდად, თავიდან აიცილოთ
ზედმეტად მაღალი ტონი.

ისუნთქეთ თანაბრად. მშვიდ მდგომარე-
ობაში ჩვენ ვსუნთქავთ რიტმულად და
საკმაოდ ღრმად. ალელვებისა და განცდ-
ბისას გააკეთეთ ჩასუნთქვა თვლაზე ერ-
თი, ორი და ამოსუნთქვა — ერთი, ორი,
სამი, ოთხი. ამას შეუძლია ალელვების
მოხსნა.

არსებობს სიტუაციები, როცა მთელი
ძალით უნდა დაჭიმოთ მუშტი. ეცადეთ,
მტკიცედ უბრძანოთ თავს: „მე უნდა მო-
ვასწრო!“ „წყენა უნდა დავივიწყო!“

მეტი იმოდრავეთ. „კუნთების სიხარუ-
ლი“, ფიზიკური ვარჯიში უბრალოდ სასი-
ამოვნო განცდა როდია. ამ დროს მთავარი
ტვინი იღებს ნერვული იმპულსების
მძლავრ ნაკადს, რომელიც სპობს უარყო-
ფით ემოციებს.

სულიერი სამუშაო — კოლექციონერო-
ბა, ქსოვა, ხატვა და ნებასმიერი სხვა საქ-
მე, რომელიც სიამოვნებს თქვენს სულს.
არის გადართვის საუკეთესო საშუალება.
დადებითი ემოციების წყარო.

3. ნაპრასოვი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.



ღამე ნუ დანაშრდებით

● გემრიელ გვიან ვახშამს მოსდევს ბევრი
არასასურველი შედეგი და არც არის გა-
საკვირი.

კარგად მიირთვით და დაწექით დასაძი-
ნებლად. გადატვირთული კუჭი აწვება
ღიაფრაგმას, რაც ხელს უშლის გულის
ნორმალურ მუშაობას. ესე იგი, გიფრთხე-
ბათ ძილი, ხდებით მოუსვენარი, მღელვარე.
ღილით კი ღვებთ დაღლილი. თუ ეს გამე-
ორდება სისტემატურად, აუცილებლად მო-
იშლება ცენტრალური ნერვული სისტემა.

ღამე ჩვენ ვისვენებთ, ისვენებს აგრე-
თვე კუჭის ჭირკვლები, რომელიც გამო-
ყოფს საჭმლის გადამამუშავებელ წვე-
ნებს. დაუშვებელ საათებში დამატებითი
მუშაობა იწვევს მათ გადატვირთვას, შემ-

დეგ კი დასუსტებას. ამას მოსდევს საჭმ-
ლის გადამამუშავებელი ორგანოების და-
ავადება.

მსუქანი ადამიანისათვის ღამით ჭამა
ორმაგად მავნებელია. ღამით ნივთიერება-
თა ცვლა კლებულობს. ამიტომ, ცხიმი ნაკ-
ლებ აქტიურად იქცევა მჭავად და ღიდი
რაოდენობით ეღება კანქვეშა ცხიმოვან
უჯრედებს. როგორც ხედავთ ბევრი რამ
ამტიციებს გვიანი ვახშმის მავნებლობას.

თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ჯანმრთე-
ლობა და კარგი აღნაგობა, მიიღეთ წესად,
რომ არ ივახშებთ შეიდი საათის შემდეგ,
გვიან ჩაისაც არ დალევთ.

ბევრი, სამწუხაროდ, საღამოობით ტე-
ლევიზორის ეკრანთან გამუდმებით რაღა-
ცას მიირთმევს. გვერდით იდგამს კამ-
ფეტს, ქიშმიშს, კაკალს. ტკბილი კი, რო-
გორც ცნობილია, ძალიან კალორი-

ულია. ეს ადამიანები საათნახევარი-ორი
საათის განმავლობაში ორჯერ აღიდებენ
თავიანთი რაციონის კალორიულობას.
თვითონ გადაწყვიტეთ, ღირს აპყვეთ ამ
ცდუნებას?

ასე რომ, ძილამდე ორნახევარი-სამი სა-
ათის წინ ჭამა არ შეიძლება. ეს არ ეხება
მხოლოდ მათ, რომლებიც ღამის ცვლაში
მუშაობენ.

როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, რომელ-
თაც ივახშმეს შვიდ საათზე, მაგრამ აი,
აძინებთ შიმშილის გრძნობა? მათ უნდა
დალიონ ძილის წინ ერთი ტიქა აეფირი,
შეჭამონ ვაშლი, ფორთოხალი ან სტაფი-
ლო.

ბ. იაკვო,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ახალი ანტინიკოტინური პრეპარატი

● დასრულდა კლინიკური გამოცდა ახალი
ანტინიკოტინური პრეპარატისა, საღეჭი
რეზინისა, რომელიც შეიმუშავა ბელორუ-
სის სანიტარულ-ჰიგიენურმა სამეცნიე-
რო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

ერთი წლის მანძილზე გამოიცადა პრე-
პარატი ქვეყნის თერთმეტ უმსხვილეს სა-
მედიცინო დაწესებულებაში. იგი ენიშნე-
ბოდა მწვევლებს ფსიქოთერაპიის კურსის
პარალელურად.

მათ, ვისაც ნამდვილად სურდათ წვეის-
თვის თავის დანებება, მაგრამ ვერ შეძლეს
დამოუკიდებლად, პრეპარატი დაენმართათ
ამ მავნე თვისებებისაგან თავის დაღწევა-
ში...

წვეასთან ბრძოლაში ყველაზე მთავარია
ადამიანის სურვილი, ერთხელ და სამუ-
დამოდ უარი თქვას ამ მავნე ჩვევაზე.
სხვაგვარად ვერც ერთი, თუნდაც ყველა-
ზე ძლიერი ანტინიკოტინური საშუალება,
ვერ უშველის.

ანტინიკოტინური საღეჭი რეზინა უარ-
ყოფითად მოქმედებს მათზე, ვისაც აქვს
ჰიპერტონია, გულსისხლძარღვთა უკმარი-
სობა, გასტრიტი, წყლული და სხვა შინა-
განი ორგანოების დაავადებები.

თუ მოისურვებთ ამ პრეპარატით მკურ-
ნალობას, არ დაივიწყოთ, გაარკვიოთ ექი-
მთან: მის მიღებას ხომ არ მოჰყვება საწი-
ნაალმდეგო რეაქცია?

„ზოგოვი“, 1983 წ., № 4.

ალექსანდრე დიდბულიძე

არსებობს მყინვარწვერის პირველი გეოფიზიკური ექსპედიციის მონაწილეთა ფოტოსურათი. მათ შორის არის ამ ექსპედიციის მეთაური, მაშინდელი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, ალექსანდრე დიდბულიძე. რამდენი ასეთი კეთილი საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი ყოფილა იგი, ცნობილი ენერგეტიკოსი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და მეცნიერი.

ალექსანდრე დიდბულიძე, ჯერ კიდევ რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ასისტენტად მუშაობდა ელექტროტექნიკის კათედრაზე. სულ მოკლე ხანში იგი აირჩიეს დოცენტად და ლექციებს კითხულობდა ელექტროტექნიკაში, ატარებდა კურსს სხვა საგნებშიც. ამ დროს შეადგინა მანქ. მოტავის ელექტროსელის პროექტი, ითვლებოდა სხვადასხვა ფირმის კონსულტანტად, „პირვიცის“ ქარხნის კონსულტანტ-კონსტრუქტორად.

ალექსანდრე დიდბულიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესდა ფოტოგრაფიით, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. 1908 წელს ქალაქ რიგაში იგი დაინიშნა ჟურნალ „ფოტოგრაფიჩესკიე ნოვოსტის“ რედაქტორად. მის ცხოვრებაში იყო ასეთი კონტრასტებიც — 1907-1909 წლებში ირჩევენ რიგის მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარედ, თერმოლე-მენტის ახალი ტიპის შემუშავებისათვის კი საავტორო მოწმობას ღებულობს.

1915 წლიდან ალექსანდრე დიდბულიძე მოსკოვშია და

ნაყოფიერად მუშაობს. კალუგაში ყოფნისას გაიცნო მანციოლკოვსკი და მასთან ერთად ატარებდა ლექციებს ქალაქის საზოგადოებისათვის.

1916 წელს ალექსანდრე დიდბულიძე გადაიყვანეს ოდესაში. 1918 წელს რუმინეთის ფრონტის, შავი ზღვის ფრონტისა და ოდესის ვარნიზონის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. მასვე დაევა ოდესის რაიონის ქარხნებისა და სახელოსნოების მშვიდობიან წარმოებაზე გადაყვანა, რაც უმოკლეს დროში განხორციელდა. ალექსანდრე დიდბულიძემ ბევრი რამ გააკეთა ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებისათვის. იგი ამ ინსტიტუტის პროფესორი გახდა და ლექციებს კითხულობდა თეორიული ელექტროტექნიკის კათედრაზე.

1919 წელს ალექსანდრე დიდბულიძე მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აირჩიეს პროფესორად და ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგედ), სადაც იმუშავა 1933 წლამდე. მან მოაწყო ელექტროსადგური უნივერსიტეტის შენობის გასანათებლად, გახსნა აფთიაქი, დააარსა მკირე ლითოგრაფია, რითაც დასაბამი მიეცა უნივერსიტეტის გამომცემლობას. როცა უხივე-

რსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტი გაიხსნა, ალექსანდრე დიდბულიძე დაინიშნა დეკანად. მას სხვებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფიზიკური და ელექტროტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის საშვილიშვილო საქმეშიც.

მთელი მონდომებით, მთელი სულითა და გულით ასრულებდა მეცნიერი ერთსა და იმავე დროს მრავალ რთულ და პასუხსაგებ სამუშაოს. 1944 წლიდან ალექსანდრე დიდბულიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის სექტორს, შემდეგ დაინიშნა ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორად.

ალექსანდრე დიდბულიძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა, როგორც სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორის მოადგილე და სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელი. ამ ინსტიტუტში შექმნეს ალექსანდრე დიდბულიძემ და კონსტანტინე ამირეჯიბმა პირველი თვლიანი ელექტროტრაქტორის მოდელი 1931 წელს.

მეცნიერი თავის ძალაწევობას ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებდა სამეცნიერო საქმიანობებს და საპროფესორო ხარისხს. იგი იყო სინჯიერო და სამეცნიერო კადრების აღმზოდელი.

ალექსანდრე დიდბულიძე იყო საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის პირველი და უცვლელი თავმჯდომარე. ზაპესის მშენებლობის პერიოდში მან შეადგინა თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის პროექტი ქალაქის განვითარების ათი წლის გათვალისწინებით. ეს სამუშაო მეცნიერმა შეასრულა ტექნიკური საზოგადოების დავალებით. შემდეგ წლებში ალექსანდრე დიდბულიძემ ამავე საზოგადოების სახელით ირგვლივ შემოიკრიბა სტუდენტი ახალგაზრდობა და შეადგინა თბილისის სამრეწველო ობიექტებისა და მოსახლეობის ელექტრიფიკაციის პროექტი.

ალექსანდრე დიდბულიძეს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოვდა მრავალი ორდენითა და მედლით.

ალექსანდრე დიდბულიძის გზას დღეს ღირსეულად აგრძელებენ შვილი და შვილიშვილი, კონსტანტინე და ალექსანდრე დიდბულიძეები. ნუმც მოშლოდა ამ ოჯახს კეთილი ტრადიციები.

ვერა თოფურიანი

გასული საუკუნის სამოციანი წლების თაობათა ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ბარბარე ჯორჯაძე, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ მკაცრად გასცა პასუხი, გამოჩენილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის უმცროსი და იყო. იგი ბავშვობიდანვე დაეუფლა წერა-კითხვას, ხელსაქმეს, ოქრომკედით ქარგვას, ხოლო შემდეგ ისე გულმოდგინედ შეისწავლა საოჯახო საქმე და განსაკუთრებით კულინარია, რომ შეადგინა პირველი ქართული სამზარეულო წიგნი.

ბარბარემ, როგორც მწერალმა, ფეხი აიდგა „ცისკრის“ ფურცლებზე. მას გულთბილად შეხვდა რედაქტორი ივანე ჭრეხელიძე. შემდეგ იგი თანამშრომლობდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“.

ბარბარე ჯორჯაძე წლების განმავლობაში გულმოდგინედ ადგენდა დაწესებითი სკოლის სახელმძღვანელოს. 1862 წელს დაიდგა მისი პიესა „შური“, რომელსაც საზოგადოება გულთბილად შეხვდა. ამ პიესის შესახებ „ცისკრის“ რეცენზენტმა აღნიშნა, რომ მწერალმა ქალმა ქართულ ლიტერატურას აჩუქა მახვილგონივრულად დაწერილი დრამა. საყურადღებო ფაქტია, რომ ბარბარე ჯორჯაძის პიესებით

ბარბარე ჯორჯაძე

რამდენჯერმე გაიხსნა თბილისში თეატრის სეზონი.

აკაკი წერეთელი აფასებდა ბარბარე ჯორჯაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას და წერდა „...ბარბარემ არ მიაქცია ყურადღება ძველი თაობის კიცხვა-გინებას და მშვენიერი ლექსებით აცხადებდა თავის გულის პასუხს: მოსთქვამდა წარსულზედ, უგალობდა მომავალს“. პოეტი ქალი რამდენიმე ლექსში რომანტიკულ განწყობილებას ამჟღავნებს. სამშობლოს სიყვარულის გრძობაა ჩაქსოვილი ლექსებში: „საქართველო“, „ლენქორანი“, „არავი“...

ბარბარე ჯორჯაძე უკვე ხანდაზმული იყო, როცა თელავში ცნობილი პედაგოგის ივ. როსტომაშვილის დახმარებით შეისწავლა რუსული ენა. იგი დიდად აფასებდა რუს პროგრესულ მწერლებს.

ცხოვრების ბოლო წლებში ბარბარე ჯორჯაძე ლექსებს წერდა კონკრეტულ, რეალისტურ თემაზე (ასეთებია: „გამომძიებელს“, „რას იბღვირებთ“, „კაცი“ და

სხვა). ამ ლექსებში იგი დასცინის ბიუროკრატ მოხელეებს და ჩაგრულთა ქომავალ გამოდის. ღარიბებისადმი მზრუნველობას ასწავლიდა იგი თავის შვილებსაც.

ბარბარე ჯორჯაძეს სამი შვილი ჰყავდა. უფროსი ვაჟი, მიხეილი, წერდა ლექსებს, პოემებს, დრამატულ ნაწარმოებებს და რუსულ პრესაშიც აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. ქალიშვილი, მანანა, მსახიობი იყო. იგი განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა დედის პიესაში „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. რომელშიც ოსანა მესანთლოვას როლს ასრულებდა.

უცაბედად დასრულდა ჯერ კიდევ ქარმაგი მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის სიცოცხლე. შვილის სანახავად ლენქორანს უნდა გამგზავრებულიყო. თელავთან ახლოს, ცივ გომბორის გადასასვლელთან, დაეწია სიკვდილი. აკრემლეული თვალეებით შეხედა მან მშობლიურ მიწას, ტანაყრილ, საუკუნოვან ხეებს, ცის ლურჯ კამარას და სამუდამოდ დაღუპდა.

ბარბარე ჯორჯაძე დაკრძალულია ქალაქ თელავში, მეფე ერეკლესეულ სასახლის ეზოში. თავისი ღირსეული მისი რაფიელ ერისთავის გვერდით.

შალვა მარკოზაშვილი

ორი იპაპი

კაგეჩი და კაცი

კაკლის ძირში შრომით მოქანცული ფურკამეჩი წამოწოლილიყო, კუდიტ ბუზებს იგერიებდა და ღრმა ფიქრებში წასული არხეინად იცოხნებოდა.

უცებ მასთან ერთი კაცი მივიდა, შუბლზე ხელი გადაუსვა, მიუალერსა და მერე უთხრა:

— რა დიდებული სულდგმული ხარ! ჰეკვიანი, გამრჩე, ღონით. საესე და ქედმაგარი... ამასთან დიდად მორჩილიც. პატარა ბავშვიც კი სახრით წამოგაგდებს, წინ გაგიგდებს და თავს საითაც უნდა, იქით გიკრავს. თანაც, შენი ნოყიერი რძე და მაწონი საქვეყნოდ განთქმულია. შრომაში ხომ ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი ხარ!.. ამდენ სიკეთესთან ერთად, ერთი ნაკლი მაინც გამოგყოლია: ფერად კუპრით შავი ხარ, რძეს კი თეთრს იძლევი. რა კარგი იქნებოდა, რძეც რომ შავი მოგეცა! მაშინ იმ ზოგიერთი გულნამცეცა და უნამუსო ადამიანს დიდად მოერიდებოდა,

რძეში წყალს ვეღარ გაურევდა. რძე იმ წამსვე გათეთრდებოდა და ჩვენც ადვილად შევამჩნევდით!

კამეჩმა ბევრი არ იფიქრა. თავისი დიდრონი ბრიალა თვალები კაცს მიაპყრო და წაიბურტყუნა:

— უცნაურია, თქვენ, პატიოსან მშრომელ ხალხს, მკლავში ძალა რომ გერჩით და სახრეს წარა-მარა მე მიქნევთ ხოლმე, იმ ზოგიერთ გულნამცეცა და უნამუსო ადამიანების წინააღმდეგ რომ მოიქნით, ნეტავ, ხელს ვილა გიშლით?! მე რომ ის ნოყიერი და თოვლივით ქათქათა რძე არ გამაშავებინოთ, არ გირჩევნიათ, ისევ ის, ჩემი რძის უნამუსო გამწყალებელი გააშაოთ?!

ესა თქვა, კუდი მიიქნ-მოიქნია და სრულიად დამშვიდებულმა ცოხნა განაგრძო.

შაქრის გულისტკივილი

ქვეყანამ იცის, იმთავითვე ადამიანის პირის დასატკბარუნებლად რომ ვიყავი დაბადებული, მაგრამ ამ ბოლო დროს პირი მე თვითონ გამიმწარეს.

მოსაგონრად ისიც მეყოფა: ნეფე-ბატარდის ტკბილად შებერების ნიშნად საქორწინო სუფრაზე მათ წინეკითხვას მარნი“ რომ უნდა აღემატათ... ეს კიდევ არაფერი, ოჯახში ახლად შეყვანილ ჩვილ ბავშვს, მთელი სიცოცხლის მანძილზე ენა-პირიდან მუდამ ტკბილი ჰანგები რომ დენოდა, შაქრის ნატეხს ჩაუდებდნენ კალთაში... ახლა კი საქორწინო სუფრიდან ხომ გამაძევებს და გამაძევებს, ჩვილი ბავშვის სურნელოვანი კალთაც სანატრელი გამიხადეს და იცით თავი სად მიკრეს? — ქვევრში... მერე იქიდან წყალ-ჭაჭაში შეზავებულს რომ ამომიღებენ და ღვინოს დამარქმევენ, მაშინ უნდა ნახოთ, რა ოინებს დამატრიალებინებენ... დიახ, სიტკბოსა და სიამის მოფენის ნაცვლად ხალხში ჩხუბისა და სიმწრის მთესველის მთავარ მონაწილედ მხდიან...

არა... ამ ჩვენს სახელმოხვეცილ ქართულ ვაზს მაინც რა გაუჭირდა ისეთი, რომ მისი ქარვისფერი მტევნები უჩემოდ ვეღარ დაიწუროს?!

შალვა გოცირიძე

საგუგლისხმო, სახასისო

კოსტარი თუ გუტენბერგი?

უკრიცელენტო შემოხვევა

მყვინთავებმა ლამანშის ფსკერიდან ამოიღეს სკივრი, რომელიც XVIII საუკუნეში, პოლანდიის იალქნიან ხომალდთან ერთად ჩაიძირა ზღვაში.

სკივრში, სხვა ნივთებთან ერთად, პაავაში 1740 წელს ჩამოსხმული ვერცხლის მედალიც იყო.

მედლის ერთ მხარეს გამოსახული იყო ქალი. ქალს ფეხი ეღო წიგნზე, რომლის ყდაზე ეწერა „გუტენბერგი“.

მედლის მეორე მხარეს ამოტვიფრული ტექსტი იუწყებოდა, რომ ზუსტად 300 წლის წინათ, პოლანდიელმა ლორენს კოსტერმა გამოიგონა წიგნის საბეჭდი დაზგა. ეს გამოგონება კოსტერის უღირსმა შეგირდმა გუტენბერგმა მიითვისა და გერმანიაში გაიქცა.

გადაფურცლეს გაზვთები.

XVIII საუკუნის პრესა ნათლად ასახავდა იმ ცხარე დისკუსიას, რომელიც 40-იან წლებში გაიმართა პოლანდიასა და გერმანიაში.

ამ დისკუსიის მიზანი იყო, დაედგინათ: ვინ გამოიგონა წიგნის საბეჭდი დაზგა — კოსტერმა თუ გუტენბერგმა?

დავა დღემდე გრძელდება.

ინდონეზიის პატარა კუნძულ სუმ-ბაზეზე ამას წინათ ნამდვილი ომი გაჩაღდა ადგილობრივ მოსახლეობასა და... მაიმუნებს შორის.

ინციდენტის მიზეზი წყალი იყო. ცოცქნა კუნძულზე ერთადერთი წყარო მოჩუხჩუხებს. სწორედ ამ წყაროს გაყოფაში ვერ შეთანხმდნენ მოწინააღმდეგე მხარეები. ჭერ მაიმუნებმა იმარჯვეს. მათ უფინით გარეკეს წყლის წასადებად მოსული რამდენიმე კაცი, მეორე დღეს კი ადამიანებმა იფრინეს მაიმუნები.

მოწყურებული მაიმუნები გააფთრდნენ. ისინი გაერთიანდნენ ვეება ჯოგად და უფინით ეკვეთნენ წყაროსთან ჩასაფრებულ ადამიანებს.

ბრძოლა დაუნდობელი იყო. გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან — მეორე მხარეს.

გამარჯვება ბოლოს მაიმუნებს დარჩათ, ადამიანებმა უკან დაიხიეს.


სასმელი წყლის ხელში ჩასაგდებად საჭირო გახდა შეიარაღებული რაზმის გამოძახება.

მაიმუნების თავდასხმა კვლავაც მოხალოდნელია.

იუპორი



ნახატი-ხუმრობები ლევან მართაშვილისა



თარგუმად: 5. საბჭოთა კოსმონავტი; 6. ერთ-ერთი მკვლელი; 7. ფორტეპიანოს წინამორბედი; 8. იალქანი; 11. კივვილი ფეხბურთელი; 12. ქართული ურნალი; 14. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი შენაერთი; 15. კატისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი; 16. მანძილის გასაზომი დანაყოფებიანი ლენტე; 17. ამერიკის მეტროპოლიტენის სახელწოდება; 21. ნაკლი. ზადი; 23. თეთრი ბოქოვანი მინერალი; 24. ევროპის სახელმწიფო; 25. თეთრი გამკვირვალე კრისტალური ნივთიერება; 26. მდინარე საქართველოში; 27. რეალური ძაღვბასა და პირობების გაუთვალისწინებლად, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე; 28. უსიტყვო როლებს შემსრულებელი მსახიობი; 29. თანამედროვე ორქვილი სათხილამურო სპორტში.

შპეულად: 1. ერთ-ერთი მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 2. ჰაერნაოსნობა; 3. მასობრივი წარმოების რაიმე საგნების ზუსტი ზომა; 4. მაღალი ხარისხის ნაყინი; 7. რისამე საჯარო დემონსტრაცია; 10. ქართველი მოქანდაკე; 11. მოკლე ოფიციალური ცნობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენის შესახებ; 12. გეგმა, განზრახვა; 13. კავკასიონის მწვერვალი; 18. გამომწვარი ფერადი თიხა; 19. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 20. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 22. უფლისწულის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში მონარქიული მმართველობის დროს; 23. ესპანეთის ისტორიული ოლქი.

შეადგინა ლამარა აბაშუაქელვა.

ჰანს როსლერი

(ბღრ)

საახალწლო სურვილი

მონიკა შინ დამხვდა. ხელში კალათი ეჭირა.

— შეხე, ჰაინც, აქ რა აწყვიას!

ჩაიხივდა და ცისფერი ძაფით შეკრულ ქაღალდის გრაგნილებს მოეკარი თვალი.

მხრები ავიჩეჩე.

— ჩემი საახალწლო სურვილებია, — ამიხსნა მონიკამ და ჩემს

მიერ მირთმეული ფრანგული სუნამო დაყნოსა.

სიტყმე ჩამოვარდა.

— წინასახალწლო დღეებში ყველა ცოლი ასე იქცევა. — შემომანათა სხივამდგარი თვალები მონიკამ და ალერსიანი ხმით დასძინა: — ძვირფასო ჰაინც, ყოველ ქალს ათალობით სურვილი აქვს. კარგად იცი, როგორი შორიდებულია ვარ! განა როდისმე თავი მომიბეზრებია? არც ახლა მოვიტოვებ ბევრს. აქედან მხოლოდ ერთ-ერთი სურვილი უნდა შემისრულო. ყოველ გრაგნილზე თითო საახალწლო სურვილი წერია. არჩევანი გეძლევა, ჩაყავი ხელი და ერთი გრაგნილი ამოიღე! მე რა დანარჩენი ცეცხლში ჩაყვართ. წინასწარ არ მეცოდინება რა უნდა მომი-

ძღვან, შენ კი უკვე გეკენება ჩემთვის სურვილები და მოფიქრებაც აღარ დაგჭირდება.

— ფასიანი სურვილებიც არის?

— კი.

— ყველაზე მცირე სურვილი რომელია?

— ვერცხლის სათითე.

— მაშ კარგი, გავებდე.

ჩაყავი კალათში ხელი და ერთი გრაგნილი ამოვიღე, დანარჩენი ცეცხლში გადაუქაბეთ...

— რა საახალწლო ნატვრა შეგისრულა ქმარმა, მონიკა? ჰკითხეს ჩემს ცოლს მეგობარმა ქალბებმა, რომლებიც იმ საღამოს გვეწვიებენ.

— ტყავის პალტო მიყიდა.

— როგორ შეაბი ეყვანი?

სულ უბრალოდ, — მიუგო მონიკამ, — ასი გრაგნილი გავამზადე, თითოეულში საახალწლო სურვილი ჩაყვრე. ეს სურვილები ერთმანეთში აეურთიე, კალათში ჩაყვარე და ჰაინცს არჩევის საშუალება მივეცი. მან ერთ-ერთი ამოიღო. გრაგნილზე ტყავაჟი ეწერა.

— რა დიდებული დამთხვევაა! — წამოიძახეს ქალბებმა აღტაცებით, მაგრამ მყისვე იკითხეს: — სხვა გრაგნილი რომ ამოეღო?

მონიკამ გაიცინა:

— ამით არაფერი შეიცვლებოდა, რამეთუ ყველა გრაგნილში ერთი სურვილი — ტყავაჟი ეწერა.

გამგანაშლიდან თარგმან შ. ამირანაშვილმა.

აკრეპტორი ცისანა სიჰინავა

მონტაჟი ნაწული დანაწილისი

გარეკანის პირველ გვერდზე: გობელენი. „მშვიდობა სიმიდო ხელშია“, მეოთხე გვერდზე, გობელენები: „ალმანაღი კოლმეურნი ქალბები“, „კური ჩვენი არსობისა“, მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამხატურებელი მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გიჰი უანდარაღი. გარეკანის მეორე გვერდზე: ვ. ი. ლენინი, მოქანდაკეები: საქართველოს სსრ დამხატურებელი მხატვარი მიხეილ ყიფიანი და ლევან ფოფხაძე, არქიტექტორი — საქართველოს სსრ დამხატურებელი არქიტექტორი ვახტანგ აბრამაშვილი.

გადაეცა წარმოებას 23. 12. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 1. 83 წ., უე 10009. ქალაქის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 50.000. შეკვ. № 2936. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66. რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ეროვნული
ბავშვთა
კავშირთა
კავშირი



დედის სიამაყე

ფოტო ბონდო ლადუაძისა

41293

ეროვნული
გამომცემლობა



ქვეყნისათვის!

050030 76056

საქართველო